Netherlands Institute for Multiparty Democracy

ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ექსპერტული ანალიზის კრებული

Activity supported by the Canada Fund for Local Initiatives

Activité réalisée avec l'appui du Fonds canadien d'initiatives locales

Canada

მომზადებულია ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისთვის
კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

2013

შინაარსი

თამარ ბაგრატია, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში ---------- 2

ნინო შიოშვილი, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები საქართველოში ---------- 30

ნანა ბერეკაშვილი, განათლების სფერო და გენდერული თანასწორობის საკითხები ---- 50

ლელა გაფრინდაშვილი, ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემატიკა: ექსპერტული ანალიზი ---------- 78

ქეთევან მსხილაძე, მედია და გენდერული თანასწორობის საკითხები ---------- 92

ჩარიტა ჯაში, ბიუჯეტის გენდერული მეინსტრიმინგი ---------- 109

თამარ ბაგრატია

საავტორო უფლებები დაცულია.
მასალის გამოყენებისას ავტორისა და წყაროს მითითება აუცილებელია.
დოკუმენტი წარმოადგენს ავტორის მოსაზრებებს და არ გამოხატავს NIMD-ის ან კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის პოზიციას ან მოსაზრებებს.

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში

(ანალიტიკური მასალა)

პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზს გენდერულ ჭრილში. ანალიტიკურ მასალაში მიმოხილულია ის ფაქტორები, რომლებმაც გენდერული თვალსაზრისით გავლენა იქონიეს საარჩევნო პროცესზე, მიმოხილულია პოლიტიკური კონიუნქტურა, გენდერული კუთხით გაანალიზებულია საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი პარტიული სიები და მაჟორიტარი კანდიდატები, პარტიების საარჩევნო პროგრამები, გაანალიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა - ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებების, საარჩევნო სისტემების გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე და პარლამენტის გენდერული შემადგენლობა პარტიებისა და საარჩევნო სისტემების მიხედვით. საარჩევნო კამპანიის პერიოდში მედიაში ქალ პოლიტიკოსთა აქტივობა და ქალთა ორგანიზაციათა როლი საარჩევნო პროცესში. პუბლიკაცია ასევე განიხილავს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შეტანილი ნორმების გავლენას ქალთა წარმომადგენლობასა და პარტიების დაფინანსებაზე.

შესავალი

1. ამომრჩეველთა რაოდენობა და აქტივობა
2. საკანონმდებლო ცვლილებები
3. რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები და არჩევნების შედეგები
4. პოლიტიკური პარტიები და ქალი კანდიდატები
5. ქალები საქართველოს პარლამენტში
6. საარჩევნო სისტემა და ქალთა წარმომადგენლობა
7. ცვლილებები კანონში „ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და მუხლის 30.7[1] არასრულფასოვანი ამუშავება
8. რა ფაქტორებმა განაპირობა ქალთა რაოდენობის მატება? - ქალთა „გამარჯვების“ კოეფიციენტების მიმოხილვა
9. პარტიების საარჩევნო პროგრამები ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ
10. საარჩევნო კამპანია ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები და ქალთა ორგანიზაციების როლი
11. საარჩევნო კამპანიის გენდერული თავისებურებები
12. დასკვნები

“საპარლამენტოდ მომზადებულ ქალს იმდენი თავმოყვარეობა და მოქალაქეობრივი შეგნება ყოველთვის ექნება, რომ თავის შვილის საზიანო არაფერი ჩაიდინოს...” **გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა“, 1917**

“პარლამენტი – ეს კულტურული შოკია. შედიხართ პარლამენტში და მამაკაცები ფიქრობენ: „ოჰ. ქალი, მოვიდა, რათა ცხოვრება გაგვიმწაროს”. **- ანგელა რუმბოლდი, ინგლისის პარლამენტის წევრი 1982-1997 წლებში**

შესავალი

ილია ჭავჭავაძე 1888 წლის 12 დეკემბერს დაწერილ წერილში „დედათა საქმე“ წერს: „ამას წინათ ლორდი სალუსბერი ყოფილა შოტლანდიაში, ეს მომხრეობა გამოუცხადებია და ყვლანი გაუოცებია, რადგანაც კონსერვატორთა მეთაურისაგან არავინ არ მოელოდა დედათა უფლებისათვის გამოსარჩლებას. ედინბურგში უთქვამს, რომ მე ჩემ თავად არ ვეურჩები ამ მხრით დედათა ემანსიპაციასაო და „შორს არ არის ის დრო, როცა დედათაც ექნებათ ხმა ამორჩევისა, როცა ისინი მიიღებენ მონაწილეობას როგორც ჩვენის ქვეყნის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობასა და მიმართულებაში, ისეც საპოლიტიკო კაცთა ამორჩევაშიო“. ამისათვის არავითარს დაბრკოლებას არა ჰხედავს მთავარმინისტრი ინგლისისა.“

„ქვეყნის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობის პროცესში“ საქართველოში ქალთა მონაწილეობა დაბალია. სხვადასხვა პარტიის მეთაურნი, პოლიტიკური იდეოლოგიით - კონსერვატორნი თუ არაკონსერვატორნი, ლიბერალნი თუ სოციალისტები, ლორდ სალუსბერისაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ „მომხრეობას“ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საკითხებზე არ იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში გაორმაგდა და 6%-და 12%-მდე გაიზარდა, ხოლო საქართველო მსოფლიო კლასიფიკაციით 134-ე ადგილიდან 106-ე ადგილზე გადაადგილდა, ეს მაჩვენებელი არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს და კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ ქვეყანა კვლავ შორს დგას იმ თანამედროვე დემოკრატიის მოდელისაგან, რომლის მიხედვითად, არ არსებობს თანამედროვე დემოკრატია[1] გენდერული თანასწორობის შესახებ. 2012 წლის ნოემბერში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით,[2] მოსახლეობის 46% პარლამენტში ამჟამად წარმოდგენილ ქალთა რაოდენობას საკმარისად თვლის, (ამავე ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 28% ქალთა 6%-იან წარმომადგენლობასაც საკმარისად მიიჩნევდა) რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, ქალი პოლიტიკოსის მიმართ კვლავ „უნდობლად“ არის განწყობილი. ქალები ისევ რჩებიან პოლიტიკური პროცესის მეორეხარისხოვან სუბიექტებად, პოლიტიკაში გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაცია კვლავ საარჩევნო პროცესის განუყოფელია ნაწილია შემდეგი ზოგადი შინაარის მქონე მიზეზთა გამო:

- საარჩევნო პროცესში სრულფასოვნად ჩართულობისათვის ქალებს არ გააჩნიათ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კაპიტალი;

[1] http://www.neurope.eu/article/5050-coalition-no-modern-european-democracy-without-gender-equality
[2] http://www.civil.ge/files/files/2012/NDI-Poll-November2012-geo.pdf

- ქალთა მცირე წარმომადგენლობა ქალთა მოძრაობის სისუსტისა და ფრაგმენტულობის გამო არის განპირობებული;
- პოლიტიკოსთა „რეკრუტირების“ ბაზა მამაკაცებს შორის უფრო დიდია, ქალები არ აქტიურობენ და ნაკლებად ინტერესდებიან პოლიტიკით. განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში, სადაც ტრადიციული გენდერული როლები ქალების მიერ სოციალიზაციის ადრეულ ეტაპზე არის გათავისებული;
- პოლიტიკურ პარტიები არ არიან „გენდერულად“ სენსიტიურები, პარტიებში მამაკაცები დომინირებენ და შიდა დემოკრატიის დაბალი დონე ქალთა პარტიაში დაწინაურების ბუნდოვანი მექნიზმები ქალთა დაწინაურებას საკმაოდ რთულს ხდის:
- მამაკაცები დომინირებენ „ისტებლიშმენტში“ (ფინანსური წრეები, პოლიტიკური ელიტა და ა.შ.) და შესაბამისად ქალებისათვის ნაკლები რესურსია ხელმისაწვდომი, „ისტებლიშმენტში“ კონცენტრირებული მამაკაცები ქალ პოლიტიკოსს ნაკლებ მხარდაჭერას უცხადებენ.
- საზოგადოებრივი აზრი კვლავ ქალის ტრადიციულ გენდერულ როლს განიხილავს პრიორიტეტულად და ქალი პოლიტიკოსის/ასევე მამაკაცი პოლიტიკოსის მიმართ არსებული სტერეოტიპები ქალისათვის კვლავ შემაფარხებელ ფაქტორად რჩება,

წინამდებარე პუბლიკაცია არის მცდელობა იმისა, რომ განიხილოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ფაქტორების ერთობლიობის გავლენა საარჩევნო პროცესზე და რამდენად ინკლუზიური იყო საარჩევნო პროცესი ქალებისათვის.

საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 01.10.2012.

1.ამომრჩეველთა რაოდენობა და აქტივობა

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები გაიმართა. ამომრჩევლებმა საკუთარი პოლიტიკური ნება გამოხატეს და ახალი საკანონმდებლო ორგანო აირჩიეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა რაოდენობამ 3613851 ამომრჩეველი შეადგინა. პარლამენტის მორიგ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2215661-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61.3%-ს[3] შეადგენს. ყველაზე მაღალი აქტივობა დაფიქსირდა მთაწმინდის (76.9%) ამბროლაურისა(73.87%) და ასპინძის (73.25%) საარჩევნო ოლქებში (2008 წელს ამომრჩეველთა აქტივობის მხრივ ასპინძას 85%-ით ლიდერი პოზიცია ეკავა). ხოლო ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა - წალკაში (35.6 %) მარნეულში - 44%, ზუგდიდში - 46.29%, აღსანიშნავია რომ წალკაში 2008 წელს ასევე ყველაზე დაბალი აქტივობა - 35% დაფიქსირდა. ეს ფაქტი დამატებით კვლევებს საჭიროებს, რათა განისაზღვროს თუ რა ფაქტორები და სუბ-ფაქტორები განაპირობებს წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასეთი მაღალი აბსენტეიზმის დონეს და გულგრილობას ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის მიმართ, როგორიც ეროვნული დონის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებია.

ბათილად იქნა მიჩნეული ბიულეტენების 2.8%. (3% - 2008 წელს) როგორც ჩანს ამომრჩეველთა 3% სტაბილურად განგებ ან საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესების არცოდნის გამო საკუთარ ხმას და, შესაბამისად, წარმომადგებლობას კარგავს.

საერთო ჯამში, 2008 წელთან შედარებით ამომრჩეველთა აქტივობა 7.8%-ით გაიზარდა. ამომრჩეველთა აქტივობის დინამიკის შესახებ იხ. ცხ.1.

ცხ.1. ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოში სხვადასხვა ტიპის არჩევნების მიხედვით

	1991	1992	1995	1999	2003	2004	2006	2008	2010	2012
ამომრჩეველთა აქტივობა (%)	90	74	68	68	60	64	48	53	49	61

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არჩევნებიდან არჩევნებამდე იზრდება ამომრჩეველთა ხვედრითი წილის ოდენობა საერთო მოსახლეობასთან მიმართებაში, რაც 0-18 წლის ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენციაზე მიგვითითებს. ეს მნიშვნელოვან

[3]http://cesko.ge/files/2012/2012photos/dekemberi/_2012_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D.pdf

დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის ნაწილია, რაც ერის დაბერების პროცესისკენ მიგვითითებს. (იხ დიაგრამა 1 და ცხ.#2,)

დიაგრამა 1. მოსახლეობის რაოდენობაში ამომრჩეველთა ხვედრითი წილი (%)[4]



ცხ.2. მოსახლეობის რაოდენობაში ამომრჩეველთა ხვედრითი წილი სხვადასხვა სახელმწიფოებში[5] (%)

	ამომრჩეველთა რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა	%
ალბანეთი	2,266,221	3194417	70.9
აზერბაიჯანი	5,175,155	8,303,512	62.3
ბელორუსია	7,904,831	9,643,566	82
სომხეთი	2,257,586	2,970,495	76
ჩეხეთი	6,714,973	10,201,707	65.8
საფრანგეთი	48,651,555	63,713,926	76.3
უნგრეთი	8,123,081	9,992,339	81.2
ესტონეთი	1,046,458	1,282,963	81.5
ტაჯიკეთი	4,440,442	7,487,489	59.3
ლატვია	1,839,560	2,204,708	83.4

ამომრჩეველთა გენდერული სეგრეგაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია კვლავ არ არსებობს, ასევე არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია ქალთა და მამაკაცთა ელექტორალური ქცევის შესახებ აქტივობის კუთხით.

[4] წყაროები: სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი (www.geostat.ge) ცესკო (cec.gov.ge)
[5] www.idea.int

თუ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას დავეყრდონით, ქალი ამომრჩევლები 2012 წლის არჩევნებისათის დაახლოებით 53.7%-ს[6],ხოლო მამაკაცები 46.3%-ს უნდა შეადგენდენ. (იხ.დიაგრამა #2.)

დიაგრამა #2. **ამომრჩეველთა გენდერული სეგრეგაცია**[7]



2.საკანონმდებლო ცვლილებები

საპროცედურო ცვლილებების პარალელურად საარჩევნო კოდექსმა 150 საპარლამენტო მანდატიდან ნაცვლად 75/75 სისტემისა, 73 მაჟორიტარული და 77 პროპორციული საარჩევნო სისტემით განსაზღვრა, ასევე, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებით, პარლამენტის წევრობის ასაკობრივი ცენზი 25 წლიდან 21 წლამდე შემცირდა. გაუქმდა პატიმრების მიერ ხმის უფლების სრული აკრძალვა, ასევე პარტია, რომელიც გადალახავდა დადგენილ ბარიერს, ავტომატურად ეძლეოდა 6 საპარლამენტო მანდატი, რაც საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად საკმარისი ოდენობაა.
საარჩევნო კოდექსში და კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ სხვა არსებითი ცვლილებები, რომელსაც ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენა შეეძლო მოეხდინა, არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით კანონში პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებას, რომელიც დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

3.რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები და არჩევნების შედეგები

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოს 41-მა სუბიექტმა მიმართა, რეგისტრაციაში გატარდა 14 დამოუკიდებლად მონაწილე საარჩევნო სუბიექტი და 2 საარჩევნო ბლოკი.

[6] გამოთვლილია 0-19 წლის ასაკის მოსახლეობის ოდენობის მიხედვით, შესაბამისად ცდომილება 18-19 წლის ასაკის მოსახლეობაში ქალთა და კაცთა სხვაობის ფარგლებშია
[7] http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/15.10.2012_krebul%202011.pdf

პროპორციული საარჩევნო სიების მიხედვით 2313, ხოლო მაჟორიტარული სისტემის მიხედვით 429 კანდიდატი იქნა რეგისტრირებული. უნდა აღნიშნოს, რომ არჩევნებში ოთხმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა მაჟორიტარული სისტემით მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რომელთაგან 2-მა კანონით დადგენილ ვადაში მოხსნა კანდიდატურა;

ამომრჩეველთა ხმები და მანდატები საარჩევნო სუბიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: (ცხ.3)**ცხ.#3. მიღებული ხმებისა და მოპოვებული მანდატების რაოდენობა საარჩევნო სუბიექტების მიხედვითარჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო ნომრის მითითებით**	**მიღებული ხმების რაოდენობა (%)**	**მანდატი (პროპორციული)**	**მანდატი (მაჟორიტარული)**	**სულ მანდატების რაოდენობა**
„მერაბ კოსტავას საზოგადოება" („30")	0.05	0	0	0
პ/გ „ახალი მემარჯვენეები" („24")	0.43	0	0	0
პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო"(„1")	0.27	0	0	0
„საქართველოს მშრომელთა საბჭო" („36")	0.03	0	0	0
„თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა"(„19")	0.05	0	0	0
„საქართველოს სპორტსმენთა კავშირი"(„40")	0.07	0	0	0
„სახალხო პარტია"(„26")	0.02	0	0	0
„მომავალი საქართველო"(„35")	0.03	0	0	0
„სამართლიანი საქართველოსთვის"(„9")	0.19	0	0	0
„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"(„4")	0.14	0	0	0
პ/გ „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი''(„23")	0.11	0	0	0
„შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია"(„38")	1.24	0	0	0
„სახალხო მოძრაობა" („26")	0.03%	0	0	0
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს („5")	40.4	33	32	65
„გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება"(„10") - „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" - საქართველოს ევროპელი დემოკრატები"	2.05	0	0	0
„ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება"(„41") - პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" - საქართველოს კონსერვატიული პარტია - პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - „საქართველოს რესპუბლიკური პარტია" - პ/გ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები" - .პ/გ „ეროვნული ფორუმი	54.9	44	41	85

5%-იანი ბარიერი გადალახა ორმა საარჩევნო სუბიექტმა - "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს".

პროპორციული საარჩევნო სისტემით გასანაწილებელი 77 მანდატი შემდეგნაირად გადანაწილდა:

- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს" – 33 მანდატი (867,432 ხმა, 40.34%)
- "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება" – 44 მანდატი (1,181,862 ხმა, 54.97%)

73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში მანდატები შემდეგი თანაფარდობით გადანაწილდა:

- "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება" – 41 მანდატი,
- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს" – 32.

ამგვარად, არჩევნების შედეგად, მანდატების 65%„ქართულმაოცნებამ", ხოლო 35 „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" მოიპოვა..

4.პოლიტიკური პარტიები და ქალი კანდიდატები

საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ პარტიულ სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატების ანალიზის შედეგად შემდეგი გენდერული სურათი გამოიკვეთა:

საერთო ჯამში პროპორციულ სიებში 729, ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებს შორის 59 ქალი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, mათი საერთო რაოდენობა ამ არჩევნებზე მონაწილე კანდიდატების 28.74%-ს შეადგენდა.[8]

დიაგრამა 3 . საერთო ჯამში პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით წარდგენილ კანდიდატთა გენდერული შემადგენლობა



დიაგრამა 4 . წარდგენილ კანდიდატთა გენდერული შემადგენლობა პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით

[8] http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617



პარტიული სიები

- თექვსმეტი საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ 6-მა წარმოადგინა გენდერული ნორმის მოთხოვნით დაცული პროპორციული საარჩევნო სია.
- სიის სრული შემადგენლობაში[9] ყველაზე მეტი ქალი ჰყავდა პარტიას „სამართლიანი საქართველოსათვის“,ხოლო ყველაზე ნაკლები ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“
- ყველაზე მეტი კანდიდატი ქალი პარტიული სიის პირველ 50 კანდიდატს შორის წარმოდგენილი ჰყავდა სუბიექტს „მომავალი საქართველო“; ნაციონალურ მოძრობას - 9. ხოლო „ქართულ ოცნებას“ - 8 კანდიდატი.
- პირველ ათეულში ყველა სუბიექტს ჰყავდა წარმოდგენილი ქალი, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას - 3, ხოლო „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ერთი კანდიდატი.
- პირველ ათეულში ყველა სუბიექტს ჯამში 32 ქალი კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი, ანუ კანდიდატთა 20%, მეორე ათეულში პარტიებს წარდგენილი ჰყავდათ 37 ქალი კანდიდატი, ხოლო მესამე ათეულში 45 კანდიდატი.მეოთხე ათეულში - 43 კანდიდატი, ხოლო მეხუთე ათეულში - 44 კანდიდატი;

მაჟორიტარი კანდიდატები

- 34 მაჟორიტარულ ოლქში ანუ ოლქების 46.5% ქალები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი:
- ყველაზე მეტი მაჟორიტარი კანდიდატი ქალი წარმოდგენილი ჰყავდა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას; ნაციონალურ მოძრაობას - 3, ხოლო ქართულ ოცნებას 7 მაჟორიტარი კანდიდატი ქალით იყო წარმოდგენილი.

[9] ვინაიდან პარტიული სიის ე.წ.“არალიდერი“ ადგილების ფორმირება სრულიად სპონტანურად ხდება, სიის სრული შემდგენლობის გენდერული ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების საფუძველს არ იძლევა

ცხ.4.პარტიების მიერ პროპორციული სიით წარდგენილი ქალი კანდიდატების რაოდენობა

	რიგითობა სიაში										ქალები სრულ სიაში		
საარჩევნო სუბიექტი	1-5	5-10	10-15	15-20	20-25	25-30	30-35	35-40	40-45	45-50	1[10]	2[11]	3[12]
1.,,მერაბ კოსტავას საზოგადოება''	0	1	0	0	0	1	3	1	1	0	108	29	26.9
2 პ/გ ,,ახალი მემარჯვენეები''	2	1	1	2	1	2	1	2	1	2	149	43	28.9
3 პ/გ ,,კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო''	0	2	3	2	2	1	0	2	2	2	193	58	30.1
4 ,,საქართველოს მშრომელთა საბჭო''	2	0	0	0	2	2	0	0	1	2	123	36	29.3
5 ,,თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა''	1	2	1	2	0	1	2	3	0	2	115	52	45.2
6 ,,საქართველოს სპორტსმენთა კავშირი''	1	0	3	1	0	1	4	0	0	0	133	38	28.6
7 ,,სახალხო პარტია''	0	1	0	0	2	1	0	3	1	2	105	30	28.6
8 ,,მომავალი საქართველო''	0	1	1	1	4	4	3	3	3	1	108	44	40.7
9 ,,სამართლიანი საქართველოსთვის''	1	0	1	2	2	1	1	2	2	4	129	65	50.4
10 ,,ეროვნულ-დემოკრატიული პარტია''	1	2	0	3	1	2	0	1	1	1	160	73	45.6
11 პ/გ ,,ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი''	1	2	2	1	4	1	1	3	1	2	173	65	37.6
12 ,,საქართველოს ლეიბორისტული პარტია''	0	2	1	1	0	0	0	0	0	1	167	36	21.6
13 ,,სახალხო მოძრაობა	2	1	3	1	3	1	0	2	1	3	118	50	42.4
14 ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	1	2	0	1	1	0	0	1	3	0	155	16	10.3
15-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება''	1	1	2	0	3	0	1	3	1	2	163	46	28.2
16. "ზიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება	1	0	1	1	0	2	1	0	1	1	200	33	16.5

[10] საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ სრულ სიაში კანიდიდატთა რაოდენობა
[11] ქალთა რაოდენობა სრულ სიაში
[12] ქალთა პროცენტული ოდენობა სრულ სიაში

დიაგრამა # 5. .პარტიების მიერ პროპორციული სიით წარდგენილი კანდიდატი ქალების რაოდენობა და რიგითობა



ცხ.5. საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ქალი მაჟორიტარი კანდიდატები

საარჩევნო სუბიექტი	მაჟორიტარი კანდიდატები
1.„მერაბ კოსტავას საზოგადოება”	0
2 პ/გ „ახალი მემარჯვენეები”	5
3 პ/გ „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო”	9
4 „საქართველოს მშრომელთა საბჭო”	0
5 „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა”	0
6 „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი”	0
7 „სახალხო პარტია”	0
8 „მომავალი საქართველო”	3
9 „სამართლიანი საქართველოსთვის”	10
10 „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია”	2
11 პ/გ „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი’’	0
12 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია”	5
13 „სახალხო მოძრაობა”	0
14 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს”	3
15„გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება”	14
16. “ზიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება	8

5. ქალები საქართველოს პარლამენტში

არჩევნების შედეგად ქალებმა 18 მანდატი მოიპოვეს, რაც მანდატების 12%-ს შეადგენს და საქართველო მსოფლიო კლასიფიკაციაში 105-ე ადგილზე არის წარმოდგენილი(იხ.ცხ.6). ხოლო საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებლია. მას შემდეგ რაც 2 ქალი დეპუტატი დაინიშნა მინისტრის პოსტზე და დღეის მდგომარეობით, 3 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს დეპუტატი არ ჰყავს, ქალები პარლამენტის 10.8%-ს შეადგენენ. თუმცა კვლევა არ განიხილავს შემდგომ ცვლილებებს და ფაქტორები გასაანალიზებლად პირველად შედეგებს დაეყრდნობა.

ცხ.6.სახელმწიფოები, რომლებიც ახლოს დგანან საქართველოსთან პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით[13]

102	იამაიკა	12 2011	63	8	12,7%	9 2007	21	5	23,8%
"	მონღოლეთი	6 2012	71	9	12,7%	---	---	---	---
103	ცენტრალური აფრიკიის რესპუბლიკა	1 2011	104	13	12,5%	---	---	---	---
"	დომინიკა	12 2009	32	4	12,5%	---	---	---	---
"	პარაგვაი	4 2008	80	10	12,5%	4 2008	45	7	15,6%
104	კოლუმბია	3 2010	165	20	12,1%	3 2010	100	16	16,0%
"	ურუგვაი	10 2009	99	12	12,1%	10 2009	31	4	12,9%
105	საქართველო	10 2012	150	18	12,0%	---	---	---	---
"	სირიის არაბული რესპუბლიკა	5 2012	250	30	12,0%	---	---	---	---
106	სურინამი	5 2010	51	6	11,8%	---	---	---	---

დიაგრამა 6. ქალთა რაოდენობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში



[13] http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 7 ქალი, ხოლო პროპორციული სიით - 11 ქალი, ანუ ქალებმა მაჟორიტარული მანდატების 9.5% (2008 -1,3%) ხოლო პროპორციული მანდატების 14,2% (10,6%, - 2008) მანდატი მოიპოვეს. (იხ.დიაგრამა 7)

დიაგრამა 7. ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების მიხედვით.



საარჩევნო სუბიექტებისა და მათში შემავალი პარტიების მიხედვით ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები შემდეგნაირად არის გადანაწილებული; (იხ.ცხ.7)

ცხ.7.ქალთა მიერ მოპოვებული მანდატები პარტიების მიხედვით

საარჩევნო სუბიექტი	ქალთა მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა	%	საარჩევნო სისტემის მიხედვით
„ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" **85 მანდატი**	12	14.1%	
პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"	8		3 მაჟორიტარი 5 პროპორციული
საქართველოს კონსერვატიული პარტია	0		
პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"	0		
„საქართველოს რესპუბლიკური პარტია"	1		1 მაჟორიტარი
პ/გ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები"	2		1 მაჟორიტარი 1 პროპორციული
- .პ/გ „ეროვნული ფორუმი	1		1 პორპორციული
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	6	9.2%	1 მაჟორიტარი

65 მანდატი			5 პროპორციული

კოალიციაში შემავალი პარტიების მიხედვით, ყველაზე მეტი ქალი ქართულ ოცნებას ჰყავს, კონსერვატიული პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ არც ერთი ქალით არ არის პარლამენტში წარმოდგენილი.

ნაციონალური მოძრაობა 6 ქალით არის წარმოდგენილი (1 მაჟორიტარი, 5 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი) ეს მაჩვენებლი ამ პარტიისათვის მნიშვნელოვან პროგრესად უნდა მოვიაზროთ, რადგან პარტიას 2008 წელს 119 მანდატი გააჩნდა, ხოლო ამჟამად 65 მანდატი ანუ 45%-ით ნაკლები მანდატი აქვს, ქალთა რაოდენობა კი უცვლელი დარჩა.

რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 59 მაჟორიტარი კანდიდატი ქალიდან გამარჯვება 7 კანდიდატმა მოიპოვა, რაც მაჟორიტარული მანდატების 9.5%-ს შეადგენს. მთლიანობაში წადგენილი მაჟორიტარი ქალი კანდიდატებიდან გამარჯვება 11%-მა მოიპოვა, ანუ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი ქალი კანდიდატების 89% (2008 - 98.3%) არჩევნებში დამარცხდა. 2008 წელს დაახლოებით იგივე რაოდენობის 57 ქალი იყო წარდგენილი მაჟორიტარული სისტემით.

ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ პროპორციული მანდატების 15% (10.6%-2008) ხოლო მაჟორიტარული მანდატების 9% მოიპოვეს.

საინტერესოა, რომ 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებზე წარდგენილი ქალი კანდიდატების 40%-მა მოიპოვა გამარჯვება, რაც ეროვნული და ადგილობრივი დონის არჩევნებში ქალთა გამარჯვების განსხვავებული შესაძლებლობების კარგი მაგალითია.

6.საარჩევნო სისტემა და ქალთა წარმომადგენლობა

მსოფლიოში არსებული ტენდენციების ანალიზმა ცხადყო, რომ არსებობს კავშირი საარჩევნო სისტემასა და არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას შორის.[14] საერთო ჯამში იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პროპორციულ საარჩევნო სისტემას იყენებენ, არჩევით ორგანოებში ქალებს საშუალოდ მანდატების 20% აქვთ მოპოვებული, ხოლო ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის მქონე სახელმწიფოებში კი - 9%.

ცნობილმა მკვლევარმა მეტლენდმა[15] დაადგინა, რომ ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში არ არსებობს სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა რაოდენობას შორის. მან გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკური

[14] Pippa Norris , 2006, The Impact of Electoral Reform on Women's Representation
[15] Matland, R. E., 1998. Women's Legislative Representation in National Legislatures: A Comparison of Democracies in Developed and Developing Countries. Legislative Studies Quarterly 28 (1), 109-125

განვითარების გარკვეული ზღვარი, რათა ქალებმა ეფექტურად შესძლონ ისეთი ინსტიტუტის, როგორიც საარჩევნო სისტემაა, გამოყენება საკუთარი უფლებების დასაცავად.

საქართველოში არსებობს დადგენილი ე.წ. სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის. შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებში მეტი ქალი იქნა არჩეული, ვიდრე - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

7. ცვლილებები კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და მუხლის 30. 7^1 არასრულფასოვანი ამუშავება

სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით და პოზიტიური ცვლილებების მოლოდინით, 2011 წელს კანონში „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“შევიდა შემდეგი ცვლილება: მუხლი. 30. 7^1.

”საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 20%-ით. *(28.12.2011. N5661)“*

როგორც ავღნიშნეთ, მხოლოდ 6 სუბიექტმა, ანუ რეგისტრირებული პარტიების 40%-მა დაიცვა ნორმა, არც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და არც კოალიციას „ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნება“ აღნიშნული ნორმა არ შეუსრულებია. პროპორციული სისტემით ქართულმა ოცნებამ 200 კანდიდატიდან სიაში 33 ქალი შეიყვანა ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 155 კანდიდატიდან სიაში 17 ქალი შეიყვანა.[16]„ქართულმა ოცნებამ“ ეს მუხლი პირველივე ათეულში, ხოლო ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე ათეულშივე დაარღვია.
იმ შემთხვევაში თუ პარლამენტში გასული ორი სუბიექტი დაიცავდა გენდერულ ნორმას, ქართული ოცნება მიიღებდა 187706 ლარს დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას,ხოლო ნაციონალური მოძრაობა - 173804 ლარს.

გენდერული ნორმის დაცვისათვის მიღებული თანხის ხვედრითი წილი ხარჯებთან მიმართებაში შემდეგია - ქართული ოცნებისათვის -3%. ხოლო ნაციონალური მოზრაობისათვის 0.9%. შესაბამისად - „ქართული ოცნება“ მიიღებდა თითმის 3-ჯერ მეტ თანხას, თუმცა მას პროპორციული სიით ნაციონალურ მოძრაობაზე მხოლოდ ერთით მეტი ქალი ჰყავს წარმოდგენილი.

[16] http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617

ცხ.8. „გენდერული ნორმის“ დაცვის შემთხვევაში პარტიების დაფინანსების ოდენობა

საარჩევნო სუბიექტი	**ქართული ოცნება**	**ნაციონალური მოძრაობა**
სახელმწიფო დაფინანსება	1877064	1738041
საარჩევნო სუბიექტის ხარჯი[17] 2012 (აგვისტო-სექტემბერი)	6206577	18695669
დამატებითი დაფინანსება გენდერული ნორმის დაცვისათვის	187706	173804
გენდერული ნორმის დაცვისათვის მიღებული თანხების წილი ხარჯების მიხედვით	3%	0.9%
პროპორციული სიით გასული ქალები	6	5

შესაბამისად, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ეს ნორმა უარყოფით კორელაციაში ქალთა რაოდენობასთან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სუბიექტები ამ ნორმას დაიცავდნენ, და ამ ნორმას ამ ეტაპზე გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენა არ მოუხდენია, ამიტომ აუცილებელია ნორმის გამკაცრება და დამატებითი ელემენტების დამატება.

როგორც ვხედავთ, პარლამენტში გასულმა ორივე საარჩევნო სუბიექტმა ამ ნორმის იგნონირება მოახდინა, შესაბამისად, რაიმე ცვლილების ინიციინირებამდე და წინასწარ ნორმის „გლობალური“ ზეგავლენის პროგნოზირებამდე, სასურველი იქნებოდა, მოხდეს შესაძლებლობების ფარგლებში ამ ცვლილებების მოდელირება და სხვადასხვა მაჩვენებლებთან კორელაციის დადგენა, თუმცა 2012 წლის არჩევნებზე კანონის ამ მუხლის „მარცხი“ (ანუ 0% - იანი გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე) არ ნიშნავს, რომ შემდგომ ადგილობრივ თუ საპარლამენტო არჩევნებში ის ქალთა გავლენაზე დადებით შედეგს არ მოახდენს, რასაც პოლიტიკური პარტიების ქალთა დაწიანურებისათვის მეტი მზაობა და განსხვავებული პოლიტიკური კონიუნქტურა განაპირობებს.

8. რა ფაქტორებმა განაპირობა ქალთა რაოდენობის მატება? - ქალთა „გამარჯვების“ კოეფიციენტების მიმოხილვა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქალთა რაოდენობა პალრამენტში 2-ჯერ გაიზარდა და საქართველოს იტორიის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა;
რა ფაქტორებს შეეძლოთ განპირობებინათ ქალთა წარმომადგენლობის ზრდა?

[17] http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi

2008 წლის არჩევნების შედეგად ქალთა დაბალი წარმომადგენლობის გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზებად 235-დან 150-მდე შემცირებული მანდატების რაოდენობა, პროპორციული მანდატების როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი რაოდენობის შემცირება უნდა დავასახელოთ. ასეთი ცვლილებებისა და კონკურენციისათვის არც პარტიები და პოლიტიკოსი ქალები აღმოჩნდნენ მზად, შესაბამისად, თუ ქალთა დინამიკის შესადარებლად 2008 წლის წარმომადგენლობას გამოვრიცხავთ და დინამიკას 2004 წლის არჩევნებთან მიმართებაში განვიხილავთ, ქალთა რაოდენობა მხოლოდ 2,5%-ით გაიზარდა.

პროპორციული სიით არჩეული ქალები რაოდენობამ 15% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2008 წელს 10.6%-ს და 2004 წელს დაახლოებით 12,6%-ს შეადგენდა

მაჟორიტარული სისტემით ქალებმა მანდატების 9% მოიპოვეს, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 1.3%-ს უტოლდებოდა, ხოლო 2004 წელს 3%-ს.

ცხ.9. ქალთა არჩევნებში გამარჯვების კოეფიციენტი საარჩევნო სისტემებისა და საარჩევნო სუბიექტების მიხედვით ჯამურად

ყველა პარტია (სიის პირველი 50 კანდიდატის მიხედვით)	201
გამარჯვებული კანდიდატი	11
ქალთა გამარჯვების კოეფიციენტი	5.4%
მაჟორიტარები სულ	59
გამარჯვებული კანდიდატი	7
ქალთა გაამრჯვების კოეფიციენტი	11.8%

ცხ.10. ქალთა არჩევნებში გამარჯვების კოეფიციენტი საარჩევნო სისტემების და პარტიების მიხედვით

	ქართული ოცნება	ნაციონალური მოძრაობა
(სიის პირველი 50 კანდიდატის მიხედვით)	8	9
გამარჯვებული კანდიდატი	6	5
ქალთა გამარჯვების კოეფიციენტი	75%	55%
მაჟორიტარები სულ	8	3
გამარჯვებული კანდიდატი	6	1
ქალთა გამარჯვების კოეფიციენტი	75%	33.3

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, არჩევნებზე პოზიტიურად უნდა განვიხილოთ ქალი მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის 7-ჯერ ზრდა 2008 წელთან და 3-ჯერ ზრდა 2004 წელთან შედარებით. „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ერთი მაჟორიტარი ქალით არის წარმოდგენილი, ხოლო კოალიცია ”ქართულ ოცნება” – 6 დეპუტატით.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ სიით წარდგენილ ქალებს გამარჯვების 55%-იანი შესაძლებლობა/შანსი მისცა, ხოლო მაჟორიტარ ქალებს - 33%-იანი.
„ქართულმა ოცნებამ“ სიით წარდგენილ ქალებს გამარჯვების 75%-იანი შესაძლებლობა/შანსი მისცა, ხოლო მაჟორიტარ ქალებს ასევე - 75%-იანი.

დიაგრამა 8. ქალთა გამარჯვების კოეფიციენტები საარჩევნო სისტემებისა და საარჩევნო სუბიექტების მიხედვით



პრაქტიკულად ორ პოლუსიანი ელექტორალური სივრცის პირობებში ქალი მაჟორიტარი კანდიდატების წარმატეტები განაპირობა თუ არა პარტიის წარმატებამ? ქალი კანდიდატებისა და იმავე საარჩევნო ოლქში პარტიათა მიერ მიღებულ ხმების შედარება შემდეგ სურათს გვაძლევს:

ცხ.11. მაჟორიტარ კანდიდატთა და საარჩევნო სუბიექტთა მიერ მიღებული ხმები

	პარტიის მიერ მიღებული ხმები	კანდიდატის მიერ მიღებული ხმები	სხვაობა პარტიასა და კანდიდატს შორის მიღებულ ხმებს შორის
გამარჯვებული ქალი კანდიდატები			

ეკა ბესელია	58.6	57.23	-1,37
ფატი ხალვაში	56.73	55.42	-1,31
ელისო ჩაფიძე	46.75	52.03	+5,28
წულუკიანი თეა	72.6	72.19	-0,41
ხიდაშელი თინათინ	57.14	55	-2,14
მანანა კობახიძე	93.42	92.7	-0,72
მარიკა ვერულაშვილი	49.39	50.15	+0,76
დამარცხებული კანდიდატები			
მანანა ბერიკაშვილი	45.03	43.6	-1.43
დარეჯან ჩხეტიანი	29.49	28.9	-0.6
მანანა ჯინჭარაძე	44.18	46.77	+2.6
ნინო ხუციშვილი	31.3	30.3	- 1

როგორც ცხრილიდან ჩანს, პარტიისა და ქალი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების ოდენობა მცირე ცდომილების ფარგლებში იცვლება, შესაბამისად კანდიდატთა სქესი გადამწყვეტი არ აღმოჩნდა და შემდეგი კანონზომირება დაფიქსირდა - კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში პროპორციულ არჩევნებში ხმათა უმრავლეობის მომპოვებელი სუბიექტი მოცემულ ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებსაც იგებდა, მიუხედავად იმისა, ქალი თუ მამაკაცი კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი.

შესაბამისად, რაოდენობის ზრდის "გასაღები" კოალიცია „ქართულ ოცნებაშია" რომელმაც ქალებს მაჟორიტარი კანდიდატის რთული სტატუსი ანდო. თუმცა აქვე ასევე მნიშვნელოვანია პარტიის პოზიციები კამპანიის დაწყებამდე და კანდიდატთა წარდგენის მოტივაცია, ქალი კანდიდატების მივლენა მოხდა პარტიისთვის უკვე გარანტირებულ, უკვე წინასწარ „დამარცხებულად" მიჩნეულ თუ ნეიტრალურ მაჟორიტარულ ოლქებში.

ორ საარჩევნო სუბიექტიანმა პარლამენტმა ქალთა წარმომადგენლობაზე დადებითად იმოქმედა, როგორც ცნობილია, პარლამენტის ფრაგმენტაციის დაბალი დონე პირდაპირპორპოციულია ქალთა რაოდენობასთან საარჩევნო სიებში ქალთა არმოწინავე ადგილებზე განთავსების გამო.

9. პარტიების საარჩევნო პროგრამები[18] ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ

საარჩევნო პარტიების პროგრამების ანალიზის მოკლედ მიმოხილვა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების ხაზგასმის საშუალებას იძლევა:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამა დეკლარირებს, რომ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას, თუმცა ბუნდოვანია მისი მომავალი ქმედებები და პარტია ორ წარსულ მიღწევაზე აპელირებს - ცვლილებებზე „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში და პარლამენტში არსებულ გენდერულ საბჭოზე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ინიციატივად არის წარმოჩენილი.

„ქართული ოცნება“ ქალთა მონაწილეობის ზრდას შიდაპარტიული და ზოგადპოლიტიკური მიმართულებებით აპირებს. პროგრამის მიხედვით - პარტია მოკლევადიან პერსპექტივაში გადავა სასურველ მოდელზე, რომელიც საპირისპიროა მოდელისა – პარტიული აქტივისტი ქალები და გადაწყვეტილების მიმღები კაცები, რაც პრინციპში პარტიაში ქალთა დაწინაურების ახალ მექანიზმებს უნდა მოიაზრებდეს.

ახალი მემარჯვენეების პროგრამა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს აყენებს: ქალთა უმაღლესი განათლების პოპულარიზაციას, პარტიაში ქალთა კარიერულ სვლის მნიშვნელობას, ქალების ჩართულობას ბიზნესში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარებას.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ქალთა პარტიაში დაწინაურებისათვის აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევით პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერას - ქალებისათვის საარჩევნო პროცესში სააგიტაციო მასალის მომზადებასა, დაბეჭდვასა და გავრცელებაში.

ლეიბორისტული პარტია ქალებს შეუქცევადი პოლიტიკა გატარებას პირდება ოჯახური ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ასევე პოლიტიკაში მათ დაწინაურებას შეუწყობს ხელს.მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილულ პარტიებს გარკვეული აქცენტები აქვთ გაკეთებული ქალთა და გენდერულ საკითხებზე, არც ერთი პარტიის პროგრამაში არ ჩანს მწყობრი ქმედებების სისტემა, რომელიც ქალ ამომრჩეველს პარტიისკენ „მიიზიდავდა“ და დაარწმუნებდა ქალ ამომრჩეველს, რომ პარტიის მხარდაჭერა მისი პოლიტიკური უფლებების დაცვას განაპირობებდა.

ცხ.12. ამონარიდები პარტიების პროგრამებიდან

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას. ამ მიზნის ხელშეწყობისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური პარტიებისათვის წახალისების ზომების შემოღება. ამის მაგალითია საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილება, რომლიც მიხედვითაც თუ კი

[18] მომზადებულია საიტის www.partiebi.ge მასალების მიხედვით

რომელიმე პარტიას არჩევნების დროს პარტიულ სიაში ყოველ 10 ადამიანზე წარმოდგენილი ეყოლება 2 განსხვავებული სქესის ადამიანი მიიღებს 10%-ით მეტ სახელმწიფო დაფინანსებას. პარტიაში შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეული _ გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომლის ამოცანებია: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ყველა დონეზე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხელს უწყობს სამშვიდობო პროცესებში ქალთა ფართო, აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე. მსგავსი და სხვა აქტივობების მხარდასაჭერად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში შექმნილია გენდერული საბჭო.
ბიძინა ივანიშვილი -ქართული ოცნება
ქალთა მონაწილეობის გაზრდა ორი მიმართულებით უნდა მოხდეს – შიდაპარტიული და ზოგადპოლიტიკური. პირველ ასპექტს რაც შეეხება, დაფუძნდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალთა ფრთა, რომელიც მოიაზრება როგორც ქვედა და შუალედურ რგოლებში მომუშავე ქალთა რესურსის დაჯგუფებისა და გაძლიერების მექანიზმი. ქალთა ფრთის ხელმძღვანელი შეყვანილია პარტიის პოლიტიკურ საბჭოში, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა. ქალთა ფრთაში მობილიზებული რესურსიდან უნდა მოხდეს მსურველთა ჩაბმა პარტიული ორგანიზაციის ზედა რგოლებში, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა პარტიისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ გზით პარტია მოკლევადიან პერსპექტივაში გადავა სასურველ მოდელზე, რომელიც საპირისპიროა მოდელისა – პარტიული აქტივისტი ქალები და გადაწყვეტილების მიმღები კაცები. რაც შეეხება ზოგადპოლიტიკურ პროცესს, კოალიცია მიზნად ისახავს, დაიცვას არსებული საკანონმდებლო წამახალისებელი ნორმა საპარლამენტო არჩევნებისთვის განკუთვნილ სიაში და თვლის რა, რომ ეს ნორმა მხოლოდ საწყისია და არავითარ შემთხვევაში არ იძლევა კმაყოფილების საფუძველს, მომავალი ეროვნული თუ ადგილობრივი არჩევნებისთვის საარჩევნო სიაში უფრო მეტი ქალი კანდიდატის ყოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. გარდა ამისა, განსაკუთრებული ძალისხმევა ეთმობა მაჟორიტარობის კანდიდატებად ქალთა დასახელებას და ამ კანდიდატების მაქსიმალურ ხელშეწყობას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას.
ახალი მემარჯვენეები
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალები აქტიურად არიან ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, მათი მონაწილეობა პოლიტიკაში, განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ძლიერ დაბალია. ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული განვითარებისთვის აუცილებელია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების დაცვა და ქალებისთვის ხელის შეწყობა, აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ- პოლიტიკურ საქმიანობაში. ამისათვის: • სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამის მეშვეობით ხელი უნდა შეეწყოს პოლიტიკურ პარტიებში ქალების კარიერულ წინსვლას და მათ აქტიურ

მონაწილეობას არჩევნებში როგორც პარტიული სიებით, ასევე, მაჟორიტარულ კანდიდატებად („ახალი მემარჯვენეების“ მთავარი კომიტეტის დადგენილებით, 2012 წლის საპარლამენტო და ყველა შემდგომი არჩევნების პარტიული სიის მინიმუმ 30%-ს ქალები წარმოადგენენ); • უნდა მოხდეს ქალების მიერ უმაღლესი განათლების მიღების პოპულარიზაცია; • ხელი უნდა შეეწყოს ქალების ჩართვას ბიზნესში სპეციალური საკონსულტაციო პროგრამებისა და იაფი საკრედიტო რესურსების მიწოდების გზით; ქვეყანაში საჭირო რაოდენობით უნდა იყოს ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რათა ბავშვის აღზრდა არ გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი დედის პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის.
ქრიტიან დემოკრატიული მოძრაობა
ქრისტიან-დემოკრატების აზრით, უნდა გაძლიერდეს ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებში (დაფინასების გაზრდის არსებული სამოტივაციო სისტემა),ასევე, ქალი მაჟორიტარი კანდიდატების კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს ჩარევით პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ, სააგიტაციო მასალის მომზადებასა, დაბეჭდვასა და გავრცელებაში.
ლეიბორისტული პარტია
• სახელისუფლებო სტრუქტურებში გაიზრდება ქალთა პროპორციული წარმომადგენლობა. • პრინციპული და შეუქცევადი პოლიტიკა გატარდება ოჯახური ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

<u>10.საარჩევნო კამპანია ელექტორალური ქცევის გენდერული თავისებურებები და ქალთა ორგანიზაციების როლი</u>

საქართველოში ამ არჩევნების პერიოდშიც არ ჩატარებულა ამომრჩეველთა აქტივობის გენდერული მონიტორინგი და არც ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ელექტორალური ქცევის შესახებ არსებობს არჩევნების შემდგომი რაიმე კვლევა. (თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა ეგზიტპოლებს, რომლებიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად ამომრჩევლის სქესობრივ-ასაკობრივ დიფერენციასაც განიხილავს ან სხვა კომპლექსურ კვლევებს, სადაც გენდერული ჭრილი მხოლოდ დემოგრაფიული ინტერესის მიხედვით ნაწილშიაგანხილული)

ამ ვითარებაში ერთადერთი მიახლოებული სტატსიტიკის მოპოვების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გენდერული სხვაობები დაგვენახა, ეგზიტპოლის შედეგებია. ჩვენს მიერ ხელმისაწვდომი გახდა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეგზიტპოლი მხარდამჭერთა გენდერული ჭრილით. ამ ეგზიტპოლის მიხედვით, ნაციონალურ მოძრაობის ამომრჩევლებში ქალები 5%-ით

ჭარბობენ,[19] ხოლო „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს შორის მამაკაცების რაოდენობა 4%-ით მეტია .ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასა და სხვა პარტიებს მხარდამჭერები თანაბრად ჰყავდათ ქალებსა და მამაკაცებს შორის.

	+5% (ნაციონალური მოძრაობის ელექტორატი)
	+4% (ქართული ოცნების ელექტორატი)

სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიები კვლავ არ უთმობენ ამ მნიშვნელოვან საკითს სათანადო ყურადღებას და ქალი მხარდამჭერებისა თუ პოტენციური მხარდამჭერების, ქალ ამომრჩევლებზე ფოკუსირებულ კამპანიებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ.

2012 წელს ბარაქ ობამას კამპანია მკვეთრად იყო ფოკუსირებული ქალთა საკითხებზე. CNN-ის ეგზიტპოლების მიხედვით, ქალების 55%-მა ობამას, ხოლო 42%-მა მიტ რომნის დაუჭირა მხარი. ქალთა აქტივობამ 54% შეადგინა, შესაბამისად გენდერულმა სხვაობამ 18% შეადგინა, რაც 2008 წლის მაჩვენებელს მკვეთრად აღემატება[20] და უპრეცენდენტოა მას შემდეგ, რაც ამ ტიპის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება დაიწყო.

საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნაშრომში ყურადღებას უთმობს ამ საკითხს და აღნიშნავს: „ამ ხანებში ამერიკის ქალაქში, რომელსაც ბოსტონი ჰქვიან, ქალაქის გამგეობის არჩევნები იყო, თუმცა როგორც აქ, ისე სხვაგანაც ამერიკაში, დედათა აქვსთ უფლება არჩევანში მონაწილეობისა, მაგრამ დღეს–აქამომდე დედანი ამ უფლებას ბევრს არაფერს დასდევდნენ და არ ერეოდნენ არჩევანებში. ეხლა–კი, ამ ბოლოს არჩევანებში, თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპყრათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ. 22 000 დედაკაცი ჩაწერილა, საარჩევანოდ მოსული. ამათ თავისი საკუთარი კომიტეტი ჰქონიათ „ასთა დედათა“. ამ „ასთა დედათა“ კომიტეტს ისე ხერხიანად წაუყვანია საქმე, რომ სწავლა–განათლების საბჭოში და ქალაქის გამგეობაში სულ თავისი მომხრე რესპუბლიკანები გამოურჩევიათ.“

რაც შეეხება ქალთა ორგანიზაციების როლს საარჩევნო პროცესში და მათი მხარდაჭერის მნიშვნელობას პოლიტიკური პარტიებისათვის, ვინაიდან საქართველოში ქალთა მოძრაობა პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო ქალთა ორგანიზაციების როლი მხოლოდ პარტიების წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი გავლენის დონე მინიმალური იყო.

[19] http://gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=6019:qq--&catid=66:2010-11-25-16-47-31&Itemid=111
[20] http://www.huffingtonpost.com/2012/11/07/gender-gap-2012-election-obama_n_2086004.html

ძლიერი ქალთა მოძრაობის არსებობა პირდაპირ კავშირშია ქალთა რაოდენობასთან პოლიტიკაში და არჩევით ორგანოებში, შესაბამისად სანამ საქართველოში ძლიერი, კოორდინირებული და ეფექტური მენეჯმენტის მქონე ქალთა მოძრაობა არ იარსებებს, რომელიც ამომრჩეველთა მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს ქალ კანდიდატებს და იმ პარტიებს, რომლებიც ქალთა და გენდერულ საკითხებს ყველაზე კარგად ლობირებენ, ქალთა პოლიტიკაში მნიშვნელოვან პროგრესს არ უნდა ველოდოთ. ამავე საკითხთანაა დაკავშირებული ასევე აუცილებელი „გენდერული კვოტების“ ლობირებისა და კანონის დონეზე მათი ამუშავების საკითხი.

11.საარჩევნო კამპანიის გენდერული თავისებურებები

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მრავალი გენდერული თავისებურების გამოკვეთაა შესაძლებელი, თუმცა ეს უშალოდ მიმდინარეობისას მრავალი ტიპის მონიტორინგისა და დაკვირვების ინსტრუმენტების გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს, რაც საქართველოში არასოდეს განხორციელებულა.
ჩვენს მიერ მხოლოდ პარლამენტში გასული ქალების მედია-აქტივობის შესახებ გთავაზობთ ინფორმაციას: (2012 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე)

ქვემოთ წარმოდგენილია პარლამენტში გასულ ქალ დეპუტატთა 1 ივლისადან 1 ოქტომბრამდე მედიაში აქტიურობის ინტენსივობა, როგორც აბსოლუტურ, ასევე შედარებით კონტექსტში ინფორმაციული, პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის სეგრეგაციით.

ცხ.13. ინფორმაციული, პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაცია ხვედრითი წილის მიხედვით



ცხ.13. ინფორმაციული, პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაციის აბსოლუტური რაოდენობა



დასკვნები:

- 2012 წლის 1 ოქტომბირის მორიგი არჩევნები ეროვნული დონის საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.
- პარლამენტის მორიგ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2,215,661-ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 61.3%-ს. კვლავ არ არსებობს ინფორმაცია ოფიციალური ინფორმაცია ქალ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ და არც ქალთა არჩევნებში აქტივობის შესახებ
- ამომრჩეველ ქალთა რაოდენობა მცირე ცდომილების ფარგლებში ამომრჩეველთა 53.7%-ს შეადგენს.
- ქალთა რაოდენობა პარლამენტში 6%-დან (2008) 12%-მდე გაიზარდა, ხოლო 2004 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით 2.5%-ით.
- თექვსმეტი საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ 6-მა წარმოადგინა გენდერული ნორმის მოთხოვნით დაცული პროპორციული საარჩევნო სია და კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შესულმა ცვლილებებმა ქალთა წარმომადგენლობაზე გავლენა ვერ იქონია.

- საერთო ჯამში პროპორციულ სიებში 729, ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებს შორის 59 ქალი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, mათი საერთო რაოდენობა ამ არჩევნებზე მონაწილე კანდიდატების 28.74%-ს შეადგენდა.
- სიის სრული შემადგენლობაში ყველაზე მეტი ქალი ჰყავდა პარტიას „სამართლიანი საქართველოსათვის“,ხოლო ყველაზე ნაკლები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“
- ყველაზე მეტი კანდიდატი ქალი პარტიული სიის პირველ 50 კანდიდატს შორის წარმოდგენილი ჰყავდა სუბიექტს „მომავალი საქართველო“; ნაციონალურ მოძრობას - 9. ხოლო „ქართულ ოცნებას“ - 8 კანდიდატი.
- პირველ ათეულში ყველა სუბიექტს ჰყავდა წარმოდგენილი ქალი, მათ შორის ნაციონალურ მოძრაობას - 3, ხოლო ქართულ ოცნებას მხოლოდ-ერთი კანდიდატი.
- პირველ ათეულში ყველა სუბიექტს ჯამში 32 ქალი კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი, ანუ კანდიდატთა 20%, მეორე ათეულში პარტიებს წარდგენილი ჰყავდათ 37 ქალი კანდიდატი, ხოლო მესამე ათეულში 45 კანდიდატი.მეოთხე ათეულში - 43 კანდიდატი, ხოლო მეხუთე ათეულში - 44 კანდიდატი;
- 34 მაჟორიტარულ ოლქში ანუ ოლქების 46.5% ქალები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი:
- ყველაზე მეტი მაჟორიტარი კანდიდატი ქალი წარმოდგენილი ჰყავდა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას; ნაციონალურ მოძრაობას - 3, ხოლო ქართულ ოცნებას 7 მაჟორიტარი კანდიდატი ქალით იყო წარმოდგენილი.
- არჩევნების შედეგად ქალებმა 18 მანდატი მოიპოვეს, მას შემდეგ რაც 2 ქალი დეპუტატი დაინიშნა მინისტრის პოსტზე, ქალების მიერ 16 მანდატი არის მოპოვებული.

- მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 7 ქალი, ხოლო პროპორციული სიით - 11 ქალი. ანუ ქალებმა მაჟორიტარული მანდატების 9.5% (2008 -1,3%) ხოლო პროპორციული მანდატების 14,2% (10,6%, - 2008) მანდატი მოიპოვეს.
- კოალიციაში “ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება”შემავალი პარტიების მიხედვით, ყველაზე მეტი ქალი ქართულ ოცნებას ჰყავს, კონსერვატიული პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ არც ერთი ქალით არ არის პარლამენტში წარმოდგენილი.
- ნაციონალური მოძრაობა 6 ქალით არის წარმოდგენილი (1 მაჟორიტარი, 5 პრპოპრციული) ეს მაჩვენებლი ამ პარტიისათვის მნიშვნელოვან პროგრესად უნდა მოვიაზროთ, რადგან 2008 წელს 119 მანდატი, ხოლო ამჟამად 65 მანდატი ანუ 45%-ით ნაკლები მანდატი აქვთ, ქალთა რაოდენობა კი უცვლელი დარჩა.

- ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ პროპორციული მანდატების 15% (10,6%,-2008) ხოლო მაჟორიტარული მანდატების 9% მოიპოვეს.
- საქართველოში არსებობს დადგენილი ე.წ. სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა წარმომადგენლობას შორის. შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში პროპორციული საარჩევნო სისტემით პარლამენტსა და ადგილობრივი

თვითმმართველოების ორგანოებში მეტი ქალი იქნა არჩეული, ვიდრე - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

- არჩევნებზე პოზიტიურად უნდა განვიხილოთ ქალი მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის 7-ჯერ ზრდა 2008 წელთან და 3-ჯერ ზრდა 2004 წელთან შედარებით. „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ერთი მაჟორიტარი ქალით არის წარმოდგენილი, ხოლო კოალიცია ”ქართულ ოცნება” – 6 დეპუტატით.
- ნაციონალურმა მოძრობა სიით წარდგენილ ქალებს გამარჯვების 55%-იანი შესაძლებლობა მისცა, ხოლო მაჟორიტარ ქალებს - 33%-იანია.
- ქართულმა ოცნებამ სიით წარდგენილ ქალებს გამარჯვების 75%-იანი შესაძლებლობა მისცა, ხოლო მაჟორიტარ ქალებს ასევე - 75%-იანი.
- პარტიისა და პარტიის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი ქალი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების ოდენობა მცირე ცდომილების ფარგლებში იცვლება, შესაბამისად კანდიდატთა სქესი გადამწყვეტი არ აღმოჩნდა და შემდეგი კანონზომირება დაფიქსირდა - კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში პროპორციულ არჩევნებში ხმათა უმრავლეობის მომპოვებელი სუბიექტი მოცემულ ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებსაც იგებდა, მიუხედავად იმისა, ქალი თუ მამაკაცი კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი.
- მიუხედავად იმისა, პარტიებს გარკვეული აქცენტები ჰქონდათ გაკეთებული ქალთა და გენდერულ საკითხებზე, არც ერთი პარტიის პროგრამაში არ ჩანს მწყობრი ქმედებების სისტემა ამ საკითხებთან დაკავშირებით;
- ეგზიტპოლის მიხედვით, ნაციონალურ მოძრაობის ამომრჩევლებში ქალები 5%-ით ჭარბობენ, ხოლო „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს შორის მამაკაცების რაოდენობა 4%-ით მეტია .ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასა და სხვა პარტიებს მხარდამჭერები თანაბრად ჰყავდათ ქალებსა და მამაკაცებს შორის.
- საქართველოში ამ არჩევნების პერიოდშიც არ ჩატარებულა ამომრჩეველთა აქტივობის გენდერული მონიტორინგი და არც ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ელექტორალური ქცევის შესახებ არსებობს რაიმე არჩევნების შემდგომი კვლევა.
- ვინაიდან საქართველოში ქალთა მოძრაობა პრაქტიკულად არ არსებობს, ხოლო ქალთა ორგანიზაციების როლი მხოლოდ პარტიების წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობით შემოიფარგლებოდა და მათი პრაქტიკულად არანაირი გავლენა არ ჰქონიათ.
- მედია აქტიურად აშუქებდა ქალი კანიდატების საარჩევნო კამპანიას და მათზე ძირითადად ინფორმაციული ტიპის ინფორმაცია ჭარბობს.

2012 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ პოლიტიკური პარტიები კვლავ რჩებიან უმთავრეს ინსტრუმენტად ქალთა პოლიტიკაში დაწინაურებისათვის. პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია ქალისათვის, პარტიები სათანადო ძალისხმევას არ იჩენენ ქალების ხელშეწყობისათვის.

იქნება თუ არა ქალთა გაზრდილი რაოდენობა პარლამენტში ქალთა და გენდერული საკითხების ლობირების მნიშვნელოვანი ბაზისი, ამას პარლამენტის შემდგომი მოღვაწეობა გვიჩვენებს.

პარლამენტში არსებული 15 კომიტეტიდან მხოლოდ 2-ის თავმჯდომარეა ქალია, ანუ (კომიტეტების თავმჯდომარეების - 13%) ეს მაჩვენებლი დაახლოებით ქალთა რაოდენობის ექვივალენტურია. 8 ფრაქციიდან არც ერთი ქალი არ არის ფრაქციის თავმჯდომარე, პარლამენტის ბიუროს 32 წევრიდან, მხოლოდ 3 ქალია (9.3%) ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის 5 მოადგილიდან მხოლოდ ერთი ქალია მოადგილე.

უახლოეს მომავალში პარლამენტს ახალი „შრომის კოდექსის“ განხილვას გეგმავს. სწორედ ეს კანონი გახდება გამოწვევა და ტესტი იმისა, თუ როგორ მოახერხებენ ქალი პარლამენტარები კანონში ორსული ქალის და დედის უფლებების დაცვას დეკრეტული შვებულების სათანადო, სამართლიანი და ღირსეული ანაზღაურების თუ სხვა პარამეტრების თვალსაზრისით.

P.S.

«დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს, მიეცეს, თუ არა, რას იტყვი? მე ამა საკითხზე გაჭიანურებულს პასუხს არ მოგცემ და იმის კვლევას, თუ რა როლს ასრულებდა დედაკაცი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის და სხვ… მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერცავინ შემაცვლეინებს ამ რწმენას. დღეს რომ მაღალ ბიუროკრატიულ წრეებში, გავლენიან ადგილებზე მინისტრებისა და სხვა, დედაკაცები იყვნენ,..საჭირო რეფორმებს მალე ვეღირსებოდით.”- ვაჟა ფშაველა

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები საქართველოში

ქვეყნის დემოკრატიზაციის აღმშენებლობის პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის პრინციპების რეალიზება, ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალის როლის ამაღლება საზოგადოებაში არსებითად განაპირობებს ქალისა და მამაკაცის თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას. ქვეყნის განვითარების პროცესში ქალთა და მამაკაცთა სრულფასოვანი მონაწილეობისთვის აუცილებელია მათ თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი სოციალურ და ეკონომიკურ რესურსებზე, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ქალების საკმაო ნაწილისათვის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის პირობები შეზღუდულია რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. მათი ნაწილი იძულებულია შემოიფარგლოს ბავშვების აღზრდით, ოჯახური მეურნეობის გაძღოლით და სხვა არაანაზღაურებადი საქმიანობით.

საქართველოს ქალთა შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება აუცილებელია პირველ რიგში თვით ქალთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსის ასამაღლებლად, ვინაიდან თვითრეალიზაციისკენ, ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ და ბედნიერებისაკენ სწრაფვა მათი უფლებაა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალის მიერ ოჯახში თუ ოჯახს გარეთ გაწეული შრომა მნიშვნელოვნად განამტკიცებს სახელმწიფოს ძლიერებას.

შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები

ოფიციალური სტატისტიკით, 2011 წელს 2003 წელთან შედარებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 91,5 ათასი კაცით, ანუ 4,5 პროცენტით შემცირდა და მისმა რიცხოვნობამ 1959,3 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა რიცხვი ასევე შემცირდა 150,7 ათასი კაცით ანუ, 8,3 პროცენტით. დასაქმების დონე სტაბილურად უფრო მაღალია მამაკაცებში (63,7%; 868,9 ათასი კაცი), ვიდრე ქალებში (48,5%; 795,3 ათასი ქალი). Aამავე დროს, მთელ შესადარებელ პერიოდში (2003-2011 წლებში) უმუშევრობის დონე ასევე უფრო მაღალია მამაკაცებში და 2011 წლისათვის შეადგინა - 16,7 % (174,8 ათასი კაცი), ხოლო ქალებში მხოლოდ - 13,1% (120,3 ათასი ქალი). ეს ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია გამოწვეულია შრომის ბაზარზე ქალთა აქტიურობის მკვეთრი შემცირებით, რაც უმუშევრობის მაჩვენებლების გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება. მაგალითად, დღეისათვის სამუშაო ძალის გარეთ არის მოქცეული 725,3 ათასი ქალი და მხოლოდ 320,6 ათასი მამაკაცი. ანუ, მამაკაცებთან შედარებით, სამუშაო ძალის შემადგენლობიდან გამოსულია ქალთა 2,3-ჯერ მეტი რაოდენობა.

ასევე, ოფიციალური სტატისტიკით (2011წ) შეფასებულია, რომ დაქირავების საფუძველზე მუშაობს მუშაკთა მხოლოდ 38,0 პროცენტი (632,0 ათასი კაცი). დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი (61,6%) კი თვითდასაქმებულებს მიეკუთვნება. დასაქმების ასეთი სტრუქტურა

მნიშვნელოვანწილად განპირობებულია დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების განსაზღვრის არსებული მეთოდიკით, რომელიც ნაკლებად შეესაბამება საქართველოს შრომის ბაზარზე შექმნილ სიტუაციას. კერძოდ, დასაქმებულებად ითვლებიან პირები, რომლებიც გამოკვლევის ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით მუშაობდნენ ანაზღაურებად სამუშაოზე და სოფლად მცხოვრები ნებისმიერი პირი (ოჯახი), რომელსაც საკუთრებაში გააჩნია მიწის ნაკვეთი. საქართველოს პირობებში უმუშევრობისა და დასაქმების განსაზღვრის აღნიშნული მეთოდის გამოყენება საკამათოა და დიდი ხანია კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია უმუშევრობის განსაზღვრის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება. უმუშევრობის რეალური დონის შეფასების ალტერნატიულ წყაროდ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უმუშევართა ის რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ თავისუფალ სამუშაო ადგილზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ასეთი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო - ნორმატიული ბაზა და სახელმწიფო სამსახური.

ცხადია, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით რთულია შეაფასო შრომითი რესურსების დასაქმების სფეროში შექმნილი რეალური ვითარება. ამის მიუხედავად, არსებული ოფიციალური მონაცემებიც გვიჩვენებენ ტენდენციებს, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ჩამოყალიბდა გენდერული კუთხით.

თანამედროვე პირობებში ადგილი აქვს შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის გაღრმავებას და ქალის მატერიალური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუარესებას. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილის შრომითი მობილურობა და კონკურენტუნარიანობა მკვეთრად არის შემცირებული და ამას ხელს უწყობს არასრულყოფილი შრომის კანონმდებლობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს დამსაქმებლის (დამქირავებლის) და არა დაქირავებულისა და სამუშაოს მაძიებლის ინტერესებს.

საქართველოს შრომის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლა (სხვადასხვა ექსპერტული კვლევის მონაცემებისა და ვაკანსიების ბაზრის შესწავლამ) გვიჩვენებს, რომ შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას სამუშაო ადგილების შეზღუდულობის გარდა, სერიოზულად აფერხებს ის გარემოება, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა - მიწოდებას შორის არსებობს არამარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი დისბალანსიც. მთელი რიგი პროფესიების მიხედვით ჭარბწარმოების პარალელურად, არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა გარკვეული პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანურ რესურსებზე.

მასობრივი უმუშევრობის პირობებში, იმ სამუშაო ადგილებზეც, რომელიც შედარებით დაბალ კვალიფიკაციას და პროფესიულ ჩვევებს მოითხოვს, იზრდება მოთხოვნა და ამას დამსაქმებლები პასუხობენ კადრების შესარჩევი კრიტერიუმების გამკაცრებით და სხვადასხვა საკონკურსო ბარიერების დაწესებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების სპეციფიკას. დამსაქმებლები დაბალანაზღაურებად და არაკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე ზოგჯერ აწესებენ ისეთსავე მოთხოვნებს, როგორიც გამოიყენება პრესტიჟულ სახელმწიფო თანამდებობებზე და კომპანიებში კადრების შერჩევისას, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო. მაგალითად, ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა

გამყიდველი, მოლარე, სოციალური მუშაკი და სხვა, დამსაქმებლები გამოიყენებენ თითქმის ისეთსავე შერჩევის წესებს, როგორიც მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზეა. ზოგჯერ, დამსაქმებლები ქალთა მიმართ აყენებენ სამუშაოსთან სრულიად შეუსაბამო მოთხოვნებს, როგორიცაა ასაკი, გარეგნობა, წონა და სხვა.

კერძო კომპანიებს, რა თქმა უნდა უფლება აქვთ დამოუკიდებლად განსაზღვრონ კადრების შერჩევის კრიტერიუმები, მაგრამ ისინი დისკრიმინაციულ და შეურაცმყოფელ ხასიათს არ უნდა ატარებდნენ. ზოგ შემთხვევაში, კონკურსის ჩატარებისას დამსაქმებლები არ მიუთითებენ ვაკანტურ სამუშაო ადგილებზე შრომის ანაზღაურების პირობებს და აღნიშნავენ, რომ ეს არის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის კადრების შერჩევის პროცესს და არ შეესაბამება ადამიანის უფლებების მოთხოვნებს. ამ მხრივ, დღეს არსებული ვითარება ნორმალურად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ფარული დისკრიმინაციის ფორმები განსაკუთრებით ვლინდება ორსული და ბავშვიანი ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების მიმართ და ამ ფაქტების გამოვლენა, ან დადგენა უაღრესად გართულებულია, რადგან კანონმდებლობა არ ავალდებულებს დამსაქმებელს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება სამუშაოზე მიღების, ან გათავისუფლების შესახებ.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, სქესობრივ ჭრილში 2003 და 2011 წლებში

ათასი კაცი

სულ:	ქალები		მამაკაცები		სულ	
	2003	2011	2003	2011	2003	2011
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	968.7	915. 6	1082.0	1043. 6	2050.8	1959.3
დასაქმებული	857.0	795.3	957.9	868.9	1814.9	1664.2
დაქირავებული	294.9	297.9	323.6	334.1	618.5	632.0
თვითდასაქმებული	561.7	493.2	633.4	532.2	1195.2	1025.4
გაურკვეველი	0.4	4.3	0.8	2.5	1.3	6.8
უმუშევარი	111.7	120. 3	124.2	174.8	235.9	295.1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	711.5	725.3	336.9	320.6	1048. 4	1045.9
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	11. 5	13.1	11.5	16.7	11.5	15. 1
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	57. 7	55.8	76.3	76.5	66.2	65. 2
დასაქმების დონე (პროცენტებში)	51.0	48.5	67. 5	63.7	58.6	55.4



დღეისათვის შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული სიტუაციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ წლების მანძილზე შეფერხებულმა და არათანმიმდევრულმა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის შრომითი რესურსების მდგომარეობა. რამაც განსაკუთრებით გაამწვავა ქალთა მდგომარეობა და აშკარად წარმოაჩინა გენდერული დისბალანსი საზოგადოებაში.

ამ მხრივ არსებითად რთული ტენდენციები ჩამოყალიბდა შრომის ბაზარზე ქალთათვის, როგორც ქალაქად ისე სოფლად. შრომითი რესურსების მიწოდების ზრდისა და მათზე მოთხოვნის არნახული შემცირების პირობებში კვლავ მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ბაზარზე ქალთა უმუშევრობის დონე. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით მეტ აქტურობას იჩენენ, მაინც აშკარაა უთანასწორობა მათ შემოსავლებში, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში მათი დასაქმების მხრივ, ასევე ბიზნესში.

საბაზრო ეკონომიკურ პირობებზე გადასვლამ, ეკონომიკური რესტრუქტურიზაციით გამოწვეულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის როგორც საწარმოო, ასევე არასაწარმოო ქალთა ტრადიციული დასაქმების სფეროების არეალის შემცირება, რამაც მუშა და ინტელიგენციის წარმომადგენელ ქალთა შრომითი რესურსების უმეტესობა უმუშევარი დატოვა.

ქალებმა სამსახურისა და ხელფასის დაკარგვასთან ერთად დაკარგეს მასთან დაკავშირებული სოციალური დახმარებები და შეღავათები, ამასთან ქალთა მიერ

დედობისა და შრომითი საქმიანობის შეთავსებამ (ჩვეულმა ორმაგმა დატვირთვამ), მძიმე სამუშაო პირობებმა შინ და გარეთ, სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვის შეკვეცამ და ბავშვთა მოვლის შესაძლებლობათა შემცირებამ ღრმა კრიზისულ მდგომარეობაში ჩააგდო ისინი და სერიოზული პრობლემები შეუქმნა შრომის ბაზარზე.

ქალების უმეტესობა ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დასაღწევად კვლავაც ორიენტირებულია არალეგალურ შრომით მიგრაციაზე, რაც მათ ტრეფიკინგის, იძულებითი სქესობრივი, თუ შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლად აქცევს.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქალთა კადრების უმეტესობა მოექცა შრომის ბაზრის გარეთ, ანუ არაფორმალურ სექტორში ე.წ. "ჩრდილოვანი ეკონომიკის" არეალში, სადაც ყოველგვარი შრომითი უსაფრთხოების გარეშე მუშაობენ და უხეშად ირღვევა მათი უფლებები. მMომუშავე ქალებს საოჯახო მეურნეობის გაძღოლის პარალელურად სამუშაო ფუნქციის შესრულებისას ექმნებად დიდი სირთულეები (ადრინდელ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა უფასო სკოლამდელ დაწესებულებათა მომსახურეობა), რადგანაც მოიშალა საბავშვო ბაღების სისტემა და შესაბამისად ხელისშემწყობი პირობები შრომისათვის, რაც ხელს უშლის ქალის პროფესიული შრომის განვითარებას.

თანამედროვე შრომის ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, სპეციალობით დასაქმების შესაძლებლობები უაღრესად გართულებულია, ხოლო სამუშაო ადგილების რაოდენობა შეზღუდული (ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ არსებობს საინჟინრო-ტექნიკურ სპეციალობებზე მოთხოვნა), ვინაიდან გარდამავალ პერიოდში საწარმოების უდიდესი ნაწილი დაიხურა, წარმოების მასშტაბები კი უკიდურესად შეიკვეცა ან საწარმოების პროფილი შეიცვალა. სხვებთან ერთად, დაიხურა ის საწარმოებიც, რომლებშიც ძირითადად ქალები იყვნენ დასაქმებულები (აბრეშუმის წარმოება, საკონსერვო ქარხნები, სამკერვალო ფაბრიკები, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები და სხვ).

მხედველობაშია მისაღები, რიმ საერთაშორისო ვალდებულების მიუხედავად (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #88 კონვენცია), 2006 წლიდან საქართველოში აღარ ფუნქციონირებს დასაქმების სახელმწიფო სამსახური და მოქმედებაშია შრომის კოდექსი, რომელიც არ ითვალისწინებს მთელ რიგ საერთაშორისო ნორმებს შრომით ურთიერთობების რეგულირების სფეროში. ამავე დროს, კადრების მომზადება სხვადასხვა სპეციალობებში პროფესიული ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით, ჯერ კიდევ სუსტადაა დაკავშირებული შრომის ბაზრის თანამედროვე და პერსპექტიულ მოთხოვნებთან. ხშირად, განათლების სისტემაში კადრების მომზადება ხდება იმ სპეციალობებზე, რომლებზეც მოთხოვნა მცირეა.

განათლება და დასაქმება

დასაქმების არეალის შეზღუდვის გამო უმუშევრად დარჩენილმა მუშა და ინტელიგენციის წარმომადგენელმა ქალებმა დაკარგეს თავიანთი პროფესიული შესაძლებლობანი და აღმოჩნდნენ დაბალკონკურენტიან პირთა რიგებში. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (3-6 წელზე მეტი) უმუშეEვრობის გამო უმაღლესი განათლებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქალებმა განიცადეს დისკვალიფიკაცია და იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ არარეგისტრირებულ, თვითდასაქმების სფეროში.
ძალზე მნიშვნელოვანი თემაა განათლებისა და დასაქმების ურთიერთკავშირი. ამ თვალსაზრისით მუშაობა პრაქტიკულად არ მიმდინარეობს ან ძალზე შეზღუდულ, შემთხვევით და ლოკალურ ხასიათს ატარებს.

საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტებში მისაღები ადგილების რაოდენობა 18 ათასიდან 33 ათას ადგილამდე გაიზარდა, თუმცა ეს არ მომხდარა შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე. უნივერსიტეტების უმრავლესობა ამას უსახსრობის გამო ვერ ახერხებს. სწორედ, სათანადო კვლევის არარსებობის გამო, არ ხდება იმის შეფასება, თუ ერთ კონკრეტულ წელს გამოშვებულთა რა პროცენტი დასაქმდა თავისი პროფესიით. ეEს ფაქტორი მნიშვნელოვნად ართულებს და მომავალშიც გაართულებს შრომის ბაზარზე მოთხოვნა - მიწოდების პრობლემას, რომელიც აქტუალურია დღესაც, უმუშევრობის ძალზე მაღალი დონის პირობებშიც.

შრომის ანაზღაურება

ბოლო წლებში, ხელფასების არსებითი ზრდის მიუხედავად, ქალთა შრომის ანაზღაურების დონე ეკონომიკის ყველა დარგსა და ყველა სექტორში დაბალია, დაქირავებულ მამაკაცებთან შედარებით. დაქირავებულ მუშაკთა ნომინალური საშუალო ხელფასის შესახებ 2011 წლის მონაცემებით, ქალთა საშუალო ხელფასი მამაკაცის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 60%-ს შეადგენდა. დარგობრივ ჭრილში (15 დარგის მიხედვით) მოცემული შრომის ანაზღაურების დონეების განხილვა გვიჩვენებს, რომ ყველა დარგში ქალთა შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცებისას. ამასთან, 2003 წელთან შედარებით ეს დიფერენციაცია კიდევ უფრო გაღრმავდა.

განსაკუთრებით ჩამორჩება ქალთა შრომის ანაზღაურება მამაკაცებისას, ისეთ დარგებში, როგორებიცაა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (58,0%); ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო ნაწარმის რემონტი (60,5%); სამთომოპოვებითი მრეწველობა (63,0); დამამუშავებელი მრეწველობა (62,4%); საფინანსო საქმიანობა (62,5%). ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე ნაკლები შრომის ანაზღაურების დონე ფიქსირდება ქალების მიხედვით სოფლის მეურნეობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელების მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურეობის, კომუნალური მომსახურების, განათლების სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სფეროში დაფიქსირებული დაბალი ხელფასები (საშუალო ხელფასი 319,6 ლარი).

გასათვალისწინებელია, რომ პედაგოგთა უდიდესი უმრავლესობა ქალია (84%), რაც ამ პრობლემას გენდერული უთანასწორობის სახეს აძლევს. პედაგოგთა შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრისას არ არის გათვალისწინებული იუნესკოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1966 წლის რეკომენდაციის ,,მასწავლებელთა სტატუსის შესახებ'' რიგი მოთხოვნები. კერძოდ, არაა უზრუნველყოფილი რეკომენდაციის 115-ე, 116-ე, 122-ე, 123-ე მუხლების მოთხოვნები, რომელიც შეეხება მასწავლებლის ხელფასის შესაბამისობას კვალიფიკაციასთან (სხვა პროფესიებთან მიმართებით), შეთავსებით მუშაობისას შრომის ანაზღაურების პირობებს, ხელფასის შესაბამისობას ნორმალური ცხოვრების დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფასთან, ხელფასის მსყიდველობითი უნარის დაცვას.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით, 2003 და 2011 წელს
ლარი

	2003			2011		
	სულ:	მათ შორის		სულ:	მათ შორის	
		ქალი	კაცი		ქალი	კაცი
სულ:	125.9	85.7	163.0	636.0	460.2	771.1
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	47.6	45.1	48.3	392.6	336.3	407.9
თევზჭერა, მეთევზეობა	46.2	25.2	54.3	271.1	252.0	273.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	218.7	192.4	226.2	838.6	551.9	876.2
დამამუშავებელი მრეწველობა	152.5	108.4	174.9	552.2	392.7	629.0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	250.2	226.2	257.0	877.0	846.5	884.1
მშენებლობა	206.2	124.3	215.4	738.5	513.7	753.7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	85.5	72.6	97.5	548.9	402.0	662.8
სასტუმროები და რესტორნები	56.6	51.1	63.0	342.4	292.5	427.2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	191.1	145.6	208.3	873.8	686.2	933.2
საფინანსო საქმიანობა	530.5	473.3	607.6	1386.3	1120.1	1762.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და						

მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	110.3	83.3	135.2	674.3	552.7	731.2
სახელმწიფო მმართველობა	132.0	93.9	151.5	998.8	903.2	1030.6
განათლება	68.5	62.7	86.7	319.6	299.2	389.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	76.8	69.0	106.0	522.9	444.3	765.5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	72.2	53.6	99.0	511.5	423.9	599.7



განუვითარებელი ეკონომიკის პირობებში, საკმაოდ გავრცელებულია არაფორმალური დასაქმება. საქმიანობის ოფიციალური რეგისტრაციისაგან თავის არიდება დასაქმებულებს

სრულიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებს, მათი შრომის პირობები და ანაზღაურება მთლიანად დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად არსებული შრომის კანონმდებლობითაა განპირობებული. 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსი უდიდეს უფლებებს ანიჭებს დამსაქმებლებს და დაქირავებულთა პირდაპირი დისკრიმინაციის ყველა პირობას ქმნის. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა 10-12 (ზოგ შემთხვევაში 14-16) საათიანი სამუშაო დღე, 6-7 დღიანი სამუშაო კვირა, საარსებო მინიმუმზე ნაკლები ანაზღაურება, ხელფასის დაგვიანებით მიცემა ან საერთოდ არ მიცემა, სამუშაოდან უმიზეზოდ დათხოვნა, ასაკის, გენდერული თუ სხვა ნიშნების მიხედვით თანამშრომელთა დისკრიმინაცია, დაუსაბუთებული ხანმოკლე შრომითი კონტრაქტები, ყოველგვარი სოციალური გარანტიების გარეშე მავნე და მძიმე სამუშაოებზე დასაქმება, ორსული ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების დედების უფლებების დაუცველობა (ეს იმ ფონზე, როდესაც გაეროს მონაცემებით, საქართველო შედის "დემოგრაფიულად მომაკვდავი" ქვეყნების რიცხვში).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მოქმედი შრომის კოდექსი არა მარტო დისკრიმინაციული, არამედ არარაციონალურიცაა. იგი არ ემსახურება, როგორც ზოგადად საზოგადოების, ასევე სახელმწიფოსა და თვით დამსაქმებლის ინტერესებსაც, რადგან ხელს უშლის მომუშავეთა შრომის მოტივაციის ამაღლებას და მწარმობლურობის ზრდას.

შრომის ანაზღაურების სფეროში ჩამოყალიბებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული ვითარება ქაოტურია, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პროფესიონალიზმს, შრომით გამოცდილებას, განათლების დონეს, განსხვავება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ შრომას შორის ანაზღაურების მიხედვით უმნიშვნელოა და დამსაქმებლები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ შედარებით ახალგაზრდა კადრებს. ადგილი აქვს ასაკის მიხედვით დისკრიმინაციას, რაც შრომის ანაზღაურების დონეშიც აისახება.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილებზე ხშირად ირღვევა იმ ქალთა შრომის სამართლებრივი უფლებები, რომლებიც დასაქმებულები არიან კKერძო კაფეებში, ბარებში, რესტორნებში, მაღაზიებში, ჯიხურებში თუ სხვაგან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემურია შრომის მძიმე პირობები და სექსუალური ხასიათის იძულება და შევიწროება.

სახარბიელო მდგომარეობა არ არის შექმნილი ქალთა დასაქმების თვალსაზრისით არც სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც აგრეთვე შეზღუდულია ქალთა პროფესიული წინსვა და კარიერული ზრდა. ქალები ძირითადად დასაქმებულები არიან რიგით თანამდებობებზე, ხოლო საპასუხისმგებო, წამყვანი თანამდებობები უმეტესად მამაკაცებს უკავიათ.

შრომის ბაზარზე ქალთა დასაქმების თვალსაზრისით განვითარებულმა პროცესებმა დაგვანახა, ქალთა შრომითი უფლებების სერიოზული დარღვევები, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- აშკარა დისკრიმინაცია შრომითი დასაქმების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ქალებისათვის;
- ფეხმძიმე და ჩვილბავშვიან ქალთა დისკრიმინაცია;
- დასაოჯახებელ ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევები (სამსახურში მისაღებ პირობად სიტყვიერი დათქმა, სახელშეკრულებო პერიოდში დაოჯახებაზე უარის თქმა);
- ოფიციალურ განცხადებებში ასაკობრივი, გარეგნული და სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია;
- უთანასწორობა თანამდებობაზე დანიშვნისა და სამსახურეობრივი დაწინაურებისას;
- სამუშაო ადგილებზე ქალთა მიმართ სექსუალური ხასიათის იძულება და ზეწოლა;
- სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა ნეგატიური ტენდენციები.

ქალაქად მცხოვრები ქალებისაგან განსხვავებით, სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმების შესაძლებლობები უფრო შეზღუდულია. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლამ ყველაზე მეტად გაართულა სოფლად ქალთა ბედი. მათი ეკონომიკური და სოციალური სტატუსის ამაღლებისათვის, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად არ არის შექმნილი არანაირი ხელისშემწყობი პირობები. ოჯახში მათ მიერ გაწეული მძიმე ფიზიკური შრომა (ოჯახში საჭმლის მომზადება, რეცხვა, ბინის დალაგება, კერვა, ბავშვების მოვლა, წყლის ზიდვა, საქონლის მოვლა, მიწაზე მუშაობა და სხვა) ძირითადად ოჯახური კეთილდღEობის უზრუნველყოფას ემსახურება. ისინი ნაკლებად არიან საკუთარ ფუნდამენტურ უფლებებში გათვითცნობიერებულნი, რის გამოც შეფერხებულია მათი უფლებების რეალიზება. ქალები ნაკლებად მონაწილეობენ ადგილობრივ დონეზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად სოფლის განვითარების საქმეში. ბBევრი მათგანი იზოლირებულია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და არ გააჩნია ხელშემწყობი პირობები მათი საოჯახო და ფერმერული მეურნეობის საქმიანობის წამოწყებისა და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

ქალთა სამართლებრივი გარანტიები საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მომქმედი ეროვნული კანონმდებლობითა და აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, ამომწურავად არის დარეგულირებული ქალისა და კაცის თანასწორობა, მათ მიერ სამოქალაქო, პოლიტიკური თუ სოციალური უფლებებით სარგებლობისა და ცხოვრებაში რეალიზების უფლება - ქალთა მონაწილეობის დონე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში ძალზედ დაბალია. 2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოს პარლანეტში მხოლოდ 18 ქალია, ხოლო საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში არის სამი ქალი მინისტრი.

გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში ქალთა მონაწილეობის ასეთი დაბალი მაჩვენებელი ნათელყოფს იმას, რომ სახელმწიფო მშენებლობის პროცესში არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტის (ქალები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 53%-ს შეადგენენ) ინტერესები, ხედვა შრომითი და

ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს როგორც ქალთა მოსახლეობის, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა," მათ შორის სამოქალაქო თუ შრომითი დამოუკიდებლობის უფლებისა. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა გვაძლევს იმის საშუალებას ვაღიაროთ, რომ საზოგადოება პატივს სცემს ქალის უფლებას თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული იდეები.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: `საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოსთან ან საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ."

ამგვარად, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ძალზედ აქტუალურია ის ვალდებულებები, რასაც ადამიანის უფლებების კუთხით იღებს საერთაშორისო დონეზე საქართველოს სახელმწიფო და მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კანონმდებლობა სრულად იყოს ჰარმონიზირებული საქართველოში რატიფიცირებულ საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზასთან.

ქალთა უფლებები, ცხადია იგივე ადამიანის უფლებებია, მაგრამ ვინაიდან ქალთა უთანასწორობა მამაკაცებთან შედარებით ღრმად ფესვგამდგარი ფენომენია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, საერთაშორისო დონეზე გაეროს ფორმატში სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სპეციალური კონვენციის მიღება. 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენცია "ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ" (CEDAW), რომელსაც თავისი მნიშვნელობის და მასშტაბურობის გამო პირდაპირ ქალთა კონვენციასაც უწოდებენ. საქართველო ამ კონვენციას 1994 წელს ყოველგვარი დათქმის გარეშე მიუერთდა.

CEDAW კონვენციის ტექსტი შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან. კონვენციის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ "სიღარიბის პირობებში ქალებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სურსათი, ჯანმრთელობის დაცვის საშუალებები, განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება."

კონვენციის პირველი მუხლი წარმოადგენს ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის განმარტებას. თერმინი "ქალის დისკრიმინაცია" ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯნვას ან შეზღუდვას, რომელმაც შესაძლებელია შედეგად მოიტანოს ქალისათვის, მისი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის

თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა (ქალთა კონვენცია მუხლი 1). კონვენციის 2-6 მუხლები ადგენენ სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს, რაც კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ, რომ მიიღწეს სქესთა შორის თანასწორობა.E ეს ძალისხმევებია: სახელმწიფოებს უდგენს სტრატეგიებს კონვენციის განსახორციელებლად (მუხლი 2), სახელმწიფოებს უდგენს შესაბამისი ზომების მიღებას პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ქალის განვითარებისათვის (მუხლი 3), სპეციალური ზომები (მუხლი 4), დისკრიმინაციული სოციალური და კულტურული ნორმების შეცვლა (მუხლი 5), ქალთა ტრეფიკინგის აღმოფხვრა (მუხლი 6).

7-16 მუხლები ეძღვნება დისკრიმინაციის სპეციფიურ სფეროებს, კერძოდ: ქალთა და კაცთა თანაბარუფლებიანობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მუხლი 7), საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს წარმოდგენის უფლებას (მუხლი 8), ქალის უფლებას მიიღოს, შეიცვალოს და შეინარჩუნოს ეროვნება (მუხლი 9), ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებას განათლებაზე (მუხლი 10), ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობას დასაქმების სფეროში (მუხლი 11), ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე (მუხლი 12), ქალის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს (მუხლი 13), სოფლად მცხოვრები ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (მუხლი14), კანონის წინაშე ქალის და მამაკაცის თანასწორობის მიღწევისათვის (მუხლი 15), ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მოწოდებას ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებში (მუხლი 16).

17-22 მუხლები არეგულირებენ კონვენციის დანერგვის მონიტორინგის შემსრულებელი ორგანოს მუშაობას. იქმნება კომიტეტი ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც მიიღებს და განიხილავს სახელმწიფოს პირველ ანგარიშს კონვენციასთან მიერთებიდან ერთი წლის შემდეგ და პერიოდულ პროგრესულ ანგარიშს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

საქართველომ პირველი სახელმწიფო და ჩრდილოვანი, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ალტერნატიული ანგარიშები კომიტეტს 1998 წელს წარუდგინა. მეორე და მესამე პერიოდული ანგარიშები კომიტეტმა ერთიანად განიხილა 2006 წელს და დასკვნით კომენტარში აღნიშნა:
კომიტეტი ითხოვს სახელმწიფო მხარისგან ქალებზე ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ზეგავლენის შეფასებას და პრობლემის დასაძლევად საჭირო რესურსების მობილიზაციას;

კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში და განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას დაუცველ ჯგუფებზე, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალებზე, მოხუცებულებზე, ოჯახის მარჩენალ ქალებზე, იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და გოგონებზე. კომიტეტი

მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად ქალებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საბანკო სესხები და სხვა ფორმის ფინანსური კრედიტები.

არსებობს მთელი რიგი სხვა საერთაშორისო დოკუმენტები, რაც ამყარებს ქალთა უფლებებს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას; აღსანიშნავია, "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი" (რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წელს), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1958 წლის კონვენცია - #111, შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახე და 1851 წლის კონვენცია - #100 "მამაკაცისა და ქალის თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ", რომლებსაც ასევე მიერთებულია საქართველო.

სოციალურ - ეკონომიკური უფლებების დაცვის სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის რეალიზების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია - "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების" საერთაშორისო პაქტი, რომლის ფარგლებში აღიარებულია შემდეგი პრინციპები:

- სამართლიანი და უსაფრთხო შრომის პირობები მშრომელებისათვის; სამუშაო მოპოვებისა და არჩევის უფლება;
- პროფესიული კავშირის შექმნის, მასში გაერთიანებისა და მოქმედების უფლება,

"სოციალური უზრუნველყოფა" მოხუცებულობისა და უმუშევრობის დროს ხელისუფლების მხრიდან დახმარების მიღების ჩათვლით, ხალხის ფინასური და სხვა დახმარება, როცა ეს მათ ესაჭიროებათ, რათა ღირსეულად იცხოვრონ;

- ოჯახების დახმარება და დაცვა;
- თანაბარი საქორწინო უფლებები მამაკაცებისა და ქალებისათვის;
- ცხოვრების ადექვატური დონე ყველასათვის, შესაფერისი ტანსაცმლის, ბინის და საკვების ჩათვლით;
- ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის მაღალი დონე ყველასათვის;
- დამაკმაყოფილებელი დაწყებითი განათლება ყველასათვის და შემდგომი განათლების გაზრდილი შესაძლებლობები;
- საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და მეცნიერულ პროგრესისაგან სარგებლობის მიღების უფლება;

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემების მიხედვით, ქალთა შრომითი უფლებების დაცვისა და მათი დასაქმების სამართლიანი გარანტიების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) როლი.

ILO-ს ძირითადი საქმიანობაა, კონვენციების და რეკომენდაციების ფორმით ჩამოაყალიბოს შრომითი სტანდარტები. შრომითი სტანდარტები თავისი ხასიათით შეიძლება ტექნიკური იყოს, ისინი აგრეთვე შეიცავენ ადამიანის უფლებათა კომპონენტს, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე ქალთა უფლებებს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები: 1851 წლის #100 კონვენცია - "მამაკაცისა და ქალის თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ"; 1958 წლის # 111 კონვენცია -" შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ".

ILO-ს კონსტიტუციის პრეამბულა მოიცავს ქალების დაცვას დაუყოვნებლივ გასაუმჯობესებელი სამუშაო პირობების ჩამონათვალის მიხედვით და ამკვიდრებს თანაბარი ანაზღაურების პრინციპს. ILO-ს ძირითადი კონვენცია - #111, რომელიც ეხება თანასწორობას სამუშაო ადგილზე, მრავალგან იყო რატიფიცირებული (1993 წლამდე 118 ქვეყანაში).

ILO–ს სტანდარტები, რომელიც ეხება ქალებს, ზოგადად ემსახურება ორ ამოცანას:

- დაიცვას მშრომელი ქალები ექსპლუატაციისაგან და სახიფათო შრომითი პირობებისაგან;
- გზა გაუხსნას ქალებისათვის სამსახურეობრივ პერსპექტივას ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის გზით.

ILO-ს რამდენიმე კონვენცია და რეკომენდაცია ეხება სამუშაო ადგილზე ქალების თანასწორობას, თუმცა უმეტესწილად იგი არ არის ფართოდ გამოყენებული.

ქალთა შრომის სამართლებრივი პრინციპების რეალიზება ეროვნული კანონმდებლობით დარეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსში, რომელიც მიღებულ იქნა 2006 წელს. შრომის ეროვნული კანონმდებლობა სრულად უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო პრინციპებით აღიარებულ მოთხოვნებს, თუმცა ქვეყანაში დღეისათვის მომქმედი შრომის კოდექსი არ პასუხობს საყოველთაოდ მიღებულ მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის მოთხოვნას და წინააღმდეგობაში მოდის შრომის ძირითად ფუძემდებლურ პრინციპებთან (ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო და გაეროს კონვენციები, პაქტები და სხვა), ზედაპირულად, არასრულყოფილად მოიცავს რიგ მნიშვნელოვან დებულებებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ ითვალისწინებს მათ და შეუსაბამობაშია ეროვნულ პირობებთან და ქმნის ხელსაყრელ გარემოს ადამიანის შრომითი უფლებების დისკრიმინაციისათვის. ასე მაგალითად, აღნიშნულ შრომის კოდექსში, მანამდე მოქმედ შრომის კოდექსთან შედარებით, ქალთა შრომითი უფლებები შეიზღუდა. ძველ კოდექსში მკაფიოდ იყო განსაზღვრული ქალთა შრომითი პირობების თავისებურებანი, რა სამუშაოს შესრულება ევალება ქალს და როგორ უნდა დაიცვას მან თავისი დარღვეული შრომითი უფლებები. სამწუხაროდ, ამ უფლებებს დღეს მომქმედ შრომის კოდექსში ვერ ნახავთ.

ათასობით ქალს საქართველოში არ გააჩნია დედობის უფლების დაცვის გარანტიები, რომლებიც დადგენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებით. დეკრეტული შვებულების ვადები და ანაზღაურება არ აძლევს დედებს იმის საშუალებას, რომ სრულად უზრუნველყოს ბავშვის მოვლა. ის ანაზღაურება, რომელიც მოქმედი შრომის კანონით არის გათვალისწინებული დეკრეტული შვებულების შემთხვევაში, საკმარისი არ არის და დედას აიძულებს, სამსახურს ვადის ამოწურვამდე დაუბრუნდეს. სახელმწიფო ამ

კანონმდებლობით არ ცდილობს დედების უფლებების დაცვასა და დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტას.

შრომის ხელშეკრულება:

მომქმედი შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად "შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით". შრომის ხელშეკრულების ზეპირი ფორმა პრინციპულად მიუღებელია, კერძოდ:

შრომითი ურთიერთობის სპეციფიკიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე აუცილებელია შრომის ხელშეკრულების პირობები იყოს გაწერილი და დადასტურებული მხარეთა ხელმოწერით, რადგან დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებს ძალზე გაურთულდებათ გარკვეული გარემოებების მტკიცება.

შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა:

ევროპის სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ,,აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება.'' კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში, იგი ვალდებულია 30 დღით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ დამსაქმებელი, მაგრამ არ არის დაფიქსირებული დამსაქმებლის ანალოგიური ვალდებულება, მისი ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში და შესაბამისად, დაქირავებული ყოველგვარი დაცვის გარეშეE არის დარჩენილი.

საქართველოს კანონმდებლობაში არ არის ასახული იუნესკოსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1966 წლის რეკომენდაციის ,,მასწავლებელთა სტატუსის შესახებ'' 30-ე და 45-ე მუხლების მოთხოვნები, რომლებიც შეეხება მასწავლებელთა დასაქმებისა და თანამდებობაზე ყოფნის გარანტიებს.

შრომის კოდექსის 37_ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის მიხედვით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შრომისუუნარობის დადგენა, თუ მისი ვადა აღემატება 30 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 50 კალენდარულ დღეს. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძვლად შრომისუუნარობის ვადის ასეთი ერთმნიშვნელოვანი დაწესება განსაკუთრებულად რთულ მდგომარეობაში აყენებს დაქირავებულებს. მხედველობაში არაა მიღებული დაავადების სახეობა, მკურნალობისათვის საჭირო დრო და შრომისუნარიანობაზე მისი გავლენა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს მომენტები გათვალისწინებული იყო ძველ "შრომის კანონთა კოდექსში", სადაც ეს ვადა შეადგენდა ზედიზედ 4 თვეზე მეტ ხანს და ეს ვადაც არ ვრცელდებოდა იმ დაავადებებზე, რომლებზედაც ჯანდაცვის ორგანოების მიერ მკურნალობის უფრო

ხანგრძლივი ვადაა დაწესებული (იხ. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, მუხლი 34, პუნქტი 1 ,,დ'').

კოდექსში საერთოდ არ არის მითითებული დამქირავებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაქირავებულის წინასწარ გაფრთხილების (გარკვეული ვადით) მოთხოვნა და შესაბამისად, დაქირავებული ყოველგვარი დაცვის გარეშეE არის დარჩენილი. ევროპის სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ''აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება''.

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება:

შრომის კოდექსში არ არის აღნიშნული ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების შესახებ. კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ ,,ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით''. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სავალდებულო ნორმების დაწესება ზეგანაკვეთური მუშაობის პირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას რიგი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები. შრომის საერთაშორისო ორგანიხაციის #29 კონვენციის ,,იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ'' მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ,,კომპეტენტურმა ხელისუფლებამ არ უნდა დააწესოს, არც ნება უნდა დართოს დაწესდეს იძულებითი ან სავალდებულო შრომა კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ.''

შრომის ანაზღაურება:

შრომის კოდექსში არ არის გათვალისწინებული ცნება - მინიმალური ხელფასი, რომელიც ფიგურირებდა ძველ შრომის კანონთა კოდექსში, მაშინ, როდესაც ოფიციალურად ეს მაჩვენებელი არ გაუქმებულა და დღემდე მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ მინიმალური ხელფასის განსაზღრას კოდექსში აქვს პრინციპული მნიშვნელობა, შრომის ანაზღაურების სისტემის სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ მინიმალური ხელფასი და საშემოსავლო დაბეგვრა წარმოადგენს შემოსავლების რეგულირებისა და დიფერენციაციის ქმედით ინსტრუმენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მომქმედი შრომის კოდექსის განხილვისას, ყურადღება იყო გამახვილებული ძირითადად საკვანძო საკითხებზე, რადგან შეუძლებელია თვითეული მუხლის კომენტირება და შეფასება, თუმცა აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მუხლი მოითხოვს არსებით ცვლილებასა და გადამუშავებას.

კანონმდებლობა დეკრეტული შვებულება:

“შრომის კოდექსის”ცვლილებების განხილვისას, ერთ - ერთი ყველზე დიდი გამოხმაურება აქვს დეკრეტული შვებულებების რეგულირების საკითხს. ეს გასაგებია - ოჯახებს სურთ ბავშვების ყოლა. ამასთან, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე, მნიშვნელოვანია მშობიარობის პერიოდში (ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდგომ პერიოდში) ოჯახების შემოსავლების მხარდაჭერა და სამუშაო ადგილისა და ქალის კარიერისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა. თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ საკითხების რეგულირების წესებს, თუმცა არსებობს საერთაშორისო ნორმები (მინიმალური სტანდარტები) და ცალკეული ქვეყნების გამოცდილება, რომელთა გათვალისწინებაც სასარგებლო იქნება ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისას.

პირველად დედის უფლებები გათვალისწინებული იქნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციაში - დედობის დაცვის შესახებ (4 ივნისი 1952 წ. ჟენევა), რომლის მე-3 მუხლის მიხედვითაც დაკრეტული შვებულების მინიმალური ვადა განსაზღვრული იქნა 12 კვირით, 6 მშობიარობამდე და 6 მშობიარობის შემდეგ. Eეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს შვებულების მინიმალურ ვადას. ამასთან, ამავე მუხლის მიხედვით - ,,მშობიარობის შემდგომი შვებულების ხანგრძლიობა წესდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობით”.

დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობა დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებზე და განპირობებულია რელიგიით, ქვეყანაში არსებული სოციალურ - ეკონომიკური პირობებით, სოციალური პოლიტიკით, დემოგრაფიული სიტუაციით.

მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში სოციალური პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიმართული იყო შობადობის გაზრდისაკენ, ანაზღაურებადი დეკრეტულ შვებულების ხანგრძლიობა განისაზღვრა 96 კვირით (შვედეთი). ცალკეულ ქვეყნებში საკითხისადმი მიდგომა საკმაოდ განსხვავებულია, ზოგიერთ შემთხვევაში კი რადიკალურად განსხვავებული. საინტერსოა მათი განხილვა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

ნორვეგიაში მშობლებს აქვთ არჩევანი - ისარგებლონ 44 კვირიანი დეკრეტული შვებულებით, რომლის დროსაც ისინი მიიღებენ შემწეობას ხელფასის 100%-ის ოდენობით, ან ისარგებლონ 54 კვირიანი დეკრეტული შვებულებით - ხელფასის 80% - ის შესაბამისი შემწეობით.

იაპონიაში ქალებს შეუძლიათ ისარგებლონ 1 წლიანი დეკრეტული შვებულებით. ოჯახების მხარდაჭერის მიზნით, მრავალი კომპანია თავის ქალ თანამშრომლებს სთავაზობს შეღავათებს. მაგალითად, ახალგაზრდა დედებს უნაზღაურებს დამატებით ნახევარწლიან დეკრეტულ შვებულებას.

ბრაზილიაში დედებს ეძლევათ 24 კვირიანი დეკრეტული შვებულება ხელფასის შენარჩუნებით. გერმანიაში კი ორსულ ქალებს ეკრძალებათ მუშაობა მშობიარობამდე 6 კვირით

ადრე და 8 კვირით მშობიარობის შემდეგ. Aამ ხნის განმავლობაში ისინი იღებენ სრულ ხელფასს.

ისრაელში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობა შეადგენს 16 კვირას (ტყუპების დაბადების შემთხვევაში 17 კვირას).

აშშ-ში ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება კანონის თანახმად საერთოდ არ გაიცემა. დამსაქმებლებისათვის არახელსაყრელია თანამშრომელი ქალების გაშვება შვებულებაში. ხშირად, სამუშაოდ მიღებისას, ქალებს ეკითხებიან ,,ბავშვის გაჩენას როდის აპირებთ?'' ამერიკელ დედას შეიძლება მხოლოდ სამედიცინო დაზღვევის იმედი ჰქონდეს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიიღოს კომპენსაცია 6-8 კვირის განმავლობაში ,,შრომისუნარიანობის მოკლევადიანი დაკარგვისათვის''. მშობიარე ქალების შემდგომი ბედი მთლიანად დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, კომპანიის ტრადიციებზე და მის შიგნით არსებულ ურთიერთობებზე. თვით აუნაზღაურებადი 1 წლიანი შვებულებაც კი ამერიკაში ძალზე იშვიათია. როგორც იტყვიან, აი, ეს არის ემანსიპაცია!

გასათვალისწინებელია, რომ ისლანდიაში, სადაც ევროპაში ყველაზე მაღალი შობადობაა, ბავშვის დაბადებისას ოჯახი ღებულობს 25 ათას ევროს და პლიუს 36 კვირიან ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებას (ხელფასის 80% - ის ოდენობით). ვფიქრობთ, აქ პირდაპირი კავშირი არსებობს გატარებულ ეფექტიან სოციალურ პოლიტიკასა და შობადობის ზრდას შორის.

100 წლის წინ, პირველად ევროპაში, საფრანგეთი შეეჯახა მოსახლეობის კლების პრობლემას. იქიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მთავრობა იღებდა კანონებს, რომლებიც შობადობის ზრდისკენ იყო მიმართული და ქმნიდა გარანტიებს დედებისათვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებისათვის ახალშობილთა მოვლის პერიოდში. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო - დღეისათვის თითოეულ ქალზე საშუალოდ 2 ბავშვი მოდის და ეს მაშინ, როდესაც შრომისუნარიანი ასაკის ქალების 87% დასაქმებულია. ბავშვების ყოლასა და კარიერას შორის არჩევანის პრობლემა აღარ არსებობს. დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობა შეადგენს 16 კვირას და ამ პერიოდში სრულადაა შენარჩუნებული ხელფასი. 16 კვირის გასვლის შემდეგ, ქალს უფლება აქვს გავიდეს სამუშაოზე, ან აიღოს აუნაზღაურებელი დეკრეტული შვებულება 3 წლის ვადით. ამასთან ერთად, ის მიიღებს ყოველთვიურ დახმარებას 390 ევროს ოდენობით 3 წლის განმავლობაში.

საფრანგეთში იგეგმება, რომ უახლოეს პერიოდში მესამე ბავშვის დაბადების შემდეგ, დედას გადაუხადონ 1000 ევრო ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში. არსებობს დამატებითი შეღავათებიც - შვებულების შემწეობა ბავშვის სკოლაში შესვლის მომზადებისათვის. ფრანგ ქალებს აქვთ არჩევანი - იმუშაონ სრულად, ან შემცირებული დროის პირობებში. გასაკვირი არ არის, რომ საფრანგეთი გახდა დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორების მაგალითი მთელი მსოფლიოსათვის.

საქართველოში არსებული სოციალურ - ეკონომიკური ვითარება, უმუშევრობისა და სიღარიბის ფართო მასშტაბები, საკმაოდ ზღუდავს ქალთა ეფექტური სოციალური

მხარდაჭერის შესაძლებლობას. Aამის მიუხედავად, საჭიროა გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც გააუმჯობესებენ ქალთა მდგომარეობას (მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით) და შექმნის პირობებს ქალთა უფლებების უფრო სრულყოფილი დაცვისათვის.

ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა და განხორციელებულმა სისტემურმა ცვლილებებმა დიდი გავლენა მოახდინა დემოგრაფიულ სიტუაციაზე. შექმნილ დემოგრაფიულ სიტუაციას კრიზისის ხასიათი აქვს, რისი გამომწვევი მიზეზებიცაა: შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება, გარკვეულწილად მოკვდაობის ზრდა, მოსახლეობის პროგრესირებადი შეკვეცილი კვლავწარმოება ზოგიერთ რაიონში, დეფორმირებული სქესობრივ - ასაკობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, ჯანმრთელობის გაუარესება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ორსული ქალების და მათი ოჯახების სოციალურ- – ეკონომიკური მხარდაჭერისა და ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის (შობადობის) გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენთვის უფრო მისაღებია იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც დეკრეტული შვებულებების საკითხები რეგულირდება დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების აქცენტით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, მაგრამ უნდა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული კურსი, რომელიც ხანგრძლივ პერიოდში იმოქმედებს და მისი ეფექტიანობა გაიზრდება ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ვითარების გაუმჯობესების შესაბამისად.

ვფიქრობთ, თანამედროვე პირობებში დეკრეტული შვებულებების ხანგრძლიობის და ანაზღაურებადი შვებულებების დაფინანსების საკითხი სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. Aამ სახის კომპენსაციების დაფინანსების დამსაქმებლებისათვის დაკისრებამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო ნეგატიური, ვიდრე დადებითი შედეგი. კერძოდ, ამან შეიძლება დამსაქმებლებს უბიძგოს იმისკენ, რომ თავი შეიკავონ ფერტილურ ასაკში მყოფი ქალების სამუშაოზე მიღებისაგან, ან ჰქონდეთ მათი გათავისუფლების მცდელობა სხვადასხვა (არა ორსულობის გამო) მიზეზით, რომელთა დადგენაც მეტად რთული იქნება. ამავე დროს, განვითარების ამ ეტაპზე, საქართველოში მოქმედი საწარმოებისათვის ეს მძიმე ტვირთი იქნება.

განათლების სფერო და გენდერული თანასწორობის საკითხები

გენდერული თანასწორობა განვითარებული და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების ერთ–ერთი პრინციპია. ის ნიშნავს, რომ ქალები და კაცები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით და უფლებებით ცხოვრების ყველა სფეროში. ყველას აქვს უფლება იმუშაოს და საკუთარი თავი უზრუნველყოს, დააბალანსოს კარიერა და ოჯახური ცხოვრება და იყოს თავისუფალი შეურაცხყოფისა და ძალადობისგან.

საზოგადოების/ქვეყნის გენდერულ თანასწორობისკენ სწრაფვას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი. ესენია, პრობლემების გაცნობიერება, საზოგადოების მზაობა და ღირებულებითი ორიენტირები, თანასწორობის დამცველი ინსტიტუტების არსებობა, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფი საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ვალდებულებები. ასევე აღვნიშნავდი თანასწორობის ტრადიციების არსებობას, რომელიც საშუალებას იძლევა მათზე დააშენო ახალი მიდგომები. ეს ყველაფერი სამართლიანია ასევე განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მიმართ. ზოგადად, გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესაფასებლად პირველ რიგში ყურადღება ექცევა თანასწორობის მაჩვენებლებს ეკონომიკის სფეროში, პოლიტიკაში, განათლებაში და ჯანდაცვის თვალსაზრისით.

მართლაც, გენდერული თანასწორობა, როგორც პრინციპი თავისთავად ცხადია, რომ განათლების სისტემაშიც უნდა იყოს ინტეგრირებული. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ბოლო წლებში აქვს აღებული ვალდებულებები განათლების სისტემაში გენდერული თანასწორობის გატარებაზე. თუმცა არის ნიშნები, რომლებზეც ქვემოთ შევაჩერებ ყურადაღებას, და რომელბიც არ მიუთითებენ გენდერულ თანასწორობაზე გაცნობიერებულ ორიენტირებაზე.

გენდერული თანასწორობის განზომილებები

განათლების პოლიტიკა, პროფესიის სტატუსი და სექტორში დასაქმების სტატისტიკა, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოების შინაარსი, სწავლების მიდგომები, შეფასების ფორმები, ფიზიკური გარემოს ორგანიზება და პედაგოგების, ადმინისტრაციის, მოსწავლეების ურთიერთობების სპეციფიკა – ეს ის საკითხებია, რომელებიც შეიძლება განვიხილოთ განათლების სისტემის შიგნით გენდერული თანასწორობა/უთანასწორობაზე საუბრისას.

ერთი შეხედვით, განათლება და გენდერული თანასწორობის მხრივ საკმაოდ უმტკივნეულო ზონაა. მართლაც, ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით ამ სფეროში თითქოს გენდერული თანასწორობის მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ამაზე მიუთითებს, მაგალითად ზოგადსაგნმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებელებში მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობის გენდერული თანაფარდობა. თუმცა გენდერული ანალიზი

გვთავაზობს, რომ შევხედოთ სტატისტიკას მაგრამ გავიხედოთ მის მიღმაც. მაგალითად რეკომენდირებულია ყურადღება მიექცეს რეალურ დასწრების მაჩვენებლებს და არა რამდენია რეგისტრირებული. ასევე რეკომენდირებულია გავყვეთ მაჩვენებლებს განათლების მიღების შესაძლებლობებიდან დასაქმებამდე, კარიერულ ასპირაციებამდე და შრომის ანაზღაურებამდე, რესურსებისადმი მისაწვდომობამდე, საზოგადოებრივ პროცესებში ქალების და კაცების რელურ მონაწილეობამდე და ა.შ. სწორედ ამ შემთვევაში შეიძლება გამოვავლინოთ ის უთანასწორობები (gender gap) რომელის საფუძველზიც შეიძლება ვეძებოთ განათლებაში.

მაგალითად თუ ავიღებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სტუდენტების რიცხვს 2010/2011 სასწ. წლის მონაცემებით ქალების სასარგებლო სურათი იქმნება. იხ.



(წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ-გამოცდების ეროვნული ცენტრი) იმავე წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეების განაწილება ასეთია:



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი. 2009–2010 წლების მონაცემები.

შეგვიძლია შევხედოთ ასევე დოქტორანტების მიღების სტატისტიკას სქესის მიხედვით, სადაც მაგალითად 2009–2010 წლის მონაცემებით მეტი ქალი სწავლობდა და იღებდა დოქტორის ხარისხს.



ამ დამაიმედებელი სტატისტიკის ფონზე პარადოქსულად უნდა ჩანდეს უმაღლეს სასწავლებელში პროფესორების განაწილების სურათი:

პროფესორ მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2009/2010 სასწ. წელს

ძირითადი პერსონალი	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მასწავლებელი
ქალი	663	1 284	973	334
კაცი	1 148	1 464	553	187
ხელშეკრულებით	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მასწავლებელი
ქალი	241	524	846	980
კაცი	468	429	423	423

ჩვენ მხოლოდ ერთ ხაზს გავადევნეთ თვალი და აშკარაა, რომ ტენდენცია ახსნას მოითხოვს. თუ კი გავყვებით განათლების შემდგომი შრომის ანაზღაურების „ხაზს“, აღმოვაჩენთ, რომ მთლიანად განათლების სექტორში ქალთა საშუალო ხელფასი მამაკაცის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ 80%–ს შეადგენს. ხოლო ანალოგიური მაჩვენებელი დასაქმების ყველა სექტორში კი 60%. უთანასწორობის ეს მაჩვენებელი, ერთი შეხედვით არავითარ კავშირში არ არის განათლებასთან, მაგრამ არც თუ უსაფუძვლო ვარაუდი არსებობს, რომ განათლების პროცესში ჩადებული სტერეოტიპული ორიენტირები ხელს უწყობს მომავალში ასეთ მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ, მთელი ევროპის მასშტაბით, სურათი ძალიან მსგავსია. ევროპის თანასწორი შესაძლებლობების ომბუდსმენის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ უფრო მეტი

ქალი ამთავრებს უნივერსიტეტებს, მაგრამ კვლავ დიდი განსხვავებაა იმაში, თუ რა დარგებს ირჩევენ ქალები და კაცები. მეცნიერებასა და ტექნიკურ სპეციალობებზე მამაკაცთა რიცხვი ბევრად აჭარბებს ქალებისას. ქალები იკავენებ ჰუმანიტარულ და ხელოვნებასთან დაკავშირებულ სექტორებს. განათლებაში ეს სპეციალობები აღქმულია „ქალურად" და მათ მოსდევს დაბალანაზღაურებადი სამსახურები. ამ სტერეოტიპების აღმოფხვრა ევროკავშირის ერთ–ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული[1].

რას უნდა შევხედოთ, რათა შევაფასოთ განათლებაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობა?

განათლებისა და გენდერულ თანასწორობის კონტექსტში 4 ძირითად განზომილებას გამოჰყოფენ[2].

1. თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში
2. თანასწორობა სასწავლო პროცესში
3. თანასწორობა განათლების შედეგების მხრივ
4. თანასწორობა გარეშე შედეგების მხრივ

თანასწორობა განათლების მისაწვდომობაში ნიშნავს, რომ გოგონებს და ბიჭებს შეთავაზებული აქვს თანასწორი შესაძლებლობები, რომ მიუწვდებოდეთ ხელი ფორმალურ, თუ არაფორმალურ საბაზისო განათლებაზე. აქ ყურადღება უნდა მიექცეს რეალურ დასწრების მაჩვენებლებს და არა რამდენია რეგისტრირებული.

თანასწორობა სასწავლო პროცესში ნიშნავს, რომ გოგონებსა და ბიჭებს ერთნაირად ექცევიან, ისინი იღებენ ერნთნაირ ყურადღებას და აქვთ სწავლის თანაბარი საშუალება. ეს ასევე ნიშნავს, რომ ისინი გაივლიან ერთნაირი პროგრამას, თუმცა შეიძლება მოხდეს ადაპტირება სწავლის სტილების გათვალისწინებით. რაც მნიშვნელოვანია, გამოყენებული სასწავლო მეთოდები და მასალა არ უნდა შეიცავდეს გენდერულ სტერეოტიპებს და უპირატესობას არ უნდა ანიჭებდეს ერთ–ერთ სქესს. და ბოლოს, ეს ნიშნავს, რომ გოგონებსა და ბიჭებს აქვთ თავისუფლება ისწავლონ, აღმოაჩინონ, განავითარონ უნარები საკლასო და კლასგარეშე საქმიანობის საშუალებით.

თანასწორობა განათლების შედეგების მხრივ ნიშნავს, რომ გოგონებს და ბიჭებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები წარმატების მისაღწევად ინდივიდუალური ნიჭისა და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე. თანაბარი შანსების მისაცმად სკოლაში გატარებული წლები, დიპლომი არ უნდა განსხვავდებოდეს ადამიანის სქესისი მიხედვით. სასწავლო წარმატების ინდიკატორები ასევე თავისუფალი უნდა იყოს გენდერული მიკერძოებისგან. შესაძლებელია, რომ შეფასების, ტესტების და გამოცდების ფორმა შეიცავდეს მესიჯებს,

[1] Gender Equality in European Union.Prepared by the Office of the Equal Opportunities Ombudsman

[2] Subrahmanian n.d..Education from Gender Equality Principles, USAID

რომლებიც დაუგდებს სკოლაში სწავლის მოტივაციას ზოგადად და კერძოდ კი გარკვეული საგნების სწავლის მოტივაციას..

თანასწორობა გარეშე შედეგების მხრივ ჩნდება, როცა ქალისა და კაცის სტატუსი, ის, თუ როგორ მიუწვდებათ ხელი რესურსებზე, როგორ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა და შეიტანონ წვლილი ეკონომიკაში, სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში არის თანაბარი. ეს შეეხება მათ კარიერულ შესაძლებლობებს, დასაქმების შანსებს, განსხვავებას ან თანასწორობას ქალისა და კაცის შემოსავლებში იმავე კვალიფიკაციისა გამოცდილების პირობებში.

განათლებაში გენდერული თანასწორობის განზომილებებს მოგვიანებით დავუბრუნდებით და უფრო დეტალურად გაამახვილებ ყურადღებას თანასწორობაზე სასწავლო პროცესში. მანამდე კი შევხედოთ რამდენად და როგორ არის გათვალისწინებულია ეს საკითხი სახელმწიფოებრივ მიზნებში.

განათლებაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკა: ზოგიერთი მაგალითი

მე 20 საუკუნის მეორე ნახევარში მრავალმა სახელმწიფომ შეიმუშავა განათლებისა და დასაქმების თანასწორი შესაძლებლობების რელიზაციისთვის შესაბამისი პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო.

გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებულ ქვეყნებში, მაგალითად ისეთებში როგორიცაა სკანდინავიის ქვეყნები, დაწყებული საბავშვო ბაღის დონიდან გამოიყენება ე.წ. გენდერული სწავლების მიდგომები. მათი მიზანია ყველა ბავშვს, მისი სქესის მიუხედავად, მისცეს მომავალი ცხოვრებისთვის თანაბარი შესაძლებლობები. გამოყენებული სასწავლო მეთოდები საშუალებას აძლევს ყველა ბავშვს გაიზარდოს უნიკალურ პიროვნებად. გენდერული თანასწორობის საკითხზე მუდმივად მიიმართება სპეციალური ყურადღება დაწყებითი დონის სწავლებაში, რათა მოამზადოს ბავშვები მომავალი თავისუფალი არჩევანისთვის სწავლის გაგრძელებისას და პროფესიის არჩევისას.

ინსტიტუტების და საკანონმდებლო ბაზის მაგალითად მოვიყვან ისევ შვედეთის მაგალითს სადაც ე.წ. დისკრიმინაციის ომბუდსმენი, რომელმაც 2009 წლიდან გააერთიანა დარგობრივი ომბუდსმენები გამოსცა ე.წ. დისკრიმინაციის აქტი. მისი შემადგენელი მე 2 აქტი აღნიშნავს „სტუდენტებისადმი თანასწორ მოპყრობას მათი უფლებების რეალიზაციისთვის სასწავლო დაწესებულებებში“.

ნორვეგიაში გენდერული თანასწორობა განათლების აქტის (2006) ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ეხება სასწავლო გეგმებსა და საგნობრივ სტანდარტებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის თანასწორობის ოფისი პასუხისმგებელია მთავრობის მთლიან სტრატეგიაზე და პრიორიტეტებზე მათ შორის გენდერულ თანასწორობის უზრუნველყოფაზე განათლების სექტორში

არის მაგალითები, როდესაც განათლებაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქვეყნები იღებენ სპეციალურ კანონს. მაგალითად ტაივანის მთავრობამ 2004 წელს მიიღო სპეციალური კანონი – „განათლებაში გენდერული თანასწორობის აქტი“[3], რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ადამიანის ღირსების დაცვას და საგანმანათლებლო რესურსებისა და გარემოს გაუმჯობესებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

კანონის აღსრულებისთვის გათვალისწინებულია სკოლებში გენდერული თანასწორობის კომიტეტების შექმნა. გაწერილია, თუ როგორ უნდა შეიცვალოს სასწავლო გარემო და სასწავლო რესურსები იმისთვის, რომ მიიღწეს სრული თანასწორობა. აუცილებელ ელემენტად მოიაზრება პედაგოგთა მომზადება და გადამზადება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესაბამისად.

რომ შევაჯამოთ, როგოც ჩანს განათლებისა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ურთიერთმიმართების სამი განსხვავებული მოდელია აპრობირებული. ესენია: **სპეციალური კანონები (ტაივანი); თანასწორობა განათლებაში, როგორც გენდერული თანასწორობის ან ანტიდისკრიინაციული კანონმდებლობის ნაწილი (ბრიტანეთი, საქართველო); და/ან გენდერული თანასწორობის ინტეგრირება დარგობრივ (განათლების კანონი) კანონებში (სკანდინავიის ქვეყნები).**

საქართველოში განათლებაში გენდერული თანასოწორობის პოლიტიკის მოკლე ისტორია

1994 წლიდან საქართველო შეურთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განათლებაშიც. კონვენციის ტექსტში ნათქვამია: „..აღმოიფხვრას ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპული კონცეფციები...სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების გადასინჯვის მეთოდების ადაპტაციის გზით“[4]. 1995 წელს საქართველო ასევე შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფრმას და ვალდებულება იკისრა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეემუშავებინა. ეს გეგმა 1998-2000 წლებში შემუშავდა, მასში ასევე აისახა სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის განხორციელების საჭიროება.

1999 წელს საქართველომ პირველად წარადგინა ანგარიში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტში (CEDAW). სახელმწიფო ანგარიშთან ერთად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშიც. ამის შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. ამის საპასუხოდ გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ქალთა უფლებების

[3] Gender Equity Education Act (Taiwan)**Gender Equity Education Act** of Republic of China announced on 2004 June.

[4] ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 10.

დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.“ ამ ბრძანებულების ერთ-ერთი მუხლით, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი დაევალა, რაც ჯერ კიდევ 1998-2000 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო: ,,საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩაატაროს სახელმძღვანელოების განდერული ანალიზი სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების მიზნით". [5]

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განათლების სფეროში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა:

- განათლების სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით განათლების ყველა საფეხურზე;
- საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;
- განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო სტანდარტების შემმუშავებელ შესაბამის ჯგუფში გენდერული საკითხების ექსპერტების ჩართვა;
- სახელმძღვანელოების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით;
- პედაგოგთა უწყვეტი განათლების სისტემაში გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვა. (გენდერული თანასწორობის საბაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში).

გენდერი, განათლება და ათასწლეულის განვითარების მიზნები. 2000 წლის სექტემბერში გაეროს ათასწლეულის სამიტზე წევრი სახელმწიფოები შეთანხმდენენ, რომ 2015 წლამდე ათასწლეულის განვითარების რვა მიზანს მიაღწევდნენ. ეს მიზნები ემსახურება ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა სიღარიბე, შიმშილი, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, გენდერული უთანასწორობა და სხვა. **ათასწლეულის განვითარების რვა მიზანი გამოიყო:**

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა
2. დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში
3. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა

[5] პრეზიდენტის ბრძანებულება N511, 1999 წელი.

8.მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განვითარებისთვის

წევრ სახელმწიფოებს მიეცათ საშუალება საკუთარი განვითარების კონტექსტიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე გადაეზრათ ეს მიზნები. ასე მიზანი 2: დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში საქართველოს კონტექსტში ჩამოყალიბდა, როგორც: **განათლების სისტემის დახვეწა, რომელიც გაიზომებოდა შემდეგი მაჩვენებლებით** საშუალო განათლების 12-წლიან ციკლზე გადასვლა. სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების საერთაშორისო სისტემებში გაწევრიანება. ინსტიტუციური შესაბამისობა სასკოლო განათლების თანამედროვე სისტემებთან.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების აკრედიტირების სისტემის შემოღება. ინსტიტუციური შესაბამისობა უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემებთან. პროფესიული სწავლების დახვეწა სამუშაო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის განვითარების ინსტიტუციონალური ხელშეწყობის გათვალისწინება.

ინკლუზიური და ინტეგრირებული სასწავლო პროგრამების არსებობა. ეროვნულ სასწავლო პორგრამებში ინკლუზიური განათლების გათვალისწინება.

მიზანი 3: გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა საქართველოს კონტექსტში არ განიცადა ტრანსფორმირება. მაჩვენებლებად გამოიყო: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დასაქმებაში. პოლიტიკურ მოღვაწეობაში და მართვის ყველა დონეზე თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

როგორც ვხედავთ განათლებაში გენდერული თანასწორობის მიღწევა არ ჩაითვალა კონტექსტისთვის დამახასიათებლად და არ დადგა მიზნთა შორის. დიდი პროგრესი გენდერული თანასწორობის მიმართულებით უკავშირდება 2010 წლის 26 მაისს პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებას. განათლებაში გენდერულ თანასწორობას არეგულირებს მუხლი 9, რომელშიც ნათქვამია:

მუხლი 9. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს: ა) ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების მიღებაში <u>თანასწორი პირობების შექმნას,</u> საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით;

ბ) <u>სასწავლო პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან გენდერული თავისებურებების შემცველი ისეთი ინფორმაციის ამოღებას, რომელიც მიმართულია სქესობრივი დისკრიმინაციისაკენ;</u>

2. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება ასევე ყველა სახის სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესზე.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმამ, რომელიც დაამტკიცა პარლამენტმა 2011 წლის 25 მაისს კანონის იმპლემენტაცია უფრო რეალისტური გახადა. განათლებას და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები ამ გეგმის ცალკე მიზანშია გაწერილი. უნდა ითქვას, რომ სამოქმედო გეგმის, ისევე, როგორც კანონის შემუშავება ხარგრძლივი და მონაწილეობითი პროცესი იყო. საზოგადოებრივი სექტორი წევრები, ექსპერტები, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები არაერთხელ შეიკრიბნენ ამ დოკუმენტების შესამუშავებლად და დასახვეწად. ძალიან აქტიურად უჭერდნენ ამ სამუშაოს მხარს გაეროს სააგენტოები. თუმცა საბოლოო რედაქციაში გეგმაში შემავალი მიზნები და საქმიანიობები რეალიებიდან გამომდინარე უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან იყო დაგეგმილი. ჩვენი თემისთვის საიტერესოა შემდეგი პუნქტები:

2.1.1. განათლების სფეროში მოქმედი ძირითადი კანონების გენდერული ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად
2.2.1. შემდეგი დოკუმენტების გენდერული ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება:
· ეროვნული სასწავლო გეგმა;
· მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
2.2.2. სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოსათვის დამხმარე მასალების შექმნა
2.2.4.<u>გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მასწავლებელთა გადამზადების</u> სატრენინგო მოდულების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება
2.3.1. გენდერული თანასწორობის შესახებ ნორმატიული აქტების პოპულარიზაცია, გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ პერიოდული კვლევების ჩატარება და მათი შედეგების განხილვა

როგორც განხილული მასალიდან ჩანს თანაბარი პირობების შექმნა, მასწავლებელთა გადამზადება და სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებიც დაეფუძნება გენდერული თანასწორბის იდეას და თავისუფალი იქნება გენდერული სტერეოტიპებისგან დღეს საქართველოში განათლების კონტექსტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის საკვანძო საკითხებად არის განხილული. და მაინც რაშია პრობლემა? მითუმეტეს თუ სახელმწიფოს მხრიდან პრინციპში საკმარისი ყურადღება ექცევა ამ სფეროს.

ამ მოხსენებაში შევაჩერებ ყურადღებას განათლებისა და გენდერული თანასწორობის სწორედ ზემოთ ხაზგასმულ ასპექტზე: რამდენად რეალურად თანაბარია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის განათლების პროცესში და რამდენად თავისუფალია სასწავლო შინაარსები და განათლების აგენტების დამოკიდებულება და ქცევა გენდერული სტერეოტიპიზაციისგან და რა შედეგებამდე მივდივართ ასეთი დამოკიდებულებით. მოხსენება ამ ასპექტების უფრო ფსიქოლოგიური შინაარსის გახსნას დაეთმობა.

გენდერული უთანასწორობა განათლებაში: პრობლემის ფსიქოლოგიური კონტექსტი

საკითხზე მსჯელობას დავიწყებთ ციტატით მსოფლიოში განათლების დარგში გენდერული საკითხების კვლევების პიონერებისა და ავტორიტეტების, მირა და დევიდ სადკერების 1995 წელს გამოქვეყნებული წიგნიდან "კვალავ ვერ ვაღწევთ სამართლიანობას, ანუ, როგორ უმტყუნებთ გოგონებს სკოლაში":

> *"მიუხედავად იმისა, რომ ერთ კლასში სხედან და ერთ და იმავე მასწავლებელს უსმენენ, ბიჭები და გოგონები სრულიად განსხვავებულ განათლებას იღებენ. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ სკოლაში შესვლისას გოგონები უკეთ, ან ისევე წარმატებულნი არიან ყველა მაჩვენებლით, როგორც ბიჭები, მაგრამ სკოლის დამთავრებისას, ბიჭებს ისინი უკან ჰყავთ ჩამოტოვებულნი" (Sadker,Sadker, 1995).*

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ, თანასწორობა ბიჭებსა და გოგონებს შორის სკოლაში სრულიად მიღწევადი შედეგია. ამერიკის განათლების სისტემაში ბევრი რამ შეიცვალა ბოლო დეკადებში, თუმცა განათლებაში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება. სადკერი და ზიტერმანი ამ პროცესს დაუმთავრებელ რევოლუციასაც კი უწოდებენ (Zittleman & Sadker, 2003). პრობლემები არ არის გადაჭრილი იქაც, სადაც ამაზე ინტენსიურად მუშაობენ მრავალი წელი და სადაც მუშაობას სერიოზული კვლევები უდევს საფუძვლად და მითუმეტეს საქართველოში, სადაც ეს სფერო ფაქტობრივად დაუმშავებელია. საქართველოში, მიმდინარე განათლების რეფორმის პირობებში, როდესაც ხორციელდება მრავალი ინოვაციური მიდგომა, სიახლეები ნაკლებად ეხება გენდერული მიდგომების გათვალისწინებას. არ მომხდარა განათლების პროცესის მეცნიერული შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენას ახდენს იგი გოგონებისა და ბიჭების, ცალ–ცალკე და ერთმანეთთან მიმართებაში, განვითარებაზე, საკუთარი იდენტობის გაცნობიერებაზე, მომავლის არჩევაზე, თანატოლებში მათ სტატუსზე და ა.შ. ყოველი მცდელობა ნათელი მოფინოს განათლების მთლიან სისტემაში ან მის რომელიმე სეგმენტში არსებულ გენდერულ პრობლემებს, მნიშვნელოვანია და დაგროვილი პრობლემების გათვალისწინებით, დროულია. მითუმეტეს, თუ იგი სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით ახალ და, ეფექტიან ხედვას შემოგვთავაზებს.

სკოლას, როგორც გენდერული სოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშველოვან ინსტიტუტს შეუძლია ორივე სქესის ბავშვისთვის შექმნას როგორც განვითარების, თვითრეალიზაციის პირობები, ასევე გახდეს გენდერული უთანასწორობის დამკვიდრების და ტრანსლაციის ფაქტორი.

ფაქტორები, რომლებიც გენდერულად ნეიტრალურ სისტემას უთანასწოროდ აქცევენ არა მარტო სისტემის შიგნით არიან საძიებელი, არამედ ფართო სოციალურ-კულტურულ კონტექსტშიც. ასეთებად მიიჩნევა გენდერული სტეროტიპები და სოციალურ განწყობები, რომლებიც ქალებისა და მამაკაცების ფუქციონირების ყველა ასპექტს გამსჭვალავენ და მათ შორის, რა თქმა უნდა განათლების სფეროსაც. განათლების სფეროსთან მიმართებაში ეს განზომილება ხშირად გენდერული ანალიზის ფარგლებს გარეთ რჩებოდა თუმცა, მისი

გათვალისწინების გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელია ცვლილებების სტრატეგიის განსაზღვრა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

საქართველოში ცვლილებები გენდერული თანასწორობის მიმართულებით განათლების სფეროში არ იყო აქტუალური, რადგან ძალზე მცირე იყო მეცნიერული მონაცემი, რომელიც გენდერულ პრობლემებს გააშუქებდა განათლების სისტემასთან, და კერძოდ, სკოლასთან მიმართებაში. ამიტომ მნიშვნელოვნად გვესახება იმ ორი კვლევის შედეგები, რომლებსაც აქ წარმოვადგენ.

* * *

დღევანდელ მეცნიერებაში და განათლების პრაქტიკაში გენდერის და განათლების საკითხების გადაკვეთაში რამდენიე ახალი ცნება და მიდგომა გაჩნდა. მაგალითად ცალკე გამოიყოფა **გენდერული პედაგოგიკა,** როგორც მიდგომების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია იმაზე, რომ მიეხმაროს ბავშვებს სკოლაში იგრძნონ თავი კომფორტულად, დაძლიონ სოციალიზაციის პრობლემები, რომლის უმიშვნელოვანესი ნაწილია ბავშვის თვითიდენტიფიკაცია ბიჭად ან გოგონად. გენდერული პედაგოგიკის მიზანია გენდერული სტერეოტიპების გავლენის კორექცია პიროვნულ/ინდივიდუალური მიდრეკილებების გამოვლინების მიმართულებით (Westerberg, Sandgren). გენდერული მიდგომაზე დაფუძნებული პედაგოგიკის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ბიჭებისა და გოგონების განვითარებაზე საგანმანათლებლო პროცესის ყველა ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინება (იქნება ეს სასწავლო შინაარსები, სწავლების მეთოდები, ურთიერთობები თუ სხვა).

გენდერსა და განათლების, როგორც რთულ სოციალურ და სამეცნიერო კატეგორიებს შორის ურთიერთმიმართების განსასაზღვრად ასევე შემოტანილია **"განათლებაში გენდერული განზომილების"** ცნება. განათლებაში გენდერულ განზომილებაში იგულისხმება განათლების პროცესის შეფასებას იმ თვალსაზრისით, თუ რა გავლენას ახდენს იგი გოგონებისა და ბიჭების განვითარებაზე, საკუთარი იდენტობის გაცნობიერებაზე, მომავლის არჩევაზე, თანატოლებში მათ სტატუსზე და ა.შ.

ამ მიდგომის პარალელურად ასევე საკმაოდ ძლიერია შეხედულებათა ტრადიციულ სისტემა, რომელიც ეხება ქალისა და მამაკაცის დანიშნულებას საზოგადოებაში, მათი „ბიოლოგიური" მახასიათებლების შესაბამისად. ამ მიდგომის ფარგლებში ნათელია მოწოდება, რომ გოგონები გაიზარდონ ქალური, ფემინური მოდელში, ხოლო ბიჭები, შესაბამისად მასკულინურში. აქედან გამომდინარე, გოგონებს ზრდიან დიასახლისებად, როგორც მომავალ დედას და მეუღლეს, ხოლო, ბიჭს, როგორც მომპოვებელს და დამცველს. ანუ, მათ ამზადებენ ტრადიციული პროფესიული და საოჯახო როლების შესრულებისთვის. ამ მიდგომის შიგნით შეიძლება მოვხვდეთ, ე.წ. "მცდარ გენდერული ხაზში" და დავიწყოთ გოგონებისა და ბიჭების განხილვა ორი განსხვავებული არსის მატარებელ ადამიანებად. ჩვენ უკვე გამოვიარეთ ამ მიდგომის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. დღევანდელი მეცნიერული მონაცემები მოწმობს, რომ შიდაჯგუფური განსხვავებანი ერთი სქესის შიგნით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე

სქესთაშორისი, ხოლო ერთი სქესთა შორის არსებული განსხვავებების ბუნება, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ სტერეოტიპული აღზრდის შედეგია.

სასკოლო გარემოს გენდერული ანალიზი, სხვადასხვა ანგარიშები და არაერთი კვლევა, მათ შორის პირდაპირი დაკვირვებით წარმოებული, ავლენს სპეციფიკურ ფორმებს, რომელზითაც ხდება გენდერული დიფერენციაცია, სტერეოტიპული გენდერული მოდელების ტრანსლირება, პრივილეგირება და შეზღუდვა. აღწერილია ისეთი მოვლენა, როგორიცაა ე.წ. **ფარული კურიკულუმი,** და რომელიც აღნიშნავს სასწავლო პროცესის იმგვარ ორგანიზებას, რომელიც ასახავს გენდერულ სტერეოტიპებს, ხელს უწყობს გენდერულ უთანასწორობას, უპირატესობას ანიჭებს მამაკაცურსა და დომინანტურს. ფარული კურიკულუმი ანუ ლატენტური სასწავლო გეგმა ვლინდება:

- სასკოლო კლიმატის გენდერულად უთანასწორო ხასიათში,
- სასწავლო მასალის შინაარსში – (გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოება, ქალების "უჩინარობა", ან "გამოტოვება"),
- სწავლების სტილში და მოსწავლე–მასწავლებლის ურთიერთობის გენდერულად მიკერძოებულ ხასიათში.

სენდლერი და ჰოლი თავიანთ უკვე კლასიკურად ქცეულ ნაშრომში „საკლასო კლიმატი" აღნიშნავენ ისეთ მოვლენას, როგორიცაა **"გრილი სასწავლო კლიმატი გოგონებისთვის",** რათა აღწერონ, რომ სკოლაში გოგონები ხვდებიან მათი, როგორც გენდერული ჯგუფის დაუფასებლობას, გრძნობენ, რომ განხილულნი არიან არაძირითად მოსწავლეებად, არ ეძლევათ როლური მოდელები მასალაში და ავტორიტეტს შორის და ა.შ..(Hall R.M., Sandler B.R. The classroom climate: a chilly one for women?)

გენდერულ სოციალიზაციის ინსტიტუტები და აგენტები. როგორ ხდება გენდერული სოციალიზაცია და ვინ მოქმედებს მასზე? განასხვავებენ ცალკე გენდერული სოცილიზაციის ინსტიტუტებს და აგენტებს. სოციალიზაციის მრავალრიცხოვანი ***ინსტიტუტებია:*** ენა, ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, სკოლისგარეშე ჯგუფები, კულტურა, მასმედია. ხოლო ***აგენტები***, ანუ გენდერული სოციალიზაციის გამტარებლებად წარმოსდგებიან მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და მათი ე.წ. როლური მოთხოვნები. ეს ორივე – ინსტიტუტებიცა და აგენტებიც ემსახურება არსებული „გენდერული წესრიგის" კვლავწარმოებას და ტრადიციული ქალის და კაცის ფუნქციების შენარჩუნებას. განათლების სისტემა, შეიცავს მაკრო და მიკრო ფაქტორების ერთობლიობას, რადგან მასში განიხილება როგორც, ენა და კულტურული გარემო, საზოგადოების იდეოლოგიური ელემენტები (მაკრო კულტურილი ფაქტორები) ასევე მასწავლებელთა დამოკიდებულებების როლი, თანატოლებთან ურთიერთობა, ბავშვების თვითშეფასება და ა.შ. (მიკრო კულტურული ფაქტორები).

განათლების სფეროში გენდერული უთანასწორობის საფუძვლების კვლევები

ამერიკის უნივერსიტეტელ ქალთა ასოციაციის (AAUV) მიერ 1992 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში პირველად დაიდო მონაცემები ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე გენდერული დისკრიმინაციის საფუძვლების შესახებ: "სკოლებში გენდერული სოციალიზაცია ემსახურება

იმას, რომ გოგონებმა დაიჯერონ, რომ არ არიან ბიჭების სწორნი“. ამანდა ჩაპმანის აზრით: ”ყოველთვის, როცა მასწავლებელი კლასს გოგონებად და ბიჭებად ჰყოფს, ამით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბიჭებსა და გოგონებს განსხვავებულად უნდა მოვექცეთ”. როდესაც სკოლის დირექტორი არ აქცევს ყურადღებას გოგონების სექსუალოურ შევიწროვებას, ამით იგი აკანონებს გოგონების დამცირებას. როდესაც სხვადასხვა საქციელი მიჩნეულია ნორმალურად ბიჭისათვის და მიუღებელი გოგონებისათვის, რადგან ”ბიჭი მაინც ბიჭია”, ამით სკოლა ხელს უწყობს ქალების დისკრიმინაციას. არის გარკვეული მონაცემები, რომ გოგონების აკადემიური წარმატება უსწრებს ბიჭებისას, მაგრამ გრძელდება იმგვარი გენდერული სოციალიზაცია, რომელიც გენდერული თანასწორობის საწინააღმდეგოდ მუშაობს. ანალოგიური მონაცემები 2002 წლის ანგარიშშიც დაიდო (AAUV, 2002).

გენდერული სოციალიზაციის კვლევაში ცალკე ადგილს იკავებს მასწავლებელზე ფოკუსირებული კვლევები. **მასწავლებლის მოლოდინები, განწყობები და მოსწავლეებთან ურთიერთობის ხასიათი** სკოლაში გენდერული სოციალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად არის აღიარებული. ამდენად საინტერესოა, თუ როგორია ძირითადი ტენდენციები მასწავლებელთა დამოკიდებულებაში. რას წარმოადგენს ამ მოლოდინების შინაარსი და ვექტორი? ვისაც ეს სფერო უკვლევია, ან უბრალოდ ემპირიული გამოცდილებითაც,ვიცით რომ ძირითად შემთხვევევში ეს არის რწმენა, რომ გოგოები და ბიჭები ფუნდამენტურად განსხვავებულნი არიან, რომ ბიჭები არიან აქტიურები, ცელქები ინტერესიანები, ზარმაცები. გოგოები – უფრო პასიურები ნაკლებ ინტერესიენები, დამჯერები, გარეგნულ მხარეზე ფიქრობენ და ა.შ. ანუ საქმე გვაქვს გენდერულად **სტერეოტიპულ შინაარსებთან, ხოლო ვექტორი გენდერულად ტენდენციური დიფერენციაციაცისკენაა მიმართული.**

ზოგიერთი ტენდენცია მასწავლებელთა დამოკიდებულებაში, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ უთანასწორობას სკოლაში

1980 –2010 წლებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლები ბევრად უფრო აქტიურ ყურადღებას აქცევენ ბიჭებს, ვიდრე გოგონებს, მეტს ელაპარაკებიან, მეტ შეკითხვებს უსვამენ, მეტად უსმენენ, მეტ შემთხვევებში უთანხმდებიან, უფრო მეტად აკრიტიკებენ, მაგრამ მეტადაც აქებენ. ბიჭებს აქებენ ინტელექტუალური მიღწევებისთვის, ხოლო გოგონებს შესრულებული დავალების გარეგნული მხარისთვის.

გოგონებს უფრო ხშირად უკრიტიკებენ ინტელექტუალურ უნარებს, იმ დროს, როცა ბიჭებს უკრიტიკებენ მონდომებას და აკურატულობას. მასწავლებლები გოგონებს აქებენ თუ არიან წყნარები და მოწესრიგებულები იმ დროს, როცა ბიჭები წახალისებულნი არიან დამოუკიდებელი აზროვნებისთვის, აქტიურობისთვის და საკუთარი აზრების გამოხატვისთვის. ბიჭებს წააქეზებენ, რომ მონაწილეობა მიიღონ ცდების დაყენებაში, გოგონებს კი აკეთებინებენ ჩანაწერებს და ა.შ (Sadker&Sadker, 1995, 1999) (Sandler & Hall, 1986), (Good, T. & Brophy, J.1987),(Shelley, 2000) (AAUW, 2002).

ფაქტები: მკვლევარები აღწერენ ისეთ მოვლენას, როგორიცაა "კომპიუტერული თავშეკავებულობა", ის ეხება გოგონების გაუცხოვებას ყოველნაირი მოწყობილობებისგან, მათ შორის კომპიუტერისგან და ეს ხდება იმიტომ, რომ არსებობს შესაბემისი სტრერეოტიპი. რაც შეეხება მათემატიკის და სხვა ზუსტი მეცნიერებების სიყვარულს, გოგონები, კიდევაც რომ აინტერესებდეთ ეს საგნები, იმ სტერეიტიპული შეხედულების გამო, რომ ეს არაქალურია, ადრე მოზარდობის ასაკში იწყებენ ამ საგნებისგან დისტანცირებას (Clifford).

ეს მონაცემები მოწმობს იმას, რომ მასწავლებელთა მოლოდინები, განწყობები და ქცევა დიდწილად განსაზღვრულია იმ წარმოდგენებით, რომლებიც არსებობს ქალებისა და კაცების უნარებზე, შესაძლებლობებზე, მათ ფუნქციებზე და მათ შორის ბიოლოგიური წარმოშობის განსხვავებებზე. და ამ წარმოდგენებს, როგორც ცნობილია, **გენდერული სტერეოტიპები** ეწოდება. რატომაა არასასურველი გენდერული სტერეოტიპიზაცია?

- მათ საფუძველშია ქალსა და მამაკაცს შორის ფუნდამენტური განსხვავების აღიარება
- მათ ახასიათებს ზედმეტი განზოგადება;
- გენდერული სტერეოტიპები არ ითვალისწინებენ სამეცნიერო მონაცემებს და შეცვლილ რეალიებს;
- გენდერული სტერეოტიპი შეიცავს შეფასებით ელემტს (უფრო განვითარებული-ნაკლებგანვითარებული, რაციონალური-ირაციონალური, სრულფასოვანი-არასრულფასოვანი, ძლიერი-სუსტი და ა.შ., სადაც ვიცით, რომ პირველები ყოველთვის უპირატესია მეორეებზე; ამიტომ:
- გენდერული სტერეოტიპის გამოყენება და კვლავწარმოება საზოგადოებაში ქალისა და კაცის უთანასწორო და იერარქიულ დამოკიდებულებას ამართლებს და ასაზრდოებს;
- გენდერული სტერეოტიპები ზღუდავს თავისუფალ და ინდივიდუალურ ნიჭიერებაზე დაფუძნებულ არჩევანს;
- გენდერული სტერეოტიპი სქესს პირდაპირ აკავშირებს გარკვეულ მიდრეკილებებთან, სპეციალობებთან და თვისებებთან
- გენდერული სტერეოტიპი წარმოგვიდგება, როგორც ნორმა, რომლიდან გადახვევა არასასურველი, არანორმალური, ან სოციალური ამბოხის ტოლფასი.

რა ხდება, თუ განათლების აგენტები გენდერული სტერეოტიპების გამტარებლები არიან?
ასეთ სიტუაციაში ამუშავდება ე.წ. თვითახდნადი წინასწარმეტყველებანი: ადამიანები ხდებიან ისეთები, როგორი განწყობები და მოლოდინებიც არსებობს მათ მიმართ და ამიტომ, მაგალითად,როგორც შედეგი გენდერულად სტერეოტიპული სოციალიზაციისა გოგონებში ყალიბდება:

- დაბალი თვითშეფასება;
- მიღწევის (ასპირაციის)დაბალი დონე;
- გოგონების გაუცხოება ტექნიკური და მათემატიკური საგნებისგან (მაგ."კომპიუტერული თავშეკავება");
- პროფესიული არჩევანის შეზღუდვა; პროფესიების გენდერული სეგრეგაციის გამყარება;
- ისინი თვითონ ხდებიან გენდერული სტერეოტიპების მატარებელნი

- გოგონები სკოლას ადრე ტოვებენ; ადრე თხოვდებიან(კარიერული უპერსპექტივობის გამო); იკავებენ ოჯახში დაქვემდებარებულ პოზიციებს
- როგორც უფრო შორეული შედეგი: ქალების სიმცირე მაღალსტატუსიან, გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურებში და უთანასწორობის კვლევწარმოება ცხოვრების სხვა სფეროებშიც.

სტერეოტიპული შეხედულებების თანახმად ეს შედეგები ისევე, როგორც ყველა გენდერული განსხვავება შეიძლება ჩაითვალოს სქესის ბუნებრივ მახასიათებლად: „რადგან ასე ხდება, ესე იგი ეს ბუნებრივია“. თუმცა ბოლო დეკადების კვლევები და 2 მეტაანალიზი პრაქტიკულად არ ადასტურებს არც ერთ ფუნდამენტურად ჩათვლილ განსხვავებებს გოგოებსა და ბიჭებში, მათ შორის, მატემატიკურ და ტექნიკურ უნარებში. განსხვავებები ძირითადა სოციალიზაციის ფაქტორებით არის განპირობებული და ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ განსხვავებები მცირედბა დროით ჭრილში. ფსიქოლოგიის მონაცემები მე 20 საუკუნის 70–იანი წლებიდან აფიქსირებდა გარკვეულ განსხვავებებს ბიჭებისა და გოგონების უნარებს შორის, უკვე 90 წლებისთვის ეს განსხვავებები მინიმუმამდე იყო დასული. მაგალითისთვის მოვიყვან 1993 წელს შესრულებულ ძალიან მასშტაბიანი კვლევის შედეგებს მათემატიკურ უნარებზე. ცხრილიდან ჩანს, რომ წარმატება მათემატიკური ტესტის შესრულებისას არ არის დეტერმინირებული სქესით. არის ქვეყნები, სადაც წარმატებულნი არიან უფრო გოგონები, ხოლო სხვა ქვეყნებში ბიჭები.

ეროვნებათაშორისი განსხვავებები მერვე კლასის მათემატიკური ტესტის შედეგებში

ქვეყანა	**ბიჭების შედეგები**	**გოგონების შედეგები**	**განსხვავების სანდოობა**	**განსხვავების ზომა *(d)***
ბიჭები უკეთ ასრულებენ				
საფრანგეთი	17,02	14,18	2,84*	0,37
ისრაელი	18,79	17,74	1,05*	0,11
ლუქსემბურგი	13,34	11,74	1,60*	0,25
ნიდერლანდები	22,00	20,23	1,77*	0,17
ახალი ზელანდია	14,60	13,51	1,09*	0,10
კანადა	17,72	16,94	0,78*	0,8
ერთნაირი წარმატება				
ინგლისი (უელსი)	15,38	14,92	0,46	0,4
ჰონკონგი	16,59	16,09	0,50	0,5
იაპონია	23,84	23,80	0,04	0,004
ნიგერია	9,50	9,05	0,45	0,7
შოტლანდია	16,83	16,68	0,15	0,1

შვედეთი	10,70	11,18	-0,48	-0,6
ა.შ.შ	14,98	15,12	-0,14	-0,1
გოგონები უკეთ ასრულებენ				
ბელგია	19,44	20,54	-1,10*	-0,12
ფინეთი	13,24	14,87	-1,63*	-0,17
უნგრეთი	22,36	23,62	-1,26*	-0,13
ტაილანდი	12,09	14,16	-2,07*	-0,22

წყარო: Baker & Perkins-Jones, «Creating Gender Equality: Cross-National Gender Statification and Mathematical Performance», *Sociology of Education,* 66, #2, Table 2-1. American Sociological Association, 1993.

ქართული სკოლის მასწავლებელთა გენდერული განწყობებისა და ქცევის კვლევა

2010 წელს ჩვენ შევასრულეთ კვლევა, რომელიც მასწავლებელთა გენდერული განწყობების და ორივე სქესის ბავშვის მიმართ დამოკიდებულებას და ქცევას შეისწავლიდა. ამ კვლევის საშუალებით გვინდოდა საქართველს საგანმანათლებლო სივრცეში აღწერილი ტენდენციების ვერიფიკაცია; გვსურდა შეგვევსო საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში უთანასწორობის პრობლემის ობიექტივაციის დეფიციტი; დაგვედო მასალა, რომელიც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გენდერული სტრატეგიის დასახვას და მასწავლებელთა გადამზადების საჭიროებების გამოავლენას დაეხმარებოდა.
კვლევაში მონაწილეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 200 პედაგოგი, პლიუს 50 პედაგოგი საპილოტო კვლევის ფაზიდან.მოგვყავს კვლევის ძირითად შედეგები:

- მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილის განწყობასა და ქცევაში აღინიშნება გენდერული განსხვავებების ხაზგასმის ტენდენცია.
- გენდერულად განსხვავებული განწყობები და ქცევა ძირითადად გოგონებისათვის არახელსაყრელ დამოკიდებულებაში ვლინდება: გამოკითხული მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი გოგონებზე – მათ უნარებზე, ნიჭიერებაზე დაბალი წარმოდგენის არიან. შესაბამისია მოლოდინებიც მათ მიმართ.
- მასწავლებლები ბავშვის სქესის გათვალისწინებით, განსხვავებული თვისებების აღზრდას აყენებენ თავიანთ პედაგოგიურ ამოცანად. ეს განსხვავება გენდერულად სტერეოტიპული მახასიათებლების მხარდაჭერაში გამოიხატება. ასე, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებული თვისებები გოგონებისათვის ნაკლებ პრიორიტეტულად არის მიჩნეული, განსხვავებით ბიჭებისგან. ბიჭებში ყველაზე მეტად სურთ რომ აღზარდონ თვისებები: "დამოუკიდებელი აზროვნების მქონე", "პატრიოტი" და "საკუთარ თავში დაჯერებული". მასწავლებლებისთვის ყველაზე ნაკლებ პრიორიტეტული აღმოჩნდა მახასიათებელი "თქვენი საგნის მცოდნე" და ეს ორივე სქესის ბავშვებზე ვრცელდება.



- ბიჭებისა და გოგონების მიმართ გამოყენებული დასჯის საბაბები და ფორმები მკაფიოდ სტერეოტიპული ბუნებისაა. მაგალითად, გოგონები ბიჭებზე უფრო მკაცრად ისჯებიან "არაქლური", გოგონასთვის "შეუფერებელი" ქცევისთვის, ისეთისთვის როგორიცაა "უზრდელობა" ან "სიგარეტის მოწევა".
- მოსწავლეთა შესაძლებლობების შეფასება ის სფეროა, სადაც გენდერული ტენდენციურობა განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ვლინდება. იმ დროს, როდესაც მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ გოგონებს უკეთესი ნიშნები აქვთ ბიჭებთან შედარებით, პროპორციით 9/1 –თან, მასწავლებელთა დაახლოებით ნახევარი მიიჩნევს, რომ ბიჭებს უკეთესი სასწავლო უნარები აქვთ და უფრო ნიჭიერები არიან.



- კიდევ ერთი მკვეთრი ტენდენციაა სხვადასხვა სასწავლო უნარის დაკავშირება მოსწავლეთა სქესთან. ყველა სასწავლო უნარში, რომელიც ლოგიკურ აზროვნებასთან, სისხარტესთან და ორიგინალობასთან არის დაკავშირებული ბიჭებს, მასწავლებელთა აზრით, მკვეთრი უპირატესობა აქვთ. გოგონების უპირატესობას კი კითხვაში, წერაში და სასწავლო მასალისადმი მეტი პასუხისმგებლობით მოპყრობაში ხედავენ.



○ მასწავლებლების შეხედულებით, სასკოლო დისციპლინების მიმართ მიდრეკილებებში მკვეთრ გენდერული დაყოფას აქვს ადგილი: ჰუმანიტარულ სფეროში გოგონების უნარები წინ უსწრებს ბიჭებისას, ხოლო ზუსტ მეცნიერებებში კი ბიჭების ნიჭიერება 100% აღემატება გოგონებისას. სპორტული მიდრეკილებები გოგონებში პრაქტიკულად უარყოფილია.)



○ სხვადასხვა სასწავლო პროცესში: მასალის ახსნა, კლასში დისკუსია, დავალების მიცემა თუ დასვენებაზე, მასწავლებელთა ყურადღება ბიჭებისაკენ უფრო იხრება. გოგონებს მეტი ყურადრება ეთმობა მხოლოდ გაკვეთილის გამოკითხვისას.



○ მასწავლებლები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ და უარყოფენ რაიმე სახის განსხვავებას თავიან ქცევაში, თუმცა ადვილად აღნიშნავენ განსხვავებას მოსწავლეთა შორის მათი გენდერიდან გამომდინარე და ამით ხსნიან თავიან განსხვავებულ დამოკიდებულებას[6].

გენდერული კომპეტენცია

კვლევის შედეგების გაანალიზებამ ბუნებრივად მიგვიყვანა მასწავლებელთა განწყობებსა და ქცევაში გენდერულად უთანასწორო ტენდენციების კორექციის საკითხთან. დადგა ისეთი ცნების შემოტანის აუცილებლობა, როგორიცაა, მასწავლებლის გენდერული კომპეტენცია. კვლევამ სკმაოდ მკაფიოდ მიუთითა ამ სახის კომპეტენციის დეფიციტზე და მიანიშნა იმაზე, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ ხდება ამ მიმართულებით ფიქრი.

საჭიროდ მივიჩნევთ შემუშავდეს მასწავლებელთა გენდერული კომპეტენციის ასამაღლებელი ტრენინგი და რეკომენდაცია გაეწიოს მას, როგორც სამოდელო პროგრამას მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კურიკულუმში ინტეგრირებისთვის, მითუმეტეს, რომ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სამოქმედო გეგმა ამ საქმიანობის განხორციელებას და ინიციატივებს სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეებისგან მოელის [7].

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე განათლების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სტრუქტურებს ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- გამოიყოს **გენდერული კომპეტენცია**, როგორ ცალკე კომპეტენცია და შემუშავდეს მის განვითარებაზე და გაძლიერებაზე მიმართული ზომები;

[6] N. BerekaSvili, Gender Bias in School Teacher's Attitudes and Behaviour. 2009

[7] მიზანი 2. გენდერული ასპექტების განათლების სფეროში შეტანისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.2.2.4. გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მასწავლებელთა გადამზადების სატრენინგო მოდულების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება

- მასწავლებელთა მომზადებისა თუ გადამზადების სისტემებში შევიდეს გენდერული კომპეტენციის ამაღლების, გენდერულად გამართული და თანასწორობაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის უნარების განვითარების **კომპონენტი**.
- ამ კომპონენტისთვის მომზადდეს **კურსები და სახელმძღვანელო** მასალები;
- მასწავლებელებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ განათლების პროცესთან დაკავშირებულ **გენდერულ კვლევათა შედეგებს**, სტატისტიკას, მომზადდეს კრებულები, ეწყობოდეს მათი **განხილვა** პედაგოგთა წრეში ან/და სასწავლო პროცესში;
- პედაგოგები მომზადების პროცესში აღიჭურვონ გენდერული **კვლევის ჩატარების,** თვითდაკვირვების (ვიდეოგადაღებები), თვითრეფლექსიის (დღიურების წარმოება) და გენდერული ანალიზის მარტივი ხერხებით;
- მოხდეს პედაგოგის **წახალისება** გენდერულად მიუკერძოებელი სასწავლო გარემოს შექმნისათვის.

რამდენად შეიძლება სკოლის მასწავლებელთა დამოკიდებულებათა ტენდენციების განზოგადება განათლების სხვა დონეების პედაგოგების მიმართ? 2006 წელს ჩვენ ჩვატარეთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა საკითხზე გენდერული თანასწორობის პრობლემა უმაღლესი განათლების სისტემაში. კვლევა მოიცავდა როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ–მასწავლებელთა დამოკიდებულებების კვლევას. დანართის სახით მოვიყვანთ მხოლოდ კვლევის მეორე ნაწილის შედეგების ანალიზს, რომელიც პრინციპში ადასტურებს მასწავლებელთა კვლევაში დადგენილ ტენდენციებს.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ (ხარისხობრივი კვლევის შედეგები, 2006)

საკვლევი საკითხები თემებად გამოვყავით:

- არსებული გენდერული თანაფარდობა ქალებსა და მამაკაცებს შორის სტუდენტებსა და პედაგოგებში და დამოკიდებულება ამ თანაფარდობის მიმართ;
- სასწავლო მასალაში და სასწავლო პროცესში ქალის რეპრეზენტაციის შეფასება;
- პედაგოგი-სტუდენტის ურთიერთობის გენდერული ასპექტები;
- გენდერული განსხვავებები და დამოკიდებულება მათ მიმართ;
- განათლებასთ მიმართებაში თანასწორობის გაგება.

ფოკუს ჯგუფის წევრებს შეადგენდნენ შემდეგი სპეციალობების პროფესორ-მასწავლებლები: ბიოლოგია, ეკოლოგია, ფილოლოგია, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, ქიმია, ისტორია, მათემატიკა, ფსიქოლოგია, უცხო ენები, ფიზიკა, გეოგრაფია, იურიდიული, საერთაშორისო ურთიერთობები, კულტურა, ესთეტიკა.

საერთო ჯამში ოთხივე ფოკუს ჯგუფში გამოკვეთილი ტენდენციები, იმის მიუხედავად, სად და ვისთან იყო ჩატარებული - დედაქალაქის და თუ რეგიონების უნივერსიტეტების პედაგოგებთან - მსგავსი აღმოჩნდა. თუმცა იყო ზოგი თავისებურება. ასე, თბილისურ

ჯგუფებში მონაწილეები მაშინვე უკავშირებდნენ განსაჯელ თემეტიკას ფემინიზმს და გამოხატავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას ფემინიზმისა და ქალთა უფლებების დაცვისადმი. ამასთან იყენებდნენ უფრო გააზრებულ და მრავალფეროვან არგუმენტებს უთანასწორობის გასამართლებლად, ვიდრე რეგიონლ საუნივერსიტეტო ჯგუფებში. აზრები უფრო უაპელაციოდ გამოითქმებოდა. მამაკაცთა დასწრება ჯგუფებში განსაზღვრავდა დისკუსიის მსვლელობას. ახალციხის უნივერსიტეტში ქალი-პედაგოგები ხშირად არ ეთანხმებოდნენ მამაკაცთა სექსისტურ გამონათქვამებს. ზოგჯერ აზრები სრულიად პოლარული იყო. ერთ-ერთ თბილისურ ჯგუფში დომინანტურმა მამაკაცმა დისკუსია იმ მიმართულებით წაიყვანა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მიდიოდა თანასწორობისაკენ, რითაც განსაზღვრა სხვა გამონათქვამებიც.

ფოკუს ჯგუფემა გამოავლინა გენდერული ტენდენციურობის მრავალფეროვანი ფორმები და თანასწორობა/უთანსწორობის მიმართ განწყობების მთელი სპექტრი. ძირითადი ტენდენციები განწყობებში შემდეგია:

1. ფოკუს ჯგუფის მონაწილე მამაკაცები გენდერულ თანასწორობას ბევრად უფრო სკეპტიკურად ან პირდაპირ ნეგატიურად უყურებდნენ, ხოლო არსებული უთანსწორობას ბუნებრივ მოვლენად და ქალისა და მამაკაცის განსხვავევბებიდან გამომდინარედ მიიჩნევენ. “მამაკაცს მეტი განათლება და მრავალმხრივობა უნდა ჰქონდეს, ქალმა უნდა იგრძნოს, რომ მის გვერდით ძალაა...“ “ქალს არ აქვს უფლება ჩააბაროს სამხედრო აკადემიაში“, “ქალის წარმოჩენა საგანგებოდ არც ღირს".
2. ზოგადად ყველა ჯგუფისთვის დამახასიათებელი იყო უთანასწორობის პრობლემების რედუქცია ქალისა და მამაკაცის თანდაყოლილ ფსიქო-ფიზიოლოგიურ განსხვავებებზე. მაგ. იმის ასახსნელად თუ რატომ არ არიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალები; “მამაკაცის გონებას შეუძლია ლოგიკური მსჯელობა, სიმნელეების გადალახვა, მოთმინება, ნებისყოფა მეტი აქვს, ქალებს არა...“ რატომ არ აბარებენ გოგონები გარკვეულ სპეციალობებზე..“ ქალებისა და ვაჟების გონების შედარებაც კი არ შეიძლება. ქალებს ბევრი მუშაობა შეუძლიათ, მაგრამ ვაჟები ყველაფერს სმენითა და მხედველობით გაცილებით უკეთ ითვისებენ“ (ახალციხე).
3. აშკარად გამოკვეთილია ბიჭების/მამაკაცების გადაფასებისა და გოგონების/ქალების დაუფასებლობის ტენდენცია; ბიჭი სტუდენტების დასახასიათებლად ზოგადად უფრო მეტი მახასიათებელს (უფრო დადებითს, თუმცა უარყოფითსაც) იყენებენ, ბიჭებზე საუბარს მეტი დრო ეთმობა, ბიჭებს ახასიათებენ აღმატებითი და გოგონებთან შედარების ხარჯზე მომგებიანი თვისებებით. ხშირად გამოიყენება სიტყვა "უფრო"; "აი მამაკაცი, აზროვნების თვალსაზრისით უფრო მაღალ დონეზე დგას. სხვანაირად არ გაიგოთ, ეს არის რეალური ფაქტი." "ქალს შეუძლია გაიზუთხოს, რაც კაცისთვის ძალიან ძნელია"; "ბიჭს აქვს იმის თქმის უნარი რა აინტერესებს და რა არა"; "კაცი უფრო სიღრმეში მიდის, ქალი ზედაპირზე რჩება"; "კაცი უფრო ნიჭიერია"; "კაცი თავისუფალია"; "ორიგინალურია";ინტერესი აქვს"; "ლაღი ტვინი"; "საინტერესო პიროვნება"; "უკომპლექსოა" (თბილისი).
4. გოგონა: "შეყვარებულობის დროს გაფანტულია"; "დაზუთხვა შეუძლია"; "ფიქრობს ნიშნებზე"; “მართვადია"; "სწრაფია"’; "შეუძლია კარგად იმუშაოს".

5. ქუთაისსა და თბილისში ქალ- რესპონდენტების მხრიდან რამდენჯერმე გაიჟღერა აზრმა თანსწორობის განხორციელებაში გარეშე ფაქტორების, კულტურული ნორმების, სოციალური ინსტიტუტების, მაგ. ოჯახის ნეგატიურ როლის შესახებ. განსაკუთრებით უსვამენ ხაზს უთანასწორობას, რომელიც არსებობს საგანმანთალებლო დაწესებულების გარეთ ან შემდგომი კარიერის თვალსაზრისით _ "ქალები არა ვართ თანაბარ პირობებში"; "ბიჭს ყველანაირად ხელი ეწყობა, ქალი კი პირიქით იზღუდება ოჯახის მხრიდან"; "სტუდენტობის პროცესში მქონდა შესაძლებლობა თავის რეალიზაცია გამეკეთებინა, მაგრამ გათხოვების დღიდან ეს შესაძლებლობა გამიქრა. ქალები არიან ძალიან დაჩაგრულები საქართველოში."(თბილისის ჯგუფი).

6. ქალთა რეპრეზენტაციის სიმცირისა და მასალაში მისი უჩინარობის პრობლემა ჯერ-ჯერობით სრულიად გაუაზრებელია; რესპონდენტებს აქვთ განცდა, რომ ქალი საკმარისად კარგად არის წარმოჩენილი სასწავლო მასალაში; „ჩემს სფეროში ავტორები თანაბრად არიან წარმოჩენილნი“ (პედაგოგიკა); „ქალის როლი ისტორიაში ძალიან კარგად არის წარმოჩენილი“ (ახალციხის ჯგუფი)

7. მეორე პოზიცია ის არის, რომ ზოგ დარგებში ქალის წვლილი ნულოვანია და არც შეიძლება მეტი იყოს: „მე არ მინახავს ქალი, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს თავისი აღზრდის თეორია“; „მათემატიკაში არც ერთი ქალი არ არის წარმოდგენილი, რომელსაც შესწევს უნარი იმუშავოს და თავისი გონება კაცის გონებას გაუტოლოს“; „ქალები საერთოდ არ მონაწილეობენ მათემატიკის სფეროში“, „შეიძლება ქალმა დღეს რაღაც სახელმძრვანელო შექმნას, მაგრამ ამას სახელმძღვანელოს ვერ დავარქმევთ“; 20 საუკუნემდე არცერთი ქალის გვარი არ ფიგურირებდა არც მათემეტიკაში, არც პედაგოგიკაში“ (ახალციხე).

8. გენდერულ განსხვავებების ახსნაში წამყვანი და ფაქტობრივად გაზიარებული შეხედულება/ფორმულაა ბიჭი- ნიჭიერი, საინტერესო, ღრმა, მაგრამ ზარმაცი, გოგონა - მონდომებული, მაგრამ არა ღრმა.

9. იმ სპეციალობებზე, სადაც ბიჭები გამონაკლისია, ბიჭების "განსაკუთრებული უნარების" თემა კიდევ უფრო ძლიერად ვლინდება.

10. განათლებაში თანასწორობის მიმართ განწყობა მერყეობს უარყოფითიდან (უკიდურესი პოზიცია - თანასწორობა არ არის სჭირო) თანასწორობის საჭიროობის დეკლარაციულ აღიარებამდე.

11. ყველაფერი ზემოთ თქმულის მიუხედავად, პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ ყველა სტუდენტს, სქესის მიუხედავად, ერთნაირად ეპყრობიან.

12. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა შორის მნიშვნელოვანი გენდერული დისბალანსია სპეციალობების მიხედვით. გოგონები დიდ ან აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ შემდეგ ფაკულტეტებზე: ბიოლოგია, ეკოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოლოგია, უცხო ენები, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, ქიმია, ისტორია. ბიჭები ჭარბობენ ან დაახლოებით თანაბარი რაოდენობაა: გეოგრაფია-ტურიზმი, იურიდიული, ეკონიმიური, ფიზიკა.

13. პედაგოგების უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, თუმცა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ძირითადად მამაკაცები გვევლინებიან. ეს ტენდენცია თითქმის აბსოლუტურია რეგიონულ უნივერსტეტებში. ფილოლოგის ფაკ.ზე, ლექტორების 90% ქალია დირექტორი (კათედრის გამგე) მამაკაცია." "რაც შეეხება ფიზიკის ფაკულტეტს" ფიზიკის ფაკულტეტზე მე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ქალი არ მახსოვს, თუმცა 30 წელზე

მეტია იქ ვმუშაობ. არ მახსოვს არც დეკანი, არც დეკანის მოადგილეები, არც კათედრის გამგეები ქალი არ მახსოვს" (თბილისი) "ფაკულტეტის საბჭოში ერთადერთი ქალია და ისიც იმიტომ რომ მდივნად მუშაობს და ხომ უნდა გაფორმდეს, დანარჩენი სულ კაცებია. "პედაგოგიკის კათედრის გამგეა მხოლოდ კაცი, დანარჩენი სულ ქალები"; „უმეტესობა ჩვენ ფაკულტეტზე ქალები არიან, მაგრამ არც თანამდებობაზე და არც ფაკულტეტის საბჭოში ქალს ადგილი არ უჭირავს. კათედრის გამგე, დეკანი, დეკანის მოადგილეები არიან მამაკაცები. ფაკულტეტის საბჭოში კი ქალი ჯერ საერთოდ არ ყოფილა." (ქუთაისი)

14. ქალთა წვლილი, ძალზე მწირად არის წარმოდგენილი სასწავლო მასალაში და მერყეობს სრული უჩინარობიდან (საბუნებისმეტყველო საგნები) ერთეულ წარმომადგენლამდე (ისტორია, უცხო ენები, იურსპრუდენცია).

15. პედეგოგთა აზრით, ვაჟები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებაზე (საინტერესოა, რომ სტუდენტთა პასუხებში საწინააღმდეგო ტენდენცია აისახება)

16. პედაგოგთა აზრით გოგონები ირჩევან სპეციალობებს, რომლებიც მომავალში მისცემენ საშუალებას მეტი დრო ოჯახს დაუთმინ, ვაჟები კი ხელმძღვანელობენ პერსპექტიულობთა და ფინანსური მოსაზრებებით. განსაკუთრების გამოკვეთილია ეს ტენდენციები პროვინციაში. უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ გენდერულ როლებს: "ქართველ ბიჭს ვერ წარმოუდგენია თავი მასწავლებლის როლში" (ქუთაისი).

17. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები ყველგან უფრო მონდომებითა და წარმატებით სწავლობენ, პედაგოგთა აზრი მათზე არც თუ მაღალია.

გენდერული თანასწორობა/უთანასწორობა სასწავლო შინაარსებში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გენდერული დამოკიდებულებების დემონსტრაციის, გენდერული სტერეოტიპების კვლევწარმოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწავლო მასალის, სახელმძღვანელოთა შინაარსი.

თანასწორობა სასწავლო პროცესში, ანუ გენდერული თანასწორობის მეორე განზომილება აკცენტირებას უკეთებს იმას, რომ „გამოყენებული სასწავლო მეთოდები და მასალა არ უნდა შეიცავდეს გენდერულ სტერეოტიპებს და უპირატესობას არ უნდა ანიჭებდეს ერთ–ერთ სქესს".

სახლემძღვანელოებში მოყვანილი შინაარსების გავლენა გენდერულ უთანასწორობაზე კარგადაა გააზრებული და ჯერ კიდევ 1978 წელს ასახული CEDAW კონვენციაში: „..აღმოიფხვრას ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპული კონცეფციები...სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების გადასინჯვის მეთოდების ადაპტაციის გზით".

როგორია საქართველოს სკოლებში გამოყენებული სახელმძღვანელოები მათში გენდერული სტერეოტიპიზაციის, სქესთა რეპრეზენტაციისა თუ თანასწორობის პრინციპის დაცვის მხრივ? რა გზავნილებს იღებს მოსწავლე ილუსტრაციებიდან თუ ტექსტებიდან?

2006 წელს კვლევა საქართველოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციის სამუშაო ჯგუფმა „ქალი და განათლება“ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს პროექტის ფარგლებში განახორციელა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი კონტენტ ანალიზის მეთოდით.

ფაქტები:დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. ძირითადი შედეგები: ილუსტრაციებსა და ტექსტში მდედრობითი სქესის 3 ჯერ ნაკლებადაა წარმოდგენილი მამრობით სქესზე;

ბიჭები და მამრობითი სქესის პერსონაჟები (სურათებზე და ტექსტებში) წარმოდგენილნი არიან გენდერული სტერეოტიპების მკაცრ ჩარჩოებში. ისინი წარმოდგენილნი არიან როგორც: კომპეტენტურები, აგრესიულები, განასახიერებენ მეგობრობას, ეროვნულობას და საბრძოლო სულისკვეთებას, არიან უფრო დაუდევრები და ზარმაცები. მამაკაცი ხაზგასმით ტრადიციულ როლშია და მოძველებულ, მაგრამ ტრადიციულად კაცისთვის დამახასიათებელ საქმინობას მისდევს: მონადირე, მთიბავი, მეთუნე.
გოგონათა მახასიათებლებია: კეთილი, მზრუნველი ან ცოტათი ქარაფშუტა. მისი კომპეტენტურობა და შემეცნებითი ინტერესები იგნორორებულია. ქალი - დედაა, მისი შესაძლო პროფესიული საქმიანობა ვიწროა. ქალები თითქმის არ არიან ისეთ როლებში, რომელიც უკავშირდება კომპეტენციას, შემოქმედებას ავტორიტეტულობას, მაგ. ცნობილი მწერლები, პოეტები ან მხატვრები.(ბერეკაშვილი, ხომერიკი, ჯავახიშვილი, 2006)

2011 წელს შესრულდა სასკოლო სახელმძღვანელოების მეორე ანალიზი, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებას მოიცავს[8]. ანალიზი შეასრულეს მ. ჯავახიშვილმა, ი.ხომერიკმა და თ. აბრამიშვილმა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ 2012 წელს გრიფირებული საბაზო საფეხურის ყველა სახელმძღვანელო ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში, სულ 8 სახელმძღვანელო.

შესწავლილ იქნა მდედრობითი და მამრობითი პერსონების რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები ილუსტრაციებში და ტექსტში. როგორც ტექსტი, ისე ილუსტრაციები შესწავლილ იქნა თვისებრივი მეთოდებითაც. გამოვყავით ისეთ კატეგორიები, როგორიცაა: მამაკაცისა და ქალის თვისებები, საქმიანობა და გენდერული როლები (საოჯახო სტატუსი,

[8] ხომერიკი, ჯავახიშვილი, აბრამიშვილი.(2012) სქესთა თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას. სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი.

პროფესიული აქტივობა). ასევე შესწავლილი იყო სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ თეორიულ ცოდნის შემცველობის მხრივ.

ძირითადი შედეგები:

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ნაკლებადაა საუბარი ქალების როლზე საქართველოს ისტორიაში, მხოლოდ თამარის ფიგურაზეა გამახვილებული ყურადღება.

შინაარსობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გენდერული მგრძნობელობის არსებობისა და გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლის სურვილის შემთხვევაში ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენისას სრულიად შესაძლებელია ქალთა რეპრეზენტაცია, ქალთა როლისა და ადგილის, მნიშვნელოვნების წარმოჩენა.

ისტორიის სახელმღვანელოთა რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქალთა რეპრეზენტაცია როგორც ტექსტში ასევე ილუსტრაციებში, ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში მცირეა, იგი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცთა რეპრეზენტაციას.





▪ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოს როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისობრიბრივმა ანალიზმა გამოავლინა დისკრიმინაცია სქესთა რეპრეზენტაციის დროს. ძირითად ტექსტში, ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში, ასევე ილუსტრაციებში ქალთა რეპრეზენტაცია მცირეა, იგი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცთა რეპრეზენტაციას.

▪ თვისობრივი/შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს, საზოგადოებრივი მეცნიერებების (განსაკუთრებით, ისტორიის სახელმძღვანელოში) საკმაოდ ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობას. მამაკაცები ხაზგასმით ტრადიციულ როლში არიან წარმოდგენილები: მონადირე, მებრძოლი, მბრძანებელი; ქალი არ უკავშირდება ისეთ საქმიანობას ან როლს, რომელიც კომპეტენციას, ავტორიტეტულობას, გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, მისი საქმიანობა ძირითადად დედობა, ოჯახის გაძღოლაა.

▪ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისეთი თემების სწავლების დროს, როგორიცაა დემოკრატია, თანასწორობა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები, არაა ან არასაკმარისადაა გამახვილებული ყურადღება გენდერულ უთანასწორობაზე, სქესთა თანასწორი წარმომადგენლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობაზე, ქალთა უფლებებზე, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიაზე, ოჯახურ ძალადობაზე და სხვა მსგავს საკითხებზე, რის გარეშეც წარმოუდგენელია აღნიშნული თემის სრულყოფილი გააზრება.

▪ საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების სწავლებისას ყურადღება არ ექცევა გენდერულ ასპექტს, რაც ხელს შეუწყობდა მოწაფეებში გენდერული მგრძნობელობის გამომუშავებასა და გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

რეკომენდაციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

(ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების დეპატრამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი)

⇒ ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამულ ნაწილში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სქესთა თანასწორობის საბაზისო საკითხების ცოდნასა და მოსწავლეებში გენდერული მგრძნობელობისა და გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

⇒ სახელმძღვანელოების სტანდარტების (რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო) შემუშავებისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს გენდერული პარამეტრები.

⇒ სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემაზე კონკურსის გამოცხადებისას სავალდებულო გახადოს გენდერული პარამეტრების დაცვა სახელმძღვანელოს შემქმნელებისათვის (ავტორთა ჯგუფი, ილუსტრატორები გამომცემლობა). სასურველია, საკონკურსო დოკუმენტაციას დაერთოს მითითება იმის შესახებ, თუ როგორაა შესაძლებელი გენდერული პარამეტრების დაცვა სახელმძღვანელოების შექმნისას.

⇒ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იზრუნოს სახელმღძვანელოთა ავტორთა, ასევე პედაგოგთა გენდერული მგრძნობელობის ამაღლებაზე ტრენიგების ჩატარების გზით, უზრუნველყოს პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის საბაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების ავტორებს

⇒ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოთა ავტორებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ თანასწორობის გენდერულ ასპექტზე; ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო მოთხოვნად არ აყენეს გენდერული პრობლემატიკის განხილვას, თუმცა მისი შინაარსი იძლევა პროგრამის ფარგლებში ამ საკითხების განხილვის შესაძლებლობას.

⇒ ავტორებმა სასწავლო აქტივობებში მეტი ყურადღება გაამახვილონ გენდერული უთანასწორობის საკითხებზე. არ შემოიფარგლონ მხოლოდ მშრალი ფაქტების კონსტატაციით, არამედ შესთავაზონ მოსწავლეებს პროცესებში უთანასწორო ჩართულობის, ან უთანასწორო გავლენის მიზეზებზე მსჯელობა ან კვლევა.

⇒ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოების შემნისას ავტორებმა უნდა უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის შეძლებისდაგვარად თანასწორი რეპრეზენტაცია. მამაკაცებთან ერთან მაქსიმალურად უნდა ასახონ ქალთა მონაწილეობა ისტორიულ თუ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რეკომენდაციები გამომცემლობებს

⇒ სახელმძღვანელოების მხატვრულად გაფორმებისას ილუსტრაციებში დაიცვან გენდერული ბალანსი. სასკოლო სახელმძღვანელოში ილუსტრაციები არის არა ტექსტის გასაფორმებელი დეკორაცია, არამედ გარკვეული ინფორმაციის მატარებელი (ვიზუალური მეხსიერება უფრო ძლიერია ვიდრე სმენითი). საჭიროა სწორი გზავნილების გავავრცელება, რათა სწავლების დროს უნებურად გენდერული სტერეოტოპების გამყარებას არ შევუწყოთ ხელი.

ბიბლიოგრაფია:

1. **Nana Berekashvili,** ***The Role of Gender-Biased Perceptions in Teacher-Student Interaction,*** *Psychology of Language and Communication 2012, Vol. 16, No. 1*
2. ***The Attitude Towards Gender Equity in the System of Higher Education in Georgia****, in the Anthology of Gender Education, Moscow, 2006*
3. **Nana Berekashvili,** ***Gender Bias in Georgian School Teachers' Behavior and Attitudes,*** 15th European Conference on Developmental Psychology, Medimond International Proceedings, Bergen, 2011.
4. ნ. ბერეკაშვილი, ლ. ხომერიკი (2006). საქართველო გენდერულ/ქალთა საკითხებზე მომუშავე კოალიციის განათლების ჯგუფი. სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი.
5. „ქალი და კაცი საქართველოში", სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2011 (ანალიტიკური ვერსია)
6. მ. ჯავახიშვილი, ი.ხომერიკი, თ.აბრამიშვილი, სქესთა თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას, სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, თბილისი 2012.

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემატიკა: ექსპერტული ანალიზი

ქალის მიმართ ძალადობის პრობლემის ქართული კონტექსტის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია გავეცნოთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ევროპულ გამოცდილებას. იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი სურათის შედარება საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მათ შორის უფრო მეტია მსგავსება, ვიდრე – განსხვავება. სამომავლო სტრატეგიების დაგეგმვა ქართული სახელწიფოსთვის პირდაპირ არის ნაკარნახევი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებით, განსაკუთრებით კი „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით“ (CEDAW), რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა.

ძალადობის პრობლემაზე ფოკუსირებისას მკვლევარები გამოყოფენ 2 ძირითად საკითხს: 1. ძალადობა ოჯახში 2. სექსუალური ძალადობა. ეს არის პრობლემები, რომელთაც „გენდერის“ მნიშვნელობის გაცნობიერებაზე, ამ ცნების შინაარსის დადგენაზე, ქალთა მოძრაობის გამოწვევაზე და პრაქტიკული ცვლილებების დაგეგმვაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს. დიდია მკვლევართა ძალისხმევა ამ სფეროში არსებული ნაციონალური თუ კულტურული განსხვავებების, პრობლემის მასშტაბის დასადგენად.

ძალადობის მხილება, სახელდება და ძალადობასთან ბრძოლა

ეს სამი საკითხი ყველაზე ნათლად ასახავს იმ ლოგიკას, რომლითაც ევროპაში მოხდა ქალის მიმართ ძალადობის სისტემური გააზრება, ამ საკითხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრეზენტაცია. ამას შედეგად მოჰყვა ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიული დაგეგმვა, ევროპის დიდ ნაწილში ქალთა უსაფრთხოების დაცვა, სერვისების დაარსება, ქალთა უფლებების გაუმჯობესება და აღდგენა. დღეისათვის ევროკავშირის ყველა ქვეყანას და ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს ევალება ქალებზე ძალადობასთან ბრძოლა და მისი დაძლევა.

1990-ან წლებში მნიშვნელოვანი ეტაპები იყო:

- 1993 წლის ოქტომბერში რომში ევროპის მინისტრების კონფერენციაზე მიღებული “ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დეკლარაცია”, რომელიც ადგენს: “ქალზე ძალადობა წარმოადგენს მსხვერპლის სიცოცხლის, უსაფრთხოების, თავისუფლების და ღირსების უფლების შეზღუდვას, და ამდენად ხელს უშლის დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციობას, რომელიც კანონის უზენაესობას ემყარება”;

- 1997 წლის ევროსაბჭოს ვრცელი"მოქმედების გეგმა";

- ევროპარლამენტის მიერ გამოცხადებული "ქალის მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო წელი" (1998-99), რომელიც მოიცავდა კონფერენციების სერიას. ამ კონფერენციებით ევროკომისია ხელს უწყობდა დიალოგს მთავრობებს, ექსპერტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რათა მათ ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური გზები გამოენახათ.

მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში განხორციელდა მრავალი ცვლილება:

1. ძალადობის პრობლემის გაცნობიერების ხარისხი მნიშვნელოვნად გაიზარდა;

2. მრავალ ევროპულ ქვეყანაში საფუძველი ჩაეყარა ბევრ და მრავალფეროვან სერვისს და ქალის უფლებებზე ორიენტირებულ პროექტს;

3. ქალების ლეგალური უფლებები გაფართოვდა და გაუმჯობესდა;

4. ვითარდება რეაბილიტაციის და უსაფრთხოების მიმართ ახალი მიდგომები როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალში.

5. შეიქმნა სააგენტოთა თანამშრომლობის პროექტები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ძალადობის აღკვეთას, ჩარევას, ქალთა მხარდაჭერას და მამაკაცისთვის პასუხისგების დაკისრებას.

ამ ღონისძიებათა ერთობლიობა ხელს უწყობს ძალადობის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებას. თუმცა, სხვადასხვა ერები და კულტურები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების მასშტაბით. აშკარაა, რომ ევროპულ კონტექსტში სექსუალური ძალადობა და ძალადობა ოჯახში ადამიანის უფლებების და გენდერული ურთიერთობების პრობლემაა. განსხვავებული სურათი გვაქვს ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ოჯახი კვლევისა და საკანონმდებლო რეგულირების ცენტრალური ადგილია.

დუმილის დარღვევა არის პოლიტიკური და სოციალური ცვლილების პროცესი, რომელიც ათწლეულები და შეიძლება მეტიც გრძელდება (იხილეთ Klein 1998; Elman 1996). ამ პროცესში კი მრავალი თაობა ხდება ძალადობრივი ქცევის მსხვერპლი. პირველი ეტაპია, როცა ქალები ამ პრობლემას საკუთარ ბედისწერას კი არ უკავშირებენ, არამედ საუბარს იწყებენ პრობლემაზე, საჯაროს ხდიან თავიანთ კონფლიქტებს, არქმევენ მას "ძალადობას" და შემდეგ უკვე – "კრიმინალს". ასეთ ტრანსფორმაციას კი ფაქტორთა ერთობლიობა იწვევს.

1. საკანონმდებლო ცვლილებები და ინიციატივები;

2. გაუპატიურებულ ქალებთან პოლიციის და სასამართლოს მოპყრობის გაუმჯობესება;

3. ქალის სექსუალური თვითგამორკვევა;

4. ქალის უფლებების შესახებ საზოგადოებრივ დისკურსში მომხდარი ცვლილებები;

5. სახელმწიფო ორგანოების მიერ ძალადობის ფაქტების აღრიცხვა, რაც საწყის ეტაპზე იწვევს იმ ილუზიის გაჩენას, რომ საზოგადოებაში კატასტროფულად იმატა ასეთმა შემთხვევებმა. სინამდვილეში აღრიცხული დანაშაულის რაოდენობის ზრდა ნიშნავს არა იმას, რომ ძალადობა უფრო ხშირად ხდება, არამედ იმას, რომ ქალები აღარ დუმან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება აღრიცხული დანაშაულის კლება აჩვენებდეს, რომ ის უფრო იშვიათად ხდება.

ძალადობის ზოგადევროპული სურათის შეფასება დღემდე შეუძლებელია, რადგან არ არსებობს ამ მასშტაბის კვლევები. იგივე ეხება გავრცელების სურათს ცალკეული ქვეყნის ფარგლებში, რადგან დღეს არც ერთი ევროპული ქვეყნის მოსახლეობა ჰომოგენური არ არის. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და მიგრანტ ქალებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ მხარდაჭერით, სერვისებით და პოლიციისა და სამართლებრივი დაცვით; სამართლებლივი ინსტანციებისთვის შეტყობინებამ შეიძლება მათი აბუჩად აგდება, დისკრიმინაცია ან დეპორტაცია გამოიწვიოს. ეროვნულ დონეზე მონაცემებთა შეგროვებისას, ამ ჯგუფების გამოკითხვაში ჩართვა ხშირად ვერ ხეხდებოდა. მაგრამ მოხალისეთა ორგანიზაციები და ფემინისტი მკვლევრები სულ უფრო მეტად აპყრობენ ყურადღებას ძალადობის შემთხვევებში კლასის, რასის და მოქალაქეობის სტატუსის გავლენას.

შესაძლებელია ქვეყნების კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ ძალადობის კონკრეტულად რა ფორმების პრობლემატიზაცია ხდებოდა:

1. ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში პირველად ქალებზე მათ სახლებში, ქმრების და თანამაცხოვრებელი კაცი მეგობრების მიერ ძალადობის პრობლემით დაინტერესდნენ;

2. საფრანგეთში და შვედეთში, მეორე მხრივ, აქტიურ ფემინისტურ პროტესტს იწვევდა სექსუალური ძალადობა, განსაკუთრებით გაუპატიურება.

პირველი ჯგუფის ქვეყნებში აქტივისტებმა სწრაფად შექმნეს თავშესაფრების ქსელი, სადაც ქალებს უსაფრთხოების გარანტიებს უქმნიდნენ და მათ თავისუფლად შეეძლოთ საკუთარი პრობლემების სხვებისთვის გაზიარება.

ამ სამუშაოების წყალობით მოხდა: თემის წამოწევა, საზოგადოების წინაშე წარდგენა და აქტუალობის შენარჩუნება. ხოლო საფრანგეთსა და შვედეთში ფემინისტური მოძრაობები სექსუალური ძალადობისთვის ანალოგიურ სქემას არ იყენებდნენ. ქრისტინ დელფი გადმოგვცემს (Elman 1996: 149), რომ მთელ საფრანგეთში 1994 წლამდე არ არსებობდა გაუპატიურების მსხვერპლთა არც ერთი ცენტრი. ნაცემი და გაუპატიურებული ქალების ეროვნული ცენტრის დაარსების შემდეგ გახდა შესაძლებელი სექსუალური ძალადობის შესახებ ცოდნას პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყოლოდა. მთელი ევროპის მასშტაბით, სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლა ბევრად ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე – ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა.

ძალადობასთან დაკავშირებული ცნებები

ფართო თვალსაზრისით გენდერული ძალადობა ძალაუფლებასა და უფლებამოსილებას შორის კავშირს გამოხატავს, მაგრამ ყოველი კონკრეტული კვლევისას აუცილებელია დაზუსტება: ზრდასრულ ქალებზე ვსაუბრობთ თუ ბავშვებზე, სექსუალურ ძალადობაზე თუ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, სექსუალურ მეძიებლობაზე (harassment), მუქარაზე თუ რეალურ თავდასხმის აქტებზე და დაზიანებებზე? თუმცა, მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ცნებების დავიწროებით შეუძლებელი გახდება პრობლემის სიღრმისა და მასშტაბის დანახვა. მაგალითად: ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ქალები, როგორც წესი, ამავე დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებიც არიან. ბავშვების შეურაცხყოფა უფრო ხშირია ოჯახებში, სადაც დედა ფიზიკურად შეურაცხყოფილია; ხოლო ქალებს, რომელთაც სექსუალური ძალადობის დიდი გამოცდილება აქვთ, შეიძლება აგრესიული პარტნიორი ერჩივნოთ მარტო ცხოვრებას. მეტიც, ცნებები განსხვავდება ქვეყნებს შორისაც. სკანდინავიაში ცნება "სექსუალური ძალადობა" გამოიყენება ფართოდ _ მთელი ველის აღსანიშნავად, ხოლო გერმანიაში ეს ტერმინი ჩვეულებრივ აღნიშნავს გოგონების და ბიჭების სექსუალურ შეურაცხყოფას. ტერმინი "სექსუალური ძალადობა" გულისხმობს მტკივნეულ და თავდასხმით აქტებს, მუქარისა და აბუჩად აგდების ჩათვლით.

"ძალადობა ოჯახში" გულისხმობს ცემასაც და ინტიმურ ურთიერთობებში ქალების შეურაცხყოფასაც. "სექსუალური შეურაცხყოფა" გამოიყენება სექსუალური ურთიერთქმედების ყველა იმ ფორმის აღსანიშნად, რომელსაც ავტორიტეტის ან მეურვე ნათესავის პოზიციაზე მყოფი ზრდასრული იწყებს ან იყენებს არასრულწლოვანის მიმართ.

სექსუალური ძალადობა

გაუპატიურების ფაქტების ემპირიული კვლევებით დადგინდა, რომ: 1. გაუპატიურება, როგორც წესი, არ არის სრულიად უცნობის მხრიდან თავდასხმა, არამედ უფრო ხშირად

ურთიერთობების კონტექსტში ხორციელდება, 2. ნაცნობობა შეიძლება ხანმოკლე იყოს ან წამოწყებული იყოს გაუპატიურების მიზნით.

იმის გამო, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ქალებს ადანაშაულებდნენ გაუპატიურებაში და დანაშაული ძლიერ დამამცირებელია, ყველა ქვეყანაში მსხვერპლთა უმრავლესობა დუმილს არჩევს. აქედან გამომდინარე - ოფიციალური სტატისტიკა მისი რეალურ გავრცელების შესახებ ცოტას გვეუბნება. სოციალური გამოკითხვების დროსაც თავს იჩენს შემდეგი პრობლემები:

1. გასცემენ თუ არა ქალები ინფორმაციას ინტიმურ და ძალიან მტკივნეულ გამოცდილებაზე?

2. როგორ არის დასმული კითხვები?

3. რა შესაძლებლობები აქვთ ქალებს ასეთი შემთხვევებთან გამკლავებისთვის

4. და რამდენად შეუძლიათ ქალებს ძალადობრივი ფაქტების გახსენება?

5. რამდენად უშვებს დომინანტური დისკურსი მომხდარის განსაზღვრას, სახელდებას?

ქალებზე ძალადობის და სექსუალური ძალადობის შესახებ ჩატარებული გამოკვლევების გამოყენებული იყო "გაუპატიურების" ვიწრო სამართლებრივ განსაზღვრება ან ორაზროვანი გამონათქვამები:

- გამოიყენა თუ არა ვინმემ თქვენს მიმართ იძულება "სექსუალური კავშირის დამყარებისთვის?

- იყავით თუ არა იძულებული მონაწილეობა მიგეღოთ "სექსუალური კავშირში ან სხვა სექსუალურ ქმედებაში

- გაიძულებდათ თუ არა ქმარი "ისეთი რამეების კეთებას, რაც თქვენ არ გინდოდათ?

- "იყენებდა თუ არა ქმარი/პარტნიორი პორნოგრაფიას თქვენთვის მიუღებელი სახით?

ამ ორაზროვანი დეფინიციების გამო იქაც კი, სადაც არსებობს გამოკითხვის მონაცემები ძალადობის ამ ფორმაზე, თითქმის შეუძლებელია შედარებების გაკეთება და ტენდენციების აღწერა. მანამ, სანამ კვლევა მიჯაჭვული რჩება წარმოდგენაზე, რომ მასზე საუბარი შეუძლებელია მარტივ ენაზე ან საჯაროდ, ძნელი იქნება ძალადობის სიხშირის ან გავრცელების ხარისხიანი განხილვა. სწორედ ამიტომ "ქალები კი აღწერენ/გადმოსცემენ სპეციფიკური ქცევების გამოცდილებას, მაგრამ საკუთარ თავს, როგორც სექსუალური ძალადობის მსხვერპლად არ განიხილავენ/არ განსაზღვრავენ" (Dobash and Dobash 1998: 61).

ძალადობის ამ ფორმის დიდი ნაწილი განიხილება “ნორმალურის” ჩარჩოში. რ. რომკენსმა (Romkens, 1992, 1997) აღმოაჩინა, რომ მის მიერ გამოკვლეული ქალების 7% თქვა, რომ ქმარმა ან პარტნიორმა გააუპატიურა, ხოლო 21% თქვა, რომ აიძულა სექსუალურ კავშირში შესულიყო. ფინეთში ჩატარებულ გამოკითხვაში (Heiskanen and Piispa 1998), ქალების 6 % თქვა, რომ მისმა ამჟამინდელმა პარტნიორმა სცადა გაუპატიურება ან განახორციელა ძალადობა, ხოლო მათგან, ვისაც ურთიერთობა გაწყვეტილი ჰქონდა, 19 % დაადასტურა, რომ კაცი სექსუალური მოძალადე იყო. ამ და სხვა გამოკითხვებიდან აშკარაა, რომ

1. ქალებს ბევრად უჭირთ ამჟამინდელ პარტნიორთან თავიანთ გამოცდილებას უწოდონ “სექსუალური ძალადობა”,

2. ქალებს კიდევ უფრო მეტად უჭირთ გამოიყენონ ისეთი ემოციურად დატვირთული ტერმინები, როგორიცაა “გაუპატიურება”,

3. ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ იზიარებს თვალსაზრისს, რომ კაცი უფლებამოსილია აიძულოს ცოლი ითანამშრომლოს, როცა მას უნდა სექსი.

საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული განსხვავებების კლასიფიკაცია შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგნაირად:

1. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორც ესპანეთში და იტალიაში, მეუღლის მიერ სექსუალური აქტის იძულება, კანონის მიხედვით არ არის გაუპატიურება. ეს ტრადიცია ვრცელდება სიტუაციებზე, სადაც მიიჩნევა, რომ ქალი აღვიძებს კაცში სექსუალური ურთიერთობის მოლოდინს, ასე რომ თვით ძალიან მხეცურად გაუპატიურებული ქალიც კი შეიძლება დაეჭვებული იყოს საკუთარ უდანაშაულობაში;

2. სხვა ქვეყნებმა, როგორც გერმანიამ, მხოლოდ ახლახანს შეცვალეს თავიანთი კანონები მეუღლის გაუპატიურების დასჯის მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის აღიარების მიუხედავად, სექსუალური ძალადობა ახალგაზრდებს შორისაც გავრცელებულია. 1990 წელს ინგლისსა და უელსში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა:

1. ახალგაზრდა ქალების 21 პროცენტს (და ახალგაზრდა მამაკაცთა 7 პროცენტს) გამოცდილი აქვს შეურაცხმყოფელი ბუნების სექსუალური ძალადობის შემთხვევები;

2. 17-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალების 25 პროცენტს ჰქონდა არასასურველი სექსუალური კონტაქტები, რომლებიც აკმაყოფილებს კრიმინალური შეურაცხყოფის კრიტერიუმებს;

3. 17-დან 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ქალების 50%-ზე მეტს გამოცდილი აქვს გაუპატიურება, როცა მომალადემ წინასწარი განზრახვით გამოიყენა ალკოჰოლი ან წამლები;

4. ახალგაზრდა მამაკაცების მესამედმა აღიარა, რომ უცდია ახალგაზრდა ქალის დათრობა ან წამალი შეუპარებია მისთვის, რათა სექსზე დაეყოლიებინა.

არსებობს სხვა კვლევებიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ ხშირია ძალის, იძულების და ინტოქსიკაციის გამოყენება ახალგაზრდა ქალის დასაყოლიებლად. ძალიან უნიშვნელოა ძალისხმევა გოგონების მხარსაჭერად და ვაჟების გასანათლებლად ამ სფეროში.

ოჯახში ძალადობის ფაქტები

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ჩარევა, კვლევა და პრაქტიკულ ნაბიჯებზე დისკუსიები ბევერად იოლია, როცა საქმე გვაქვს ცოლ-ქმარს შორის ძალადობასთან. მას ნაცნობ ქალზე ძალადობას, ცოლის ცემას, ქალის შეურაცხყოფას ან ოჯახურ ძალადობას უწოდებენ. ხანგრძლივი დებატების შედეგად პრობლემის კონტურები დღეს ბევრად მკაფიოა. ბევრი კაცი ხშირად სცემს, ამცირებს, ემუქრება და ტკივილს აყენებს ქალს, რომელთანაც ცხოვრობს და ჰყავს ბავშვები; უამრავი ბავშვი ტრავმირდება იმით, რომ დედას, რომელიც მისი უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტორია, შეურაცხყოფილს და დასახიჩრებულს ხედავს (Eliasson 1997; Hester, in Hanmer and Itzin 2000). ამ ფაქტებზე დუმილი დაარღვია ფემინისტურმა პროექტებმა, რომლებიც ქალებს უზრუნველყოფდა უსაფრთხო სახლებით და თავშესაფრებით. სწორედ ამ ინსტიტუციური ცვლილების შემდეგ გახდა შესაძლებელი იმ რეალობის დანახვა, რომელშიც ქალები დუმილს ინარჩუნებდნენ. ქრონოლიგიურად ეს სურათი ასე შეიძლება დალაგდეს.

1. პირველი თავშესაფრები, ზოგიერთი დასანგრევ ან ცარიელ შენობებში მოწყობილი "ბუნაგის" ჩათვლით, დიდ ბრიტანეთში და ამსტერდამში გაიხსნა;

2. გერმანიაში, 82 მილიონიანი მოსახლეობით, დაახლოებით 400 თავშესაფარი არსებობს, და შეფასებების თანახმად ყოველწლიურად თავშესაფარს და დახმარებას ითხოვს 40,000 ნაცემი ქალი, ბევრი მათგანი მხოლოდ მოკლე ხნით.

3. ესპანეთში ახლა 243 თავშესაფარია, იმის მიუხედავად, რომ ქალების წინაშე უდიდესი სიძნელეები დგას, რადგან მათ ვერ ექნებათ სოციალური დახმარების იმედი, რომელიც ქმრის შემოსავალს ჩაანაცვლებს. ქალების უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია.

ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და კვლევები აჩვენებს:

1. რამდენი ქალი განიცდის ძალადობას საკუთარ სახლში;

2. რამდენად ფართოა მოძალადე კაცების სოციალური მდგომარეობა ეკონომიური და განათლების დონის სპექტრი.

სტერეოტიპები

თანდათან ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ძალადობრივ ქცევას კვებავს სტერეოტიპების სისტემა, რომელიც ინარჩუნებს ქალის მიმართ ძალადობის ლეგიტიმურობის მაღალ მაჩვენებელს. Yყველაზე გარცელებული შეხედულებებიდან შეგვიძლია დავასახელოთ:

1. სხვადასხვა კულტურულ ტრადიციაში ქალს ინტიმური ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს მამაკაცთან, რომელიც მისი "მფარველია" იქნება იგი ქმარი, პარტნიორი თუ თანამცხოვრები. ის გაიგება, როგორც "მისი ქალი", რაც სხვა მამაკაცს თავშეკავებას და გარკვეულ უკანდახევას ავალდებულებს _ მანამ, სანამ მოცემული მამაკაცი ელემენტარულ პატივისცემას იმსახურებს (Godenzi 1993; Sorensen 1998);

2. ცვალებადია კულტურული წესები, რომლებსაც უნდა დაემორჩილოს ქალი, რათა გაამართლოს მამაკაცის მხრიდან მიღებული მფარველობა და ეკონომიური დახმარება. მაგრამ ამ კოდექსისთვის ყოველთვის ცენტრალურია ის, რისი გაკეთებისგანაც მან თავი უნდა შეიკავოს, ანუ ქალის ქმედების სფეროს შეზღუდვა;

3. ზოგიერთ სუბკულტურაში და სამართლებრივ სისტემაში ქალს არ შეუძლია მუშაობა დაიწყოს კაცის თანხმობის გარეშე. სხვაგან კი მას შეუძლია ან ვალდებულიც არის ეკონომიურად აქტიური იყოს, მაგრამ სახლიდან არ უნდა გავიდეს გასართობად და დასასვენებლად თავისი კაცის გარეშე;

4. ქალმა თავი უნდა აარიდოს/არ დაუშვას ინტიმური ურთიერთობა ნებისმიერ სხვა კაცთან. თუ მას ვინმე ბრალს დასდებს აღიარებული შეზღუდვების დარღვევაში, ის ორმაგად მოწყვლადი ხდება: სხვა კაცები უფლებამოსილად გრძნობენ თავს იძალადონ მასზე და გამოიყენონ ის, ხოლო ქმარს ან მეგობარ მამაკაცს შეიძლება გაუჩნდეს პრეტენზია, რომ ერთგულების დარღვევის გამო შეუძლია/უფლება აქვს დასაჯოს ქალი ან მიატოვოს იგი.

5. არც ერთი ეს შეზღუდვა იმავე აზრით არ მიეყენება კაცს. კაცის ცუდი ქცევა არანაირ უფლებას არ აძლევს სხვა ქალს შეურაცხყოს ეს მამაკაცი. ასევე მის მეუღლეს/პარტნიორს არანაირი უფლება არ აქვს დასაჯოს იგი ღალატისთვის. მიტოვება კი თავისუფლად შეუძლია.

რა მასშტაბები აქვს ძალადობას?

ძალადობის მასშტაბის კვლევაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავშესაფრებში მოთავსებული ქალების გამოცდილების კვლევამ. აქ გამოჩნდა მოძალადისგან თავის დაღწევის სიძნელე, ძალადობის გავლენა შვილებზე.

1990-ანი წლების ბოლოს, ეროვნული კვლევების საფუძველზე, დაიწყო მონაცემთა ბაზის აგება, რომელიც შესაძლებელს გახდის ქვეყნების შედარებას, რისკ-ფაქტორების იდენტიფიკაციას, ან აღმკვეთი ღონისძიებების შედეგების დანახვის საშუალებას მოგვცემს.

გავრცელების პირველი გამოკვლევა ევროპაში ნიდერლანდებში ჩატარდა, 1986 წელს რენე რომკენსის მიერ. ის იყენებდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაციას. რომკენსმა შეძლო ემპირიულად განესაზღვრა ძალადობის სისასტიკის ზომა და განესხვავებინა ძალადობები, რომელთაგანც ნაწილი ცალმხრივი იყო, ნაწილი - ორმხრივი. ის იყენებდა საგანგებოდ გაწვრთნილ, პრობლემის წინასწარი ცოდნით აღჭურვილ ინტერვიუერებს. მის კვლევაში ქალებს სთავაზობდნენ თავიანთი გამოცდილებები საკუთარი სიტყვებით აღეწერათ, შემდეგ ხდებოდა თითოეული შემთხვევის სტრუქტურირება და კოდირება ქალთან ერთად (ინტერვიუს ჩანაწერების საფუძველზე).

ინოვაციური იყო ჯეინ მუნეის მიერ ჩრდილოეთ ლონდონში 1993 წელს ჩატარებული გამოკითხვაც. აქაც 1000 ქალის და მამაკაცის შემთხვევით შერჩევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია. ინტერვიუერის მიერ ადმინისტრაციული კითხვარის ღია კითხვები რესპონდენტებს თავიანთი გამოცდილებების თავისუფლად აღწერის საშუალებას აძლევდა. არსებობდა დამატებითი, ყუთში ჩასაგდები კითხვარი, სადაც ქალებს ოჯახში ძალადობის შემთხვევა/ები შეეძლოთ აღეწერათ და კონფიდენციურობის სრული გარანტია ჰქონდათ. მონაცემთა ანალიზისას კომპოზიტი აიგებოდა "ოჯახში ძალადობის" თავად ქალების მიერ მოცემული განსაზღვრების საფუძველზე. ამრიგად ორივე კვლევა მრავალგვარ საშუალებებს იყენებდა და ცდილობდა ძალადობის ისეთი საზომის მიღებას, რომელიც თავად ქალების შეფასებებს ასახავს. ორივე კვლევაში გავრცელების _ მოსახლეობაში მსხვერპლი ინდივიდების პროპორციის _ შეფასების მიზნით ქალებს ეკითხებოდნენ, სიცოცხლის განმავლობაში ოდესმე თუ განუცდიათ ძალადობა პარტნიორისგან. მუნეიმ ასევე სცადა განესაზღვრა სიხშირე _ დროის მოცემულ პერიოდში ძალადობის შემთხვევების რაოდენობა. მაგრამ ქალებს, რომლებიც არაერთხელ განიცდიან ძალადობას ოჯახში, როგორც წესი არ შეუძლიათ შემთხვევათა ზუსტი რაოდენობის დასახელება; ისინი რეაგირებენ კატეგორიებზე, როგორიცაა "ექვსიდან ათამდე" ან "ოცზე მეტჯერ". ამრიგად შეუძლებელია წლის განმავლობაში ძალადობის აქტების სრული რაოდენობის (სიხშირის) გამოთვლა; უკეთეს შემთხვევაში გამოკითხვები გვაძლევს ძალადობის აქტის გამეორების შემთხვევების გავრცელების პარამეტრს.

ოჯახში ძალადობის გაზომვის მიმართულებით ამ პიონერულ შრომას საკმაოდ დიდ ხანს ევროპაში სხვა გამოკვლევებზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია. 1994 წლიდან ვითარება შეიცვალა. "ქალის უსაფრთხოების" ან პირდაპირ "ქალზე შვეიცარიაში, ფინეთში, ინგლისში და უელსში. მსგავსი გამოკითხვების მონაცემები შეგროვდა შვედეთში და საფრანგეთში 2000 წელს. ყველა ეს გამოკითხვა სტანდარტიზებულ კითხვარებს იყენებდა და თვისებრივ კვლევებსა და პრაქტიკიდან მიღებულ მიხვედრებს ემყარებოდა.

საფრანგეთსა და შვედეთში საკმაოდ გრძელ საფოსტო კითხვარს, რომლის შევსებას და უკან გაგზავნასაც სთხოვდნენ მიმღებს, 70 პროცენტზე მაღალი გამოხმაურება ჰქონდა _ ორჯერ მეტი, ვიდრე ნორმალურად ელიან ექსპერტები საფოსტო გამოკითხვებისგან. ეს აჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში ქალები ინტიმურ ურთიერთობებში ძალადობას უკვე საჯარო გამოკითვის საგნად მიიჩნევდნენ. რეალურად აღრიცხული ძალადობის მაღალი დონე გვკარნახობს, რომ ქალები აღარ ხედავენ ამაში სამარცხვინო საიდუმლოს, თუმცა ბევრმა თქვა, რომ არასოდეს უსაუბრია ამაზე ვინმესთან.

კონტინენტზე ყველა ეროვნული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ფორმულირება:

1. მამაკაცებიც ბევრ ძალადობას განიცდიან, მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი ოჯახის გარეთ ხდება, ხშირად სმასთან დაკავშირებით ან ქუჩაში;

2. ქალები და მამაკაცები განიცდიან იმ წარმოდგენების ზეწოლას, რომლებიც საზოგადოებაში მათ სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებით არსებობს. ეს ზეწოლა მათზე განსხვავებულად მოქმედებს. კაცისგან თითქმის არასოდეს მოელიან ქალის სექსუალური სურვილის პასიურ მორჩილებას; მათ გაუპატიურების საფრთხე ძირითადად ციხის მსგავს მხოლოდ-კაცების ინსტიტუციებში ემუქრებათ და უაღრესად არასავარაუდოა, რომ კაცს ცოლი გალახავს ბუხარზე დარჩენილი მტვრის გამო;

გავრცელების კვლევაში სტანდარტად ჩამოყალიბდა რამდენიმე კომპონენტი:

1. ქალებისთვის მათ მიერ განცდილი შესაძლო ძალადობრივი აქტების დეტალიზებული სიის შეთავაზება;

2. კითხვა, თუ რა გავლენა მოახდინა ამ შემთხვევებმა ქალის ჯანმრთელობასა და დაცულობის პიროვნულ განცდაზე;

3. ვის მიმართავდნენ ქალები საშველად?

4. ქალებს ეკითხებიან, მათ ამჟამინდელ ან ყოფილ პარტნიორს ოდესმე ჩაუდენია თუ არა ჩამოთვლილი ქმედებებიდან რომელიმე? ან საპირისპირო მიდგომით, მათ ეკითხებიან ოდესმე შემთხვევიათ თუ არა მათ ჩამოთვლილთაგან რაიმე? და თუ კი, ვისგან? პირველი

მიდგომა კონცენტრირებულია უსაფრთხოებასა და ძალადობაზე წყვილის ურთიერთობებში, ხოლო მეორე - მთელი ცხოვრების მანძილზე გამოცდილი ძალადობის მოცვის საშუალებას გვაძლევს. რადგან ის წყვილის ურთიერთობებს კონტექსტში ათავსებს და თავიდან იცილებს ძალადობის საკითხის უმწიფარ შემოფარგვლას ქორწინებით და ოჯახით.

მონაცემთა შედარება აჩვენებს, რომ გამოკითხვები ზოგადად დანაშაულზე, თუნდაც გაუმჯობესებული ტექნოლოგიით და ოჯახში ძალადობის კვლევისთვის შექმნილი სპეციალური მოდულებით, აღრიცხული ძალადობის არსებითად უფრო დაბალ დონეს აჩვენებს, ვიდრე საგანგებო გამოკითხვები, რომლებიც ქალებს მიმართავს. დანაშაულის თემაზე ჩატარებული გამოკითხვები თავიდანვე ოჯახზე ფოკუსირდება, რითაც დანაშაულს გარე სამყაროში ათავსებს (ძარცვა, შეჭრა, ქუჩაში თავდასხმა). ოჯახის წევრის მხრიდან თავდასხმის ქალისეულ გამოცდილებაზე გადასვლა იოლი არ არის. მიხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობას დაუშვებლად მიიჩნევს, ბევრი ქალი მას დანაშაულის კატეგორიას არ მიაკუთვნებს.

1992 წელს გერმანიაში დანაშაულზე ჩატარებულ გამოკითხვაში სხვადასხვა ტიპის კითხვებიდან მიღებული მონაცემების შედარებამ აჩვენა, ზოგიერთი ქალი ოჯახში სასტიკ ძალადობას ზოგად საკონტროლო კითხვებში უფრო აფიქსირებს, ვიდრე – მკაფიოდ დახარისხებულ ძალადობის ფორმების ჩამონათვალში. ამ შეზღუდვების ფონზე, დანაშაულის შესახებ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა:

1. ქალების 4 %-ს გამოცდილი აქვს ფიზიკური შეურაცხყოფა ქმრის ან თანამაცხოვრებელი კაცი მეგობრისგან გასული წლის განმავლობაში;
2. ქალების 23%ს პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდია ოდესღაც ცხოვრების განმავლობაში;
3. ქალების 11% აღწერა დროგამოშვებით ან იშვიათი თავდასხმები;
4. ქალების 12% პარტნიორის მხრიდან განიცდიდა ხშირ ან ქრონიკულ შეურაცხყოფებს;
5. დაქორწინებული ან თანამცხოვრები ქალების 13 %ს როდესღაც აქვს გამოცდილი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა;
6. დაქორწინებული და თანამცხოვრები ქალების 6 %-ს ეს შეემთხვა ბოლო 12 თვის განმავლობაში.

თავშესაფრებში მყოფი ქალები ამბობენ, რომ მათ არ შეეძლოთ ძალადობის სრული მასშტაბის აღწერა ან გაცნობიერებას მანამ, სანამ მამაკაცთან ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ასეთი სიტუაციით გამოწვეულ მღელვარებასა და ტკივილთან შესაგუებლად უარყოფის, ან დავიწყების გარკვეული ხარისხი არსებითი და აუცილებელია.

ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკის/მონაცემების ინტერპრეტაცია განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომლის კვლევამ აჩვენა პრობლემათა მრავალფეროვნება:

1. სალანძღვი, მტკივნეული და დამამცირებელი კომენტარები;

2. ქრონიკული ეჭვიანობა და მესაკუთრული მოპყრობა;

3. ქალისთვის თავის ნათესავებთან ურთიერთობის აკრძალვა;

4. ქალის კორესპონდენციის კონტროლი, ტელეფონის გადაჭრა, ვერბალური დამცირება;

5. არსებობს ძლიერ კორელაცია სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და ფიზიკურ თავდასხმებს შორის;

6. მამაკაცები, რომლებიც ძალადობენ ფიზიკურად, ასევე იყენებენ კონტროლის და დაშინების სხვა საშუალებებს;

7. "დომინანტობის ინდექსი" აჩვენებს, რომ არსებობს ძლიერი კორელაცია მამაკაცის დომინაციასა და მის მიერ ძალადობას შორის;

8. არ არსებობს კორელაცია ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარებას და ძალადობის შემთხვევებს შორის;

9. არ არსებობს კორელაცია ძალადობის ფაქტებსა და მოძალადის ეკონომიკურ სტატუსს შორის;

10. არ არსებობს კორელაცია ძალადობის ფაქტებსა და მოძალადის სოციალურ სტატუსს შორის;

11. ქალებზე ძალადობის ფაქტები უფრო მოსალოდნელია თანამცხოვრები მამაკაცების მხრიდან, ვიდრე – ქმრების მხრიდან;

12. 7 წელზე უმცროსი ასაკის ბავშვიანი მარტოხელა დედები 2-ჯერ უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას, ვიდრე – უფროსი ასაკის ბავშვიანები;

13. ცემა ზოგჯერ იწყება ქალის პირველი ფეხმძიმობის დროს, როცა ალბათ საფრთხე ექმნება მამაკაცის წარმოდგენას ქორწინებაზე, როგორც მთლიანად მის საჭიროებებზე კონცენტრირებულ მოვლენაზე წარმოდგენას;

14. კვლევების უმრავლესობაში მთელი შერჩევის 10%-ზე მეტს გამოცდილი ჰქონდა საშუალო სისასტიკის ან ძალიან სასტიკი ძალადობა, რომელიც ხშირად მეორდებოდა, იყო ცალმხრივი და თითქმის ყველა შემთხვევაში შეეძლო გამოეწვია ფიზიკური დასახიჩრება.

ქალის წინააღმდეგ მომართული ძალადობის ფორმების კვლევამ აჩვენა, რომ პრობლემის მასშტაბები და მისი გავლენის სერიოზულობა სახელმწიფოს ავალდებულებს მკაფიო ნაბიჯები გადადგას ამ სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად.

ბიბლიოგრაფია:

1. Thinking Differently, A Reader in European Women's Studies, Edited by abriele Griffin and Rosi Braidotti, 2002, /წიგნი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, მთარგმნელები: ლელა ფიროსმანიშვილი, თამარ ცხადაძე, თამარ ონოფრიენკო, ეთერ ნაცვლიშვილი, ქართული გამოცემის რედაქტორი ლელა გაფრინდაშვილი, გამომცემლობა"დობერა", 2005. გვ: 283-293/;

2. CEDAW კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის ანგარიშები 1999, 2003;

3. CEDAW კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს ჩრდილოვანი ანგარიშები 1999, 2003, 2007;

4. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, (UNFPA, CSS), თბილისი, 2010.

მედია და გენდერული თანასწორობის საკითხები

შესავალი

გენდერი თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცისთვის კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში, საზოგადოებაში.

გენდერი, როგორც სოციალური კონსტრუქტი, ქალებისა და მამაკაცების სოციალურ როლებს განსაზღვრავს, რომლებსაც საზოგადოება ადამიანებს სქესის მიხედვით მიაწერს. ამ კონსტრუქტის მეშვეობით შექმნილი სოციალური მოდელები აყალიბებს და აძლიერებს წარმოდგენებს მამაკაცისა და ქალის თვისებების, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების, ქცევის, ღირებულებების, საზოგადოებაში მათი ადგილისა თუ ბევრი სხვა ასპექტის შესახებ.

ამ სოციალური მოდელების ხასიათს კონკრეტული ისტორიული და კულტურული გარემო განაპირობებს. თითოეული საზოგადოება გენდერულ როლებს საკუთარი ჩვეულებების, შეხედულებების, ტრადიციებისა და ნორმების მიხედვით განსაზღვრავს.

გენდერული თანასწორობა ქალისა და მამაკაცის იგივეობას არ გულისხმობს. იგი ნიშნავს ქალისა და მამაკაცის უფლებრივ თანასწორობას, ქალისა და მამაკაცისთვის თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების არსებობას, მათი ინტერესები თანაბრად გათვალისწინებას და მათზე თანაბარი პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების დაკისრებას.

გენდერული თანასწორობა, როგორც ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობა, ერთ-ერთი იმ ღირებულებათაგანია, რომლის საქართველოში დამკვიდრება, ქვეყნის ისტორიული წარსულის, კულტურული თავისებურებების, ტრადიციებისა თუ გავრცელებული შეხედულებების გათვალისწინებით, საკმაოდ რთულია. ამის მისაღწევად, პირველ რიგში, ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის გააზრება და აღიარება უნდა მოხდეს.

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი მიზეზი სექსიზმია. სექსიზმი არის სქესობრივი ნიშნით ადამიანთა დისკრიმინაციის იდეოლოგია და პრაქტიკა. ამ ტერმინით აღინიშნება ის სოციალური სტერეოტიპები, რწმენები და წარმოდგენები, რომლებიც ერთი სქესის მეორეზე დომინირებას აწესებს. სექსისტური ტენდენციები ვლინდება ენის ბუნებაშიც, მაგალითად ისეთი განსაზღვრებებით, როგორებიცაა ,,ნამდვილი მამაკაცი“ ან ,,ნამდვილი ქალი,“ ,,კაცის საქმე“ ან ,,ქალის საქმე.“

სექსიზმი მამაკაცის დომინირებას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს. ეს იდეოლოგია, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევაში ვლინდება, ამცირებს, არახელსაყრელ პირობებში აყენებს ქალებს. ეს ტერმინი თითქმის ყოველთვის ქალთა დისკრიმინაციის თვალსაზრისით გამოიყენება.

საქართველოში გენდერული უთანასწორობის პრობლემა მწვავედ დგას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქვეყანაში ქალებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, საქართველო კვლავ ღრმად პატრიარქალურ საზოგადოებად რჩება. დღევანდელ საქართველოში ქალები საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ ქალებისადმი სექსისტური მიდგომები ჭარბობს. ამის უმთავრესი მიზეზი გენდერზე ინფორმაციის ნაკლებობა და ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების შესახებ დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპებია. გენდერული სტერეოტიპი საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და კაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა და სოციალურ ფუნქციებზე. გენდერული სტერეოტიპები ქმნის წინასწარ განწყობას, რომლის შესაბამისადაც ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელს რაიმე თვისებები მცდარად მიეწერება, ან პირიქით – კონკრეტული სქესის წარმომადგენლისათვის შეუფერებლად მიიჩნევა. გენდერული სტერეოტიპები განსაკუთრებით თვალსაჩინოა მასმედიაში.

გენდერული თანასწორობის საკითხზე საზოგადოების ინფორმირების და გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის თვალსაზრისით მედიას სერიოზული როლის შესრულება შეუძლია. არავინ დავობს, რომ მედია მძლავრი იარაღია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით და შეუძლია ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის ღირებულების დამკვიდრებას.

ამ უფლებრივი თანასწორობის თემებისა და საკითხების სათანადო გაშუქების თუ გაშუქების ხარისხის გაუმჯობესების მთავარი წინაპირობა გენდერის საკითხებში თავად მედიის წარმომადგენლების გათვითცნობიერება და გენდერმგრძნობიარე პროფესიული ჟურნალისტიკაა. მედიას შეუძლია შექმნას ახალი სტერეოტიპები, გააძლიეროს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და პირიქით, გავრცელებული სტერეოტიპები შეასუსტოს ან საერთოდ გაანეიტრალოს. თუ მედიასაშუალება და ჟურნალისტები გათვითცნობიერდებიან გენდერთან დაკავშირებულ საკითხებში და ამ ცოდნაზე დაყრდნობით გააშუქებენ ნებისმიერ მოვლენასა თუ კონკრეტულად გენდერთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი, სულ მინიმუმ, გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების შესუსტებას შეუწყობენ ხელს.

გენდერული თანასწორობაცა და როფესიული სტანდარტებიც ქართულ მედიაში (და არა მარტო ქართულში), როგორც წესი, ქალების და ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს ირღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაში გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას, პირველ რიგში, ქალებისა და ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება იგულისხმება.

ზოგადი ტენდენციები ქართულ მედიაში

გენდერული საკითხების გაშუქებისას ქართულ მედიაში სტერეოტიპული აზროვნება და მიდგომები ჭარბობს. ქალებსა და ქალთა საკითხებზე მომზადებული მასალების უმეტესობა გენდერულ სტერეოტიპებს არა თუ ამცირებს, არამედ პირიქით, აძლიერებს. ჟურნალისტები არ

იცნობენ გენდერის პრობლემატიკას და შესაბამისად, გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ. სტერეოტიპების გამყარებას ქართული მედია ხელს უწყობს როგორც სიტყვით (დაბეჭდილი თუ ზეპირი ტექსტი) და გამოსახულებით (ვიდეო თუ ფოტომასალა), ასევე საკითხების არაგენდერმგრძნობიარე გაშუქებით. სტერეოტიპის გაძლიერებას უწყობს ხელს სექსისტური ენაც - ისეთი სიტყვები, გამონათქვამები თუ შეფასებები, რომლებითაც ხდება ადამიანის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე. სექსისტური გამონათქვამები ისეთი ფრაზები და გამონთქვამებია, რომლებიც ამცირებს ქალთა მნიშვნელობას და წვლილს, აკნინებს მათ როლს საზოგადოებაში, ლახავს მათ უფლებებს და შეურაცხმყოფელია ქალისათვის.

მედიაში გენდერული საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით შემდეგი ძირითად პრობლემები შეიძლება გამოიყოს:

- ახალი ამბების სუბიექტებს, როგორც წესი, მამაკაცები წარმოადგენენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მედია „ვერ ამჩნევს“ ან არ ინტერესდება ქალთა თემებით თუ ქალების მიღწევებით.

- მცირეა ქალების წილი რესპონდენტებსა და კომენტატორებს შორისაც. ქალი რესპონდენტები/კომენტატორები უფრო მეტად განათლების, მედიის, ფსიქოლოგიის საკითხების გაშუქების დროს გვხვდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ სფეროებში მეტი ქალი მოღვაწეობს, ვიდრე მამაკაცი და არა იმიტომ, რომ ჟურნალისტი გენდერული ბალანსის დაცვას ცდილობს. ამ სფეროებში გენდერული ბალანსი, როგორც წესი, ქალების სასარგებლოდ ირღვევა და ის ფაქტი, რომ ასეთ საკითხებს, უმეტესად, ქალები განიხილავენ, აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ისინი „ქალური“ საკითხებია და შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანი.

- იშვიათად ისმის ქალთა მოსაზრებები „სერიოზულ თემებზე“ - პოლიტიკის, ეკონომიკის, მთავრობის საქმიანობის, ბიზნესისა თუ თავდაცვის საკითხებზე. არსებული სტერეოტიპის მიხედვით, ეს სფეროები და მათთან დაკავშირებული საკითხები მამაკაცების კომპეტენციად ითვლება. ქალები უფრო ეგრეთ წოდებულ „მსუბუქ თემებზე“ (მაგალითად, ხელოვნება, მოდა) მომზადებულ მასალებში გვხვდებიან. იშვიათად ჩანან ქალები ეკონომისტების, მენეჯერების, ბიზნესლიდერებისა თუ სხვა როლში.

- ქალები, უმთავრესად, ისეთი საკითხების გაშუქებისას გვხვდება, რომლებიც, გავრცელებული სტერეოტიპის თანახმად, მხოლოდ ქალებს ეხება, მაგალითად, სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ მასალებში. ამის საპირისპიროდ, ცოტა ქალი რესპონდენტია პოლიტიკის, მთავრობის საქმიანობის, საკანონმდებლო ცვლილებების, ეკონომიკის საკითხების შესახებ მომზადებულ მასალებში. მაგალითად, რომელიმე სამინისტროს შესახებ მომზადებულ სიუჟეტში იშვიათად ისმის ქალი რესპონდენტის მოსაზრება ამ სამინისტროს საქმიანობის შესახებ.

- ქალი რესპონდენტები, როგორც წესი, ტიტულოვანი ქალები არიან – თანამდებობის პირები, კულტურის თუ საზოგადო მოღვაწეები. მედია რიგითი ქალი მოქალაქეების მოსაზრებებით, როგორც წესი, არ ინტერესდება. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა ზოგიერთი კატეგორიის ქალებს, მაგალითად, მოხუცებს, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს.

- შეზღუდულია ქალებთან დაკავშირებული თემების სპექტრიც. ყველაზე ხშირად ქალები ძალადობის - ოჯახში ძალადობის ან სექსუალური ძალადობის კონტექსტში შუქდება, სადაც ისინი მსხვერპლის როლში წარმოგვიდგებიან, რაც კიდევ უფრო ამყარებს სტერეოტიპს ქალების უსუსურობის შესახებ.

ეს არის ტიპური სურათი როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდვით მედიაში.

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის გენდერული თანასწორობა დაცული მედიაში და რამდენად გენდერმგრძნობიარეა მედიასაშუალება, ყურადღება შემდეგ საკითხებს უნდა მიექცეს:

- გენდერული ბალანსი და გაშუქების სიხშირე: დაცულია თუ არა ჟურნალისტურ მასალაში გენდერული ბალანსი, ანუ, მიმართავენ თუ არა ჟურნალისტები თანაბრად ქალებსა და კაცებს კომენტარებისათვის. ისმის თუ არა ქალთა მოსაზრებები და შეფასებები სხვადასხვა (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ.) საკითხებზე. რამდენად ხშირად შუქდება ქალები და ქალებთან დაკავშირებული საკითხები.

- ქალთა მოხსენიება და დახასიათება: როგორ მოიხსენიებენ ქალებს ჟურნალისტები, მაგალითად, მათი სამსახურებრივი სტატუსით თუ როგორც მეუღლეს, დედას, დას; ასევე, როგორ ხდება ქალების დახასიათება მედიაში, მაგალითად, მათი მიღწევების, განათლების სტატუსის, თანამდებობის კუთხით, თუ გარეგნობის, გემოვნებიანად ჩაცმულის ან დედის სტატუსით.

- სექსისტური ენა: ხომ არ გამოიყენება ჟურნალისტურ მასალაში სექსისტური ენა, ანუ, ისეთი გამონათქვამები თუ შედარებები, რომლებიც შეურაცხყოფს ქალებს ან ლახავს მათ ღირსებას.

- ქალთა მიმართ ძალადობის და ქალი დამნაშავეების გაშუქება: როგორ აშუქებს მედია ქალების მიმართ ძალადობას (მაგალითად, ოჯახში ძალადობას, ტრეფიკინგს, სექსუალურ ძალადობას), ასევე, იმ კრიმინალურ შემთხვევებს, რომლებშიც დამნაშავე ქალია.

- ჟურნალისტების გენდერმგრძნობიარობა: რამდენად გათვითცნობიერებულები არიან ჟურნალისტები გენდერის საკითხებში; გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ თუ თავისუფლები არიან ასეთი სტერეოტიპებისაგან.

- პროფესიული გაშუქება: შუქდება თუ არა ზემოაღნიშნული საკითხები პროფესიული სტანდარტების დაცვით. მაგალითად, ხომ არ იყენებენ ჟურნალისტები ისეთ მასალას (ტექსტი, გამოსახულება, ფოტოები), რომელიც ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას; სენსაციად ხომ არ აქცევენ ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევას ან ქალის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას; ხომ არ ამჟღავნებენ ისეთ დეტალებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირებას; ხომ არ ხდება ქალთა მიმართ ძალადობის და პორნოგრაფიის პროპაგანდა.

ეს საკითხები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, აძლიერებს თუ არა მედია გენდერულ სტერეოტიპებს.

პრაქტიკა

2011 და 2012 წლებში, ექვსთვიანი ინტერვალით ჩატარდა ორი მოკლევადიანი კვლევა. დაკვირვების ობიექტებს 12 მედიასაშუალება - ხუთი ტელეარხი და შვიდი გაზეთი წარმოადგენდა. სატელევიზიო მედიაში მონიტორინგი დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ხორციელდებოდა. ამ კვლევების საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციები ასეთია:

1) გენდერული ბალანსი

ქართულ მედიაში გენდერული ბალანსი არ არის დაცული. დისბალანსი, როგორც წესი, მამაკაცების სასარგებლოდ იხრება. როგორც სატელევიზიო, ისე ბეჭდვით მედიაში რესპონდენტებსა და კომენტატორებს შორის მამაკაცები ჭარბობენ. ქალი რესპონდენტების/კომენტატორების სიხშირე დამოკიდებულია იმ სფეროსა თუ საკითხზე, რომელიც შუქდება. მაგალითად, პოლიტიკის, ეკონომიკის, უსაფრთხოების, თავდაცვის თემების გაშუქებისას, ქალი რესპონდენტები აშკარა უმცირესობაში არიან. რაც შეეხება საექსპერტო მოსაზრებებს, აქ ქალი რესპონდენტები პრაქტიკულად არ გვხვდებიან. ქალები უფრო ხშირად ჩნდებიან ისეთი საკითხების კომენტირებისას, როგორებიცაა განათლება, მედიცინა, სოციალური და ყოფითი პრობლემები, ფსიქოლოგიის საკითხები, მედია, ანუ იმ სფეროებში, რომლებშიც პროფესიონალი ქალები უფრო მრავლად მოიძებნებიან და ჟურნალისტებს მათი პოვნა არ უჭირთ. ეს არის ტიპური სურათი ნებისმიერი მედიასაშუალებისათვის და ამის მაგალითები ყოველ დღე გვხვდება მედიაში. საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ერთ-ერთი ტელეკომპანიის საინფორმაციო პროგრამის სიუჟეტში, რომელიც პოლიტიკოსის უცხოეთში გაკეთებულ საკამათო განცხადებას ეხებოდა, კომენტარებს მხოლოდ კაცები აკეთებდნენ. იმავე გადაცემის მეორე სიუჟეტში, რომელიც განათლების სფეროს ეხებოდა, კერძოდ, პედაგოგების ხელფასის ზრდას, ყველა რესპონდენტი ქალი იყო.

მეორე ტელეკომპანიის ერთ საინფორმაციო გადაცემის ორ სიუჟეტში, რომლებიც მედიას ეხებოდა (ერთი ჟურნალისტთა დაშინებისა და ზეწოლის ფაქტებსა და ქართული მედიის პრობლემებს, ხოლო მეორე ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის

წარმომადგენლების გაერთიანებას მედიაგარემოს გაუმჯობესების მიზნით) გენდერული დისბალანსი ქალების სასარგებლოდ იყო გადახრილი.

საქმე ის არის, რომ საქართველოში გაცილებით ნაკლები ქალი პოლიტიკოსია, ვიდრე კაცი, განათლების და მედიის სფეროში კი პროფესიონალი ქალები მრავლად არიან. შესაბამისად, ჟურნალისტებისთვის პოლიტიკის საკითხებზე კომენტირებისათვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომი რესპონდენტები მამაკაცები არიან, ხოლო მედიის საკითხებზე კომენტირებისათვის - ქალები. ნებისმიერი საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ ქალი რესპონდენტები, უნდა მოძებნონ შესაბამის სფეროში მოღვაწე ქალები და კომენტარი სთხოვონ მათ. ოღონდ, ასეთ დროს ქალის მოსაზრება მამაკაცების მოსაზრებების პარალელურად უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგოც თანასწორი და თანაბარი მოსაზრება და არა როგორც დამატებითი მსოაზრება. ასეთ შემთხვევაში შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქალების მოსაზრება მეორეხარისხოვანია. გარდა ამისა, სფეროებს შორის ასეთი გენდერული დისბალანსი ახდენს საქმიანობის სფეროების და რპოფესიების სტერეოტიპიზაციას, რომ პოლიტიკა „მამაკაცური“ სფერო და პროფესიაა, ხოლო, მაგალითად, მედია „ქალური“.

გენდერული ბალანსის დაცვის მხრივ მდგომარეობა იდენტურია გაზეთებშიც.

2) გაშუქების სიხშირე

ქალებზე და ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე სატელევიზიო სიუჟეტები და საგაზეთო მასალები იშვიათად მზადდება; წარმატებული ქალები თუ ქალთა მიღწევებიც იშვიათად შუქდება. ასევე საკმაოდ მცირეა ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადებული სამაუწყებლო და საგაზეთო მასალების რაოდენობა. ის გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც ქალთა საკითხებს ეხება, ჩვეულებრივ სტერეოტიპული აზროვნების მკაფიო ნიმუშებია და კიდევ უფრო აძლიერებს ისედაც ღრმადფესვგადგმულ სტერეოტიპებს.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადებულ მასალებში, როგორც წესი, რესპონდენტები მხოლოდ ქალები არიან, რაც ახდენს ამ საკითხების, როგორც მეორეხარისხოვანი თემების სტერეოტიპიზაციას.

ზოგ ქართულ გაზეთს, განსაკუთრებით ყოველკვირეულს, აქვს მუდმივი რუბრიკები ქალთა თემებთან დაკავშირებით. მაგალითად, ასეთი რუბრიკები - „ოჯახური ძალადობა“, „თქვენთვის ქალბატონებო“. ამ ტიპის რუბრიკებში, როგორც წესი, იბეჭდება ისტორიები მამაკაცების მიერ მიტოვებული და მოტყუებული ქალების შესახებ, რაც აძლიერებს სტერეოტიპს ქალის უსუსურობის და დაუცველობის შესახებ. ზოგჯერ თემატიკა უფრო მრავალფეროვანია და მიტოვებული ქალის პრობლემის გარდა სხვა საკითხებსაც ეხება, მაგალითად, დედებსა და შვილებს შორის ურთიერთობებს (თუმცა არა მამებსა და შვილებს შორის, რაც სტერეოტიპული აზროვნების მორიგი ნიმუშია - ბავშვთან ურთიერთობა მხოლოდ დედის ფუნქციაა).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ რუბრიკებს რაიმე საინფორმაციო ან საგანმანათლებლო ღირებულება არ გააჩნია. ისინი მხოლოდ და მხოლოდ სტერეოტიპიზაციას უწყობს ხელს. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში - „ბავშვობის საიდუმლო და „მოღალატე“ დედის წერილი“, მოთხრობილი იყო დედასა და შვილს შორის დაძაბული ურთიერთობის ისტორია. ეს სტატია, სათაურიდან დაწყებული მასში გადმოცემული ამბით დასრულებული, სტერეოტიპული აზროვნების ნიმუში იყო: ამყარებდა სტერეოტიპს, რომ რადგან ბავშვის აღზრდა მხოლოდ დედის საქმეა, ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემაში დედაა დამნაშავე (მამას ხომ უფრო დიდი მისია აკისრია - უნდა იმუშაოს).

აღსანიშნავია, რომ თავად რუბრიკის სათაური უკვე გენდერმგრძნობიარობის ნაკლებობის მაჩვენებელია. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენს რუბრიკას „თქვენთვის მამაკაცებო“, ანდა სტატიას სათაურით - „ბავშვობის საიდუმლო და „მოღალატე“ მამის წერილი“. ქალებისადმი მიძღვნილი რუბრიკები უფრო გენდერული უთანასწორობის, სექსიზმის მაჩვენებელია. მედიასაშუალებას, შესაძლოა, ჰგონია, რომ ქალებისა და ქალთა თემატიკის გამოყოფით გენდერულ ბალანსს იცავს, მაგრამ ეს გენდერული ბალანსის არასწორი გაგებაა. თავად ფაქტი, რომ ქალთა საკითხები ცალკე არის გამოყოფილი, გენდერული თანასწორობის და ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის დარღვევაა. ქალების მოსაზრებები უნდა ისმოდეს მამაკაცების მოსაზრებების პარალელურად, ქალთა თემები ისევე უნდა შუქდებოდეს, როგორც ნებისმიერი სხვა თემა. გამორჩევა არ ნიშნავს თანასწორობას, პირიქით, გამორჩევა აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა და ამის საკომპენსაციოდ ქალს რაიმე შეღავათი უნდა გაუკეთდეს, მაგალითად, გაზეთში ცალკე რუბრიკა. სწორი მიდგომა იქნებოდა, რუბრიკა რომ გენდერული თანასწორობის საკითხებს ეხებოდეს და თანაბრად აშუქებდეს ქალისა და კაცის პრობლემებს.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქალისა და ქალთა თემების გაშუქების მანერას - არის თუ არა გამოკვეთილი პრობლემა, რა კუთხით არის გაშუქებული ამბავი, რა ტიპის ანალიზი ახლავს და ა.შ. ამ ტიპის რუბრიკებში გამოქვეყნებულ მასალებში მხოლოდ ვიღაცების ისტორიებია მოთხრობილი (რომელთა ნამდვილობა საეჭვოა) ყოველგვარი პრობლემის დასმისა და გაანალიზების, გაშუქების კუთხის შერჩევის თუ სპეციალისტების კომენტარების გარეშე. ქალი და ქალთა თემები მხოლოდ საგაზეთი გვერდის შესავსებ მასალად არ უნდა გამოიყენებოდეს. ქართული გაზეთების ეს რუბრიკები კი სწორედ ასეთის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თუმცა, ქართულ მედიაში ამ თვალსაზრისით დადებითი მაგალითებიც არსებობს. სამაუწყებლო მედიაშიც და ბეჭდურ მედიაშიც პოლიტიკის საკითხებზე, ჩვეულებრივ, კაცი ექსპერტები საუბრობენ. თუმცა ბოლო პერიოდში იშვიათად, მაგრამ მაინც, მედია ქალი ექსპერტების კომენტარებსა და ინტერვიუებსაც გვთავაზობს.

თუ ასეთ მაგალითებს გამონაკლისის სახე არ ექნება, ისინი ხელს შეუწყობს იმ სტერეოტიპის დაძლევას, რომლის მიხედვითაც „სერიოზული თემები“ მხოლოდ მამაკაცებს ხელეწიფებათ და პოლიტიკაზე ქალებს მოსაზრების გამოთქმა არ შეუძლიათ. ასეთი მაგალითების სიმრავლე,

ასევე, შეცვლის გენდერულ დისბალანსს მედიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული ბალანსი არ ნიშნავს აუცილებლად მათემატიკური სიზუსტის დაცვას - რამდენი კაციც იქნება იმდენივე ქალის გაშუქებას. გენდერული ბალანსი ობიექტური რეალობიდან გამომდინარე სათანადო პროპორციის დაცვას გულისხმობს.

თუმცა, ქალი ექსპერტების მედიაში ბოლო დროს გამოჩენა, ალბათ, ვერც გენდერული თანასწორობის საკითხში ჟურნალისტების გათვითცნობიერებას თუ გენდერმგრძნობიარობის და ვერც მათ მიერ გენდერული ბალანსის დაცვის მცდელობას ვერ მივაწერთ, ვინადიან ამის საფუძველს სხვა მასალები არ იძლევა.

ამრიგად, ქართულ მედიაში დარღვეულია გენდერული ბალანსი. არ ისმის ქალთა მოსაზრებები, სხვადასხვა საკითხები არ შუქდება ქალის პერსპექტივიდან. ქალის შეხედულებები იგნორირებულია. ეს ხელს უწყობს ქალის შესახებ არსებული სტერეოტიპის გამყარებას, თითქოს აზრი კაცს უნდა ჰკითხო, ვინაიდან კაცი ქალზე ჭკვიანია.

ხაზგასასმელია ერთი გარემოება: ქალი რესპონდენტები, როგორც წესი, ტიტულოვანი ქალები არიან – თანამდებობის პირები, კულტურის თუ საზოგადო მოღვაწეები. მედია რიგითი ქალი მოქალაქეების მოსაზრებებით, როგორც წესი, არ ინტერესდება.

3) ქალთა მიმართ ძალადობის და ქალი დამნაშავეები

ქალთა მიმართ ძალადობა და ქალი დამნაშავეების საკითხები, ჩვეულებრივ, შუქდება მაშინ, როდესაც ასეთ ფაქტს აქვს ადგილი, და ძირითადად, ამ ახალი ამბის აღწერით შემოიფარგლება. საკითხის განზოგადება, პრობლემის დაყენება, პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება, კვალიფიციური მოსაზრებები ამ პრობლემის შესახებ იშვიათად (თითქმის არასდროს) გვხვდება. გარდა საკითხის გაშუქების ზედაპირულობისა, ასეთ გაშუქებას სტერეოტიპული აზროვნების კვალიც ამჩნევია.

ქალთა მიმართ ძალადობის გაშუქებისას, ჟურნალისტებს არ ესმით, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საგანი ერთი კონკრეტული შემთხვევა კი არ არის, არამედ ოჯახში ძალადობის პრობლემა. ამიტომ, ამ თემაზე მომზადებული მასალის უმეტესი ნაწილი ამბის აღწერას კი არ უნდა დაეთმოს, არამედ პრობლემის დასმას და გაანალიზებას და შესაბამისი სფეროების სპეციალისტების კვალიფიციურ მოსაზრებებს პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

ოჯახში ძალადობის თემის გაზეთში შედარებით ღრმა მიმოხილვის შემთხვევებიც არის. მაგალითად, 2012 წელს, როდესაც პარლამენტში წარდგენილი იქნა საკანონმდებლო პაკეტი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შესატანად, ეს თემა რამდენიმე გაზეთმა გააშუქა. ერთი გაზეთი საინფორმაციო ხასიათის სტატიით შემოიფარგლა, რომელშიც საკანონმდებლო ცვლილების მოკლე შინაარსი და ოჯახში ძალადობის სფეროს ერთი სპეციალისტის კომენტარი იყო შემოთავაზებული. თუმცა, ამ კომენტარში რესპონდენტმა ამ ცვლილების გამომწვევი ისეთი სერიოზული მიზეზები დაასახელეს, რომ წესით, გაზეთი უნდა დაინტერესებულიყო და

სულ ცოტა, ერთი ვრცელი სტატია მოემზადებინა ამ თემაზე. მაგრამ გაზეთი ამ თემით არ დაინტერესებულა. ეს გაზეთის რედაქციის გენდერული საკითხების მიმართ დამოკიდებულებაზე მიუთითებს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება არაინფორმირებულობა იყოს.

ოჯახში ძალადობის თემისადმი მეტი ინტერესი მეორე გაზეთმა გამოიჩინა. გაზეთმა ჯერ ნახევარგვერდიანი საინფორმაციო სტატია მოამზადა, რომელშიც ოჯახში ძალადობის კანონში შესატანი ცვლილების შინაარსისა და ამ კანონის მიღების ისტორიის მიმოხილვასთან ერთად, ამ საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორის, ასევე ამ სფეროს სპეციალისტების კომენტარები იყო მოცემული. 10 დღის შემდეგ კი ვრცელი, გვერდნახევრიანი სტატია გამოაქვეყნა ამ თემაზე, სადაც ეს საკითხი ფართოდ იყო განხილული - ოჯახში ძალადობის შემთხვევები, ჩატარებული კვლევების შედეგები, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა საქართველოში, საკანონმდებლო ცვლილების მიმოხილვა და სპეციალისტების კომენტარები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სტატიაში რესპონდენტები მხოლოდ ქალები იყვნენ, რაც სტერეოტიპული აზროვნებით აიხსნება - ოჯახში ძალადობა მხოლოდ ქალებს ეხება, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ანუ დაჩაგრული არსება, მხოლოდ ქალია. გარდა ამისა, მხოლოდ ქალი რესპონდენტების გამოყენება აძლიერებს იმ სტერეოტიპსაც, რომ ოჯახში ძალადობა „ქალური“ თემაა და შესაბამისად, ნაკლებად მნიშვნელოვანი.

ზოგ გაზეთს ყოველკვირეულ რუბრიკაც კი აქვს ოჯახში ძალადობის თემაზე. თუმცა ამ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალები უფრო მავნებელია და ამყარებს სტერეოტიპს ქალის უსუსურობისა და დაუცველობის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ პროფესიულად შუქდებოდეს ეს უმნიშვნელოვანესი თემა, დასმული იყოს პრობლემური საკითხები, შემოთავაზებული იყოს ამ პრობლემის გადაჭრის ან შემსუბუქების გზები, პროფესიონალთა რჩევები, იურიდიული დაცვის მექანიზმები და ა.შ., ანუ ის, რაც ამ პრობლემის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს, ასეთი რუბრიკები ყოველკვირეულ `სახალისო~ საკითხავად არის ქცეული.

ოჯახში ძალადობის გაშუქებისას ხშირად ირღვევა პროფესიული სტანდარტები. მაგალითად, პროფესიული სტანდარტი ჟურნალისტისგან მოითხოვს, ძალადობის მსხვერპლის ვინაობა არ გაამჟღავნოს, თუ მსხვერპლი არ არის თანახმა. ერთ-ერთმა ტელევიზიამ გააშუქა ოჯახში ძალადობის შემთხვევა - ქალი, რომელიც ქმარმა და შვილმა ჯერ სცემეს, მერე კი მეორე სართულის აივნიდან გადმოაგდეს. დაზარალებულს ფეხი ჰქონდა მოტეხილი და საავადმყოფოში იწვა. სიუჟეტში ნაჩვენები იყო დაზარალებული საავადმყოფოში; გადაიცა მისი კომენტარიც. თუმცა, სიუჟეტიდან აშკარად ჩანდა, რომ დაზარალებულს არ სურდა ამ ამბის გახმაურება: მან ფეხის მოტეხვის სხვა ვერსია მოყვა – ფეხი დამიცდა და წავიქეციო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტს არც უცდია, დაზარალებულისაგან თანხმობა მიეღო მის იდენტიფიცირებაზე. ასევე სავარაუდოა, რომ ჟურნალისტმა არც ამ მასალის გამოქვეყნების შესაძლო შედეგი გაითვალისწინა, რომელიც ამ ქალისთვის შეიძლება საზიანო ყოფილიყო. მგრძნობიარე თემების გაშუქებისას ჟურნალისტს მსგავსი სიფრთხილის გამოჩენა მოეთხოვება.

იმავე ტელევიზიამ გააშუქა ოჯახში ძალადობის შემთხვევა, რომელშიც 30 წლის მამაკაცს თავის 13 წლის გოგონას ცემაში ადანაშაულებენ. სიუჟეტის ძირითადი დრო ამბის თხრობას დაეთმო. პრობლემის განზოგადების მცდელობა კვლევების რამდენიმე შედეგის აღნიშვნითა და სოციალური აგენტის კომენტარით შემოიფარგლა. თავად სიუჟეტში არა ერთი პროფესიული სტანდარტი დაირღვა. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო გადაცემის წამყვანმაც და სიუჟეტის ავტორმაც აღნიშნეს, რომ არასრულწლოვანის დაცვის მიზნით, შეგნებულად არ ასახელებენ მშობლისა და დაზარალებული არასრულწლოვანის ვინაობას და არც იმ სოფლის სახელს, სადაც ეს ფაქტი მოხდა, სიუჟეტში ჩანდა არასრულწლოვანის მამა, ბებია, მეზობლები, უბნის რწმუნებული. ამროგად, არასრულწლოვანის კონფიდენციალობა დირღვა და მისი იდენტიფიცირება არავის გაუჭირდებოდა.

ქალის მიმართ ოჯახში ან სხვა ტიპის ძალადობაზე მასალის მომზადებისას, ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს ასეთი მასალის გამოქვეყნების სავარაუდო შედეგი და მაქსიმალურად შეამციროს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მსხვერპლს ამ მასალამ მიაყენოს. ის აგრესია, რომელიც ზემოაღნიშნული სიუჟეტის მომზადებისას ჟურნალისტის მიმართ გოგონას მამამ გამოიჩინა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამ მასალის გადაცემის შედეგად გოგონას, დიდი ალბათობით, მეტი საფრთხე დაემუქრებოდა მამის მხრიდან.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დეტალი - სიუჟეტის წინ გადაცემის წამყვანმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია ამ ძალადობის შესახებ ტელევიზიას „ოჯახის ახლობელმა ქალბატონმა“ მიაწოდა. ესეც იმ სტერეოტიპის შედეგია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ ქალებს აწუხებთ და ამ სტერეოტიპის გავლენაა, რომ ის ადამიანი, რომელმაც ტელევიზიას ეს ამბავი შეატყობინა, სქესის მიხედვით იქნა იდენტიფიცირებული. ტელევიზიისთვის ეს ამბავი კაცს რომ ეცნობებინა, ნაკლებ სავარაუდოა, წამყვანს ეთქვა, „ოჯახის ახლობელმა ბატონმა“ გვაცნობაო.

კრიმინალის გაშუქების დროს ყველაზე თვალშისაცემი გენდერული თანასწორობის პრინციპის გაუთვითცნობიერებლობაა. ჟურნალისტები ხშირად დაუსაბუთებლად აღნიშნავენ დამნაშავის სქესს (ესეც სტერეოტიპული მიდგომის შედეგია – ქალი სათნო, უწყინარი არსებაა, რომელიც დანაშაულს არასდროს ჩაიდენს). ადამიანის სქესის უსაფუძვლოდ აღნიშვნა პროფესიული სტანდარტის დარღვევაა. მაგრამ აქაც გენდერულ სტერეოტიპთან გვაქვს საქმე. დამნაშავე კაცის შემთხვევაში ჟურნალისტს თავში აზრადაც არ მოუვა, ხაზი გაუსვას დამნაშავის სქესს.

ჟურნალისტს ადვილად შეუძლია გაარკვიოს, სწორია თუ არა ქალების შემთხვევაში სქესის აღნიშვნა. უბრალოდ მარტივი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს - ამ კონკრეტული ქალის ნაცვლად კაცი რომ ყოფილიყო, აღნიშნავდა თუ არა მის სქესს.

4) გენდერმგრძნობიარობა და სექსიზმი

ჟურნალისტების გენდერმგრძნობიარობა სერიოზული პრობლემაა ქართულ მედიაში. გარდა საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპებისა და ჟურნალისტების, როგორც ამ საზოგადოების ნაწილის, სტერეოტიპული აზროვნებისა, ამის მიზეზი გენდერის გაშუქების საკითხებში ჟურნალისტების გაუთვითცნობიერებლობა.

მაგალითები იმისა, რომ ჟურნალისტები უმეტესწილად გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ, საკმაოდ მრავლად მოიძებნება ქართულ მედიაში. გენდერის საკითხების არცოდნის გამო ჟურნალისტები უნებლიედ აძლიერებენ გენდერულ სტერეოტიპებს, აკნინებენ ქალების როლს საზოგადოებაში.

მაგალითად, ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მომზადა სიუჟეტი ინტერნეტით ტანსაცმლისა და სხვა საქონლის შესყიდვის პოპულარობის ზრდის შესახებ საქართველოში და იმ საფრთხეებზე, რომლებიც ინტერნეტით შეძენას ახლავს. სიუჟეტის გმირები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ქალები იყვნენ მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მამაკაცები არანაკლებად აქცევენ თავიანთ ჩაცმულობას ყურადღებას, ვიდრე ქალები. სიუჟეტში ერთადერთი კაცი კომენტატორი გადამზიდავი კომპანიის თანამშრომელი იყო. ეს არის ტიპური სტერეოტიპული აზროვნების ნიმუში - ქალს მარტო ჩაცმა-დახურვა აინტერესებს.

მეორე ტელეკომპანიამ მოამზადა სიუჟეტი პროგრამის ახალი თანაწამყვანის შესარჩევ კონკურსზე. სიუჟეტში ძირითადად ქალის გარეგნობაზე მახვილდებოდა ყურადღება. მაგალითად, მასალაში ნაჩვენები იყო, როგორ ეკითხებიან ერთ-ერთ პრეტენდენტს (მართალია, ხუმრობით) მის სიმაღლეს, წონასა და წელის გარშემოწერილობას. სიუჟეტის ავტორი ვერც კი მიხვდა, რომ ამით აძლიერებდა სტერეოტიპს, თითქოს ქალში მთავარი გარეგნობაა. ეს ჟურნალისტი გენდერულ საკითხებში გათვითცნობიერებული რომ ყოფილიყო, ისეთ სიუჟეტს მოამზადებდა, რომელშიც პრეტენდენტთა ინტელექტი თუ განათლება გამოჩნდებოდა.

სტერეოტიპული აზროვნების ქრესტომათიული მაგალითია, ორი ტელეკომპანიის მიერ ერთსა და იმავე თემაზე მომზადებული სიუჟეტები. ეს არის ორი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მომზადდეს და როგორ არ უნდა მომზადდეს გენდერმგრძნობიარე მასალა. შუქდებოდა მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს მართვის მოწმობის 18 წლის ნაცვლად 17 წლის ასაკიდან აღებას. ბუნებრივია, ამ ამბის მთავარი გმირები სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ვინაიდან 17 წლის ახალგაზრდება სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები არიან. ერთი ტელეკომპანიის სიუჟეტი სკოლის დერეფნის კადრების ჩვენებით დაიწყო, რომლებშიც მხოლოდ სკოლის მოსწავლე ბიჭები ჩანდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრიც ბიჭებმა გამოთქვეს. მდედრობითი სქესის რესპონდენტები ამ სიუჟეტში მხოლოდ მშობლები იყვნენ. ეს სიუჟეტი იყო სექსისტური და სტერეოტიპული, რომ მანქანის მართვა მამაკაცების პრეროგატივაა. აქვე ჩანს მეორე სტერეოტიპი, რომ შვილზე პასუხისმგებლობა მხოლოდ დედას ეკისრება (და არა მამას) და შესაბამისად, ჟურნალისტმა კომენტარებიც დედებს სთხოვა. ამ სიუჟეტის მორალი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ქალმა მანქანა კი არ უნდა მართოს, შვილებს უნდა მიხედოს.

მეორე ტელეკომპანიამაც სიუჟეტი სკოლის კადრებით დაიწყო - საკლასო ოთახით, რომელშიც ჯერ მსხვილი ხედით გოგონები გამოჩნდნენ და შემდეგ, როდესაც კადრი გაიშალა, ბიჭებიც. კომენტარები როგორც გოგონებმა, ისე ბიჭებმა გააკეთეს, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ სიუჟეტის პირველი და ბოლო კომენტარი მოსწავლე გოგონებისა იყო. ეს სიუჟეტი გენდერული თანასწორობის მაგალითია და ხელს უწყობს არსებული სტერეოტიპის აღმოფხვრას.

გენდერულ სტრეოტიპებს აძლიერებს ფოტოებიც გაზეთებში. ერთ-ერთ გაზეთს მუდმივი რუბრიკა აქვს მედიცინის საკითხებზე, რომელშიც ქვეყნდება რჩევები სხვადასხვა სახის დაავადების პროფილაქტიკასა თუ მკურნალობაზე. ამ რუბრიკაში, როგორც წესი, ქალის ფოტოებია - ქალი, რომელსაც სტკივა თავი ან წელი, ან ტკივილით გატანჯული სახე აქვს და ა.შ. ამ ფოტოებით ძლიერდება სტერეოტიპი, თითქოს ქალები სუსტები არიან და შესაბამისად, ავადაც ისინი ხდებიან - თავიც სტკივათ, წელიც და საერთოდ, ყველაფერი აწუხებთ.

სტერეოტიპული აზროვნება საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც დასაქმებას ეხება. ასეთ მასალებში, როგორც წესი, დასაქმებულთა შორის მხოლოდ მამაკაცები ჩანან და კომენტარებსაც მხოლოდ ისინი აკეთებდნენ. ესეც ამყარებს სტერეოტიპს, რომ დასაქმება მამაკაცებისთვის არის მნიშვნელოვანი – მამაკაცები სამსახურში უნდა იყვნენ, ქალები კი სამზარეულოში.

ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მოამზადა სიუჟეტი 10 ყველაზე სტრესული პროფესიის შესახებ. სტრესული პროფესიების ჩამონათვალში მოხვდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სხვადასხვა კომპანიის ხელმძღვანელები, ჟურნალისტები. სიუჟეტის ავტორმა აუდიტორიას ქალი მენეჯერის კომენტარი შესთავაზა, რომელიც ყვებოდა, როგორ წაუვიდა გული მუშაობის დროს და ექიმებთან სიარულის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს სტრესით იყო გამოწვეული. ამ კომენტარს მოსდევდა კაცი მენეჯერის კომენტარი, რომელიც ამბობს, ჩვენთვის სტრესი და დეპრესია დაუშვებელიაო. ესეც სტერეოტიპს ამყარებს, რომ ქალი სუსტია, ხელმძღვანელ სამუშაოზე ვერ უძლებს სტრესს, ამიტომ საპასუხისმგებლო საქმის გაკეთება ქალს არ შეუძლია, ქალის საქმე მარტივი სამუშაოა. მამაკაცი კი ძლიერია, ყველაფერს უძლებს. ჟურნალისტი გენდერმგრძნობიარე რომ ყოფილიყო, რომ სცოდნოდა, რომ ასეთი სიუჟეტი სექსისტურია და შესაბამისად, შეურაცხმყოფელი ქალისთვის და ქალის უნარებს ეჭვის ქვეშ აყენებს, სხვაგვარ სიუჟეტს მოამზადებდა.

ცხადია, ქალთან დაკავშირებული საკითხების გენდერნეიტრალური გაშუქების მაგალითებიც გვხვდება. თუმცა, ისეთი მასალები, რომლებიც ამყარებს არსებულ სტერეოტიპებს უფრო მეტია. ბუნებრივია, ჟურნალისტები ამას განზრახ არ აკეთებენ. ამის მიზეზი ის არის, რომ თავად ისინი არიან ამ სტერეოტიპების მსხვერპლნი, იზიარებენ და ხშირად უნებლიედ ახდენენ საზოგადოებაში ქალის შესახებ არსებული სტერეოტიპების ტირაჟირებას. ამ სტერეოტიპებს კი თავს ვერ აღწევენ გენდერულ საკითხების არცოდნის გამო.

დასკვნა და რეკომენდაციები

ქართული მედიის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება რჩება. ზროვნების ლიბერალიზების ხელშეწყობის ნაცვლად მედია, ხშირად, თავად ქმნის ახალ ან აძლიერებს არსებულ სტერეოტიპებს.

სავარაუდოდ, ჟურნალისტები ამას განზრახ არ აკეთებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მედიის წარმომადგენლები თავად არიან ამ სტერეოტიპების ტყვეობაში, იზიარებენ და უნებლიედ ავრცელებენ საზოგადოებაში ქალის შესახებ გავრცელებულ სტერეოტიპებს. ამ

სტერეოტიპებს კი თავს ვერ აღწევენ გენდერის შესახებ ინფორმაციის და ცოდნის ნაკლებობის გამო.

მდგომარეობის გამოსწორების ბევრი გზა არსებობს. ერთ-ერთი გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული ნორმების დაცვაა, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონი `მაუწყებლობის შესახებ~ და ამ კანონის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული `მაუწყებელთა ქცევის კოდექსი~. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ნორმები მხოლოდ სამაუწყებლო მედიაზე ვრცელდება. ბეჭდური მედიისათვის მსგავსი ნორმები დადგენილი არ არის.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და <u>გენდერული მრავალფეროვნება</u> (მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები). კანონით იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, <u>რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის</u> ან ძალადობისაკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის; ასევე, ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, <u>სქესის</u>, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო <u>შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ</u>, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ლუსტრირებას (მუხლი 56. პროგრამული შეზღუდვები).

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული `მაუწყებელთა ქცევის კოდექსი~ მაუწყებლებს ავალდებულებს, გაითვალისწინონ, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესები განურჩევლად მათი პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული, ენობრივი, ასაკობრივი თუ <u>გენდერული კუთვნილებისა (</u>მუხლი 3. კოდექსის პრინციპები). ამ კოდექსის თანახმად, მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, <u>სქესის</u>, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე (მუხლი 31. მრავალფეროვნება, თანასწორობა და შემწყნარებლობა). მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან <u>სხვა ნიშნის მიხედვით</u> რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება; ასევე, თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან <u>ნებისმიერ სხვა ნიშანს</u>, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან <u>იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის</u> მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

(მუხლი 33. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპების დაცვის შესახებ). ქცევის კოდექსი მოითხოვს, რომ მაუწყებელმა თავიდან აიცილოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული თანახმაა და არსებობს საზოდოებრივი ინტერესი (მუხლი 50. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ დანაშაულის და ანტისოციალური ქმედების გაშუქების შესახებ). ქცევის კოდექსის თანახმად, „დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა“ (მუხლი 56. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცყოფისაგან დაცვის შესახებ).

შესაძლებელია ამ ნორმების გაძლიერება და დაკონკრეტება ქცევის კოდექსში დამატებითი ნორმების შეტანით. ამისათვის საჭიროა ასეთი ნორმების შემუშავება და ინიციატივის სახით კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენა. დამატებითი ნორმების ასეთი პაკეტი, პირველ რიგში, უნდა მოიცავდეს ისეთი ტერმინების განმარტებებს, როგორებიცაა გენდერი, გენდერული სტერეოტიპი, სექსიზმი, სექსისტური ენა და სხვა. ასევე ამ პაკეტით შეიძლება განისაზღვროს მაუწყებლების ვალდებულება: დაიცვას გენდერული თანასწორობა და ხელი შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას; მისცეს ქალებს საშუალება, გამოთქვან აზრი არა მარტო ქალთა საკითხების, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა საკითხების გაშუქების დროს; თანაბრად მიმართოს ქალებსა და კაცებს კომენტარებისათვის; არ გაავრცელოს ისეთი მასალა, რომელიც გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებს და მათ ტირაჟირებას ახდენს; არ წარმოადგინოს ქალები უსუსური, შეურაცხმყოფელი სახით; არ გაავრცელოს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს ქალთა მიმართ ძალადობა; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ვინაობის გამჟღავნებისას, დარწმუნდეს, რომ ამით მსხვერპლის უსაფრთხოება არ დგება რისკის ქვეშ; არ გადასცეს მასალა, რომელიც პროპაგანდას უწევს გენდერულ დისკრიმინაციას და ამართლებს და იწონებს პორნოგრაფიას; თავიდან აიცილოს გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციული ან შეურაცხმყოფელი მიმართვები და არ დაუშვას სექსისტური ენის გამოყენება; არ გაავრცელოს მასალა, რომელიც რაიმე ფორმით შეიცავს სიტყვიერ ან ფიზიკურ ძალადობას ქალთა მიმართ ანდა თავისი შინაარსით შეურაცხჰყოფს ან ლახავს ქალთა ღირსებას; სენსაციურობის გარეშე გააშუქოს ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების საკითხები და ოჯახში ძალადობის გაშუქებისას არ შეამციროს ამ დანაშაულის სიმძიმე შემარბილებელი სიტყვების ან დახასიათებების გამოყენებით; და ა.შ.

ასევე, შესაძლებელია, მედიასშუალებებმა შეიმუშავონ საკუთარი ეთიკური პრინციპები/სახელმძღვანელო მითითებები გენდერის, გენდერული თანასწორობის საკითხების გაშუქებისთვის და განსაკუთრებით, ქალთა სამართლიანად და სწორად ასახვისთვის. ასევე, შესაძლებელია, შემუშავდეს ერთგვარი ლექსიკონი/ტერმინოლოგიური სიტყვარი, რომელშიც მოცემული იქნება როგორც გენდერნეიტრალური ტერმინოლოგია და ფრაზეოლოგია, ასევე, ის სიტყვები, ტერმინები თუ ფრაზები, რომლებიც ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს ანდა რომელთა გამოყენება შეურაცხმყოფელია ქალებისთვის. ასევე,

სასარგებლო იქნება დამხმარე სახელმძღვანელოს შემუშავება ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის.

აუცილებელია, ჟურნალისტებს, რედაქტორებსა და პროდიუსერებს ჩაუტარდეთ ტრენინგი გენდერის გაშუქების საკითხებში.

ეს ყველაფერი დაეხმარება მედიის წარმომადგენლებს თავიანთ მომზადებულ მასალებში თავიდან აიცილონ გენდერული უთანასწორობა, სექსიზმი, სტერეოტიპების გამამყარებელი ენა.

გათვითცნობიერებულ, ინფორმირებულ და მაღალპროფესიულ მედიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში. ამისათვის, მედიამ რეგულარულად უნდა გააშუქოს ქალები და ქალებთან დაკავშირებული თემები, ხელი შეუწყოს დისკუსიას გენდერული სტერეოტიპების შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირებისათვის. დღევანდელი მედია სცოდავს, როგორც ამ თემებისადმი უყურადღებობით, ასევე მათი გაშუქების მანერით.

მედიასაშუალებებმა და მედია-პრაქტიკოსებმა უნდა:

- მეტი დრო დაუთმონ გენდრული საკითხების გაშუქებას. მეტ ქალს სთხოვონ აზრის გამოთქმა ყველა საკითხზე. ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე მასალის მომზადებისას, კონსულტაცია გაიარონ და რჩევა ჰკითხონ გენდერის სპეციალისტებს, რათა ხელი შეუწყონ გენდერული სტერეოტიპების შემცირებას.

- არ გამოიყენონ პროგრამებში, სიუჟეტებსა თუ სტატიებში სექსისტური ენა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციული ან შეურაცხმყოფელი შედარებები, მოსაზრებები, მიმართვები. გამოიყენონ ნეიტრალური და გენდერ-მგრძნობიარე ენა, რომელიც არ გაამყარებს სტერეოტიპებს.

- არ გამოიყენონ ისეთი ფოტო და ვიდეომასალა, რომლებიც გენდერულ სტერეოტიპებს ამყარებს, წარმოადგენს ქალს უსუსურ არსებად, შეურაცხყოფილი სახით ან ძალადობისა მსხვერპლის როლში.

- ქალის მიმართ ოჯახში ან სხვა ტიპის ძალადობის გაშუქებისას, გაითვალისწინონ ასეთი მასალის გამოქვეყნების სავარაუდო შედეგი, რათა მაქსიმალურად შემცირდეს შესაძლო ზიანი; არ გაამჟღავნონ ისეთი დეტალები, რომლებითაც შესაძლებელია ტრეფიკინგის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირება. მსხვერპლის ვინაობა დაასახელონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი თავად არის თანახმა და ჟურნალისტი დარწმუნებულია, რომ ამით ქალს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

მასალის მომზადებისას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ჟურნალისტებმა საკუთარ თავს კითხვები უნდა დაუსვან, მათ შორის:

1. თანაბრად შუქდება თუ არა კაცის და ქალის თემები?

2. ასახავს თუ არა მომზადებული მასალა ქალების მოსაზრებებს?

3. თანაბარი დროს/სივრცე ეთმობა თუ არა ქალებისა და მამაკაცების მოსაზრებებს?

4. საკმარისი ძალისხმევაა გაწეული თუ არა ქალი რესპონდენტის მოსაძებნად?

5. ხომ არ აძლიერებს მომზადებული მასალა არსებულ სტერეოტიპებს?

6. ხომ არ ხდება ქალთა საკითხების ტრივიალიზება?

7. სექსისტური გამოთქმა ხომ არ არის გამოყენებული?

8. სტატიის სათაური ხომ არ არის სტერეოტიპით განპირობებული?

9. ფიზიკურ ასპექტებს ხომ არ უსვამს ხაზს ფოტოები/ვიზუალური მასალა?

10. მასალისთვის ქალის ფოტო უფრო შესაფერისი იქნებოდა თუ მამაკაცის?

11. ხომ არ ლახავს ვიზუალური მასალა ქალის ღირსებას?

გარდა ამისა, არსებობს მარტივი ტესტები, რომლებიც ჟურნალისტებს დაეხმარება, დარწმუნდნენ, სწორი იქნება თუ არა სქესის აღნიშვნა, გაარკვიონ, ხომ არ ახდენს მასალა სტერეოტიპიზაციას, ან ხომ არ არის მასალა სექსისტური.

- ქალის სქესის ხსენებამდე ჟურნალისტმა უნდა დაუსვას თავს კითხვა, ამ კონკრეტული ქალის ნაცვლად კაცი რომ ყოფილიყო, აღნიშნავდა თუ არა მის სქესს.

- ქალის შემთხვევაში თემების გაშუქებისას ჟურნალისტი უნდა დაფიქრდეს, გააშუქებდა თუ არა იმავე თემებს მამაკაცის შემთხვევაში.

- ქალის დახასიათება-აღწერისას ჟურნალისტი უნდა დაფიქრდეს, აღწერდა თუ არა მამაკაცს იმავე კატეგორიებით. მაგალითად, ქალის ოჯახს თუ ახსენებს, ახსენებდა თუ არა ოჯახს მამაკაცის შემთხვევაში; ქალის ჩაცმულობას თუ აღწერს, აღწერდა თუ არა მამაკაცის ჩაცმულობას; ქალის გარეგნობაზე საუბრისას, იმავეს გააკეთებდა თუ არა მამაკაცის შემთხვევაში. მოკლედ, თუ ჟურნალისტი მამაკაცის თვალის ფერზე, მაკიაჟზე, თმის ვარცხნილობაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, გარეგნობაზე, პიროვნულ თვისებებზე და ა.შ. არ საუბრობს, სასურველია, არც ქალის ამ საკითხებზე ისაუბროს.

- სექსისტური ენის თავიდან ასაცილებლად, ჟურნალისტმა ის ტერმინი, რომელიც მხოლოდ ქალებთან მიმართებით გამოიყენება და არა მამაკაცებთან, არ უნდა გამოიყენოს.

- იმის გასარკვევად შესაძლებელია თუ არა, ადამიანთა ერთ ჯგუფზე ან მის წარმომადგენელზე რაიმეს თქმამ ჯგუფის სტერეოტიპიზაცია გამოიწვიოს, ხშირად სასარგებლოა პარალელის გავლება მეორე ჯგუფთან ან მის ჯგუფის წარმომადგენელთან, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება სტერეოტიპიზაციას. ეს კარგი ტესტია იმის დასადგენად, სამართლიანია რაიმეს თქმა თუ უსამართლო.

მედია ქალებს ზუსტად ისევე უნდა აშუქებდეს, როგორც მამაკაცებს. თუ რომელიმე აღწერა-დახასიათება, რაიმე ამბის/საკითხის გაშუქება, რომელიმე ტერმინის გამოყენება ან კითხვის დასმა მამაკაცის შემთხვევაში სასაცილო, უცნაური ან „ძალიან ქალური“ ჩანს, მაშინ ეს არც ქალის შემთხვევაში გამოდგება.

ჟურნალისტებს უნდა შეეძლოთ ამ ყველაფრის ამოცნობა. ამისთვის კი გათვითცნობიერებულობა ყველაზე ძლიერი იარაღია.

ბიუჯეტის გენდერული მეინსტრიმინგი

მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა გენდერული თანასწორობის საკითხი მეტად მწვავედ დააყენა დღის წესრიგში. დემოკრატიული და ჰარმონიზირებული საზოგადოება მოითხოვს თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას საზოგადოების ყველა წევრისათვის განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და ასაკისა. გლობალიზაციის თანმდევმა პროცესებმა კიდევ უფრო გააღრმავა გენდერული უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლებისა და ქვეყნაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართ. უამრავი გამოკვლევა არსებობს გენდერული დისბალანისის შესახებ შრომის ბაზარზე. გენდერული სეგრეგაცია, როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური არათანაბარ პირობებში აყენებს ქალს საზოგადოებაში. მისი სოციალური სტატუსი მლიანად დამოკიდებულია ძალუფლებისა და ფინანსური ბერკეტების ერთობლიობაზე. ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქალთა პოლიტიკურ და მმართველობის ყველა დონეზე მოღვაწეობის თანაბარი უზრუნველყოფა და სოციალური სამართლიანობის მიღწევა.

სახელმწიფო ბიუჯეტი გვეველინება მაკროეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანეს ბერკეტად, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილების დასაკამყოფილებლად.

გენდერული ბიუჯეტი არის გენდერული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და პოლიტიკური დეკლარაცია, რომელიც ასახავს ეკონომიკურ და სოციალურ პრიორიტეტებს, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული რესურსების განაწილებას გენდერულად დი¬ფერენცირებული პრინციპით და ემსახურება გენდერული თანასწორობის განხორციელებას სახელმწიფო ფინანსების წარმოებასა და განაწილებაში.

გენდერული ბიუჯეტი გენდერული მეინსტრიმინგის ერთერთი მთავარი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების გადანაწილებას გენდერულად დიფერენცირებული პრინციპით. იგი იძლევა საშუალებას ქალებისა და მამაკაცების ინტერესების შესაბამისად დაიხარჯოს სახელმწიფო სახსრები. Gგენდერული ბიუჯეტი ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების მძლავრი მექანიზმია. სხვანაირად მას უწოდებენ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტს (Gender Sensitive Budget), ქალის ბიუჯეტს, გენდერულად პასუხისმგებლურ ბიუჯეტს (Gender Responsive Budget), ხალხის ბიუჯეტს და სხვ.

გენდერული ბიუჯეტი თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკაში ინტერესთა დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამასთან, გენდერულ ბიუჯეტი არის თვითმმართველობის კონტროლის ინსტრუმენტი და იმის საშუალება, რომ ფინანსები დაიხარჯოს ქალისა და მამაკაცის საჭიროებებზე. იგი ეხმარება საზოგადოებას შექმნას

თანაბარი პირობები ყველასათვის და ავალდებულებს ხელისუფლებას შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც საზოგადოებას შეჰპირად არჩევნებამდე.

გენდერული ბიუჯეტი-სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტია, რომელიც თავის პრიორიტეტად ქალთა სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება. გენდერული ბიუჯეტი აღიარებს იმ წვლილს, რომელიც ქალს გადაუხდელი შრომის ხარჯზე შეაქვს ეკონომიკაში.

უფრო კონკრეტულად გენდერული ბიუჯეტი:

- მოიცავს მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმას და ასახავს სახელმწიფო სახსრების განაწილებისა და მოხმარების თანაფარდობას გენდერული პარამეტრებით, რაც შემდგომში განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის როლსა და და ადგილს საზოგადოებასა და ეკონომიკის განვითარების პროცესებში;

- გამოხატავს სახელმწიფო ვალებულებებსა /CEDAW, ILO/ და სახელმწიფო ფინანსების განაწილებას შორის კავშირს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით;

- ავლენს ქალისა და კაცის მდგომარეობაზე სახელმწიფო ფინანსების ზეგავლენას, აგრეთვე იმ გარდაქმნების განხორციელების აუცილებლობას, რომელიც ემსახურება გენდერული თანსწორობის მიღწევას;

- გულისხმობს გენდერულ მოთხოვნების დიფერენციაციის აღიარებას და არკვევს იმას, თუ სად არის ჩავარდნები, გენდერული დისბალანსი და უთანასწორობა;

- მოითხოვს შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურიზაციას გენდერული თანასწორობის განსახორციელებლად.

ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ გენდერული ბიუჯეტი არ გულისხმობს ცალკე მამაკაცისა და ცალკე ქალის ბიუჯეტის ფორმირებას, იგი არ არის სპეციალურად მიმართული მამაკაცზე ან ქალზე და არ მოითხოვს მხოლოდ ქალთა პროგრამებზე ხარჯების ზრდას. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებაში სოციალური ბალანსის დამყარებაზე ფინანსების ეფექტური განაწილების გზით.

იმისათვის რომ დამყარდეს გენდერული ბალანსი, სახელმწიფო პროგრამები და ფინანსები უნდა მიემართოს ამ დისბალანსის გამოსასწორებლად. თუ სახელმწიფო რესურსები არ იქნება მიმართული გენდერულად მგრძნობიარე გეგმებისაკენ და პროგრამებისაკენ, შეუძლებელი იქნება სოციალური თანასწორობის დამყარება ქვეყნაში.

ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა არის გენდერულად "ნეიტრალური" ან "ბრმა", რადგან დღემდე არსებული ტრადიციული პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის მატერიალური, ფინანსური და ჰუმანური რესურსების განაწილებას არამიზანმიმართულად, ყველასთვის, თუმცა, აღიარებულია, რომ

ქალები სახელმწიფო პროგრამებისაგან ღებულობენ გაცილებით ნაკლებ სარგებლობას, ვიდრე მამაკაცები. ეს რეალობა ყველა ქვეყანაში არის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების განსხვავების საფუძველი.

გენდერული ბიუჯეტის დანერგვის წინაპირობაა სახელმწიფო ფინანსების ანალიზი გენდერული თანსწორობის პერსპექტივით, ხარჯების შედეგების განსაზღვრა იმის მიხედვით, თუ რაც ნიშნავს იგი ქალისათვის და კაცისათვის, როგორ მოქმედებს სახელმწიფო ფინანსები მათ მდგომარეობაზე. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ხარჯები განსხვავებულად მოქმედებენ ქალისა და კაცის მდგომარეობაზე, მათ სოციალურ როლზე. ამ ხარჯების განაწილებას სხვადასხვა შედეგი მოაქვს მათთვის პერსპექტივაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები ყოველთვის არის გენდერული და მას აქვს მრავალფეროვანი ასპექტი, რომელიც უნდა გაანალიზდეს გენდერული თვალსაზრისით.

გენდერული ბიუჯეტის ანალიზი:

- გვიჩვენებს საფინანსო პასუხისმგებლობას ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა (ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, ინვესტირება, და ა.შ.) და გენდერულ თანასწორობას შორის, იმას შორის თუ რამდენად თანასწორი პირობები აქვთ ქალსა და კაცს სახსრებისა და სხვა რესურსების კონტროლსა და მიღებაში.

- მოითხოვს ხარჯებისა და შემოსავლების დანაწევრებასა და მათი ზემოქმედების შესწავლას ქალსა და კაცზე.

- ავლენს იმ სფეროებს, სადაც მთავრობის პოლიტიკას აქვს ჩავარდნები. საზოგადოებრივი მოხმარების ყველა ფორმაში გენდერული სხვაობის არსებობის მიზეზისა და შედეგების იდენტიფიკაციის გზით ეხმარება მთავრობას იმის დადგენაში, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკის ეფექტიანობა.

- ფოკუსირებულია გენდერულ თანასწორობის სტრატეგიაზე და იგი უნდა იყოს საერთო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რათა საზოგადოებაში აღმოიფხვრას სოციალური უთანასწორობა.

- არის ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამაღლების მეთოდი გენდერული თანასწორობისა და ქალების უფლებების დაცვის სფეროში.

- შეიცავს ინფომაციის შეგროვებას სქესის მიხედვით არასისტემატიზებული მონაცემებისა და მოსახლეობის ამათუ იმ ჯგუფის გენდერული მგრძნობიარობის შესახებ.

- არის მექანიზმი იმისა, რომ მთავრობა იყოს პასუხისმგებელი თავის ვალდებულებებზე გენდერული თანასწორობის, ქალების უფლებების დაცვის სფეროში, ქალებთან მიმართებაში ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის განხორციელებაში.

- მოითხოვს განსხვავებული ინსტრუმენტებისა და პროცესების გამოყენებას, რომლის მეშვეობით მოხდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში გენდერული ურთიერთობების გამოვლენა და სახელმწიფო ბიუჯეტის ზეგავლენის შეფასება მამაკაცისა და ქალის ჯგუფების საქმიანობაზე და ცხოვრებაზე.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ზოგადად ბიუჯეტის გაანალიზება ამ სპეციფიკით. ბიუჯეტის გენდერული ანალიზი უნდა იქნეს ჩართული ბიუჯეტის ფორმირების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.

გენდერული ბიუჯეტის ფორმირების საერთაშორისო გამოცდილება

გენდერული ბიუჯეტი გახდა ახალი მიდგომა სოციალური თანასწორობის დასამყარებლად. ამჟამად მსოფლიოს დაახლოებით 60-ზე მეტ ქვეყანაში არის დანერგილი გენდერული ბუეჯეტის რომელიმე ფორმა. გენდერული მიმართულება შეიჭრა მრავალი ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკაში.

ავსტრალია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ასეთ ბიუჯეტის დანერგვა და მას უწოდა ქალის ბიუჯეტი, სადაც მოცემული იყო იმის შეფასება თუ ქალს რა სარგებლობა ჰქონდა ან არ ჰქონდა ბიუჯეტისაგან. ასეთი მაჩვნებლები მოიცავდა თითოეული სამინისტროს საქმიანობას.

ქალთა ბიუჯეტის შემუშავება 1980-იან წლებში დაიწყო, როდესაც ხელისუფლებაში ლეიბორისტული პარტია მოვიდა. პირველ ეტაპზე ქალთა ბიუჯეტის განხორციელება ფედერალურ დონეზე ავსტრალიის ცალკეულ შტატებში დაიწყო. ავტრალიაში ქალთა ბიუჯეტი სამთავრობო დონეზე იქნა შემუშავებული. ყოველ სამინისტროს ჰქონდა დავალება მიცემული განეხორციელებინა თავისი ხარჯების ანალიზი გენდერული თვალსაზრისით.

1980-იანი წლების ავსტრალიური ქალთა ბიუჯეტი 300 გვერდი მოცულობის იყო. მკითხველის მოსაზიდად ბიუჯეტი გამოიცა შემოკლებული და ილუსტრირებული სახით. ქალთა ბიუჯეტი განიხილებოდა როგორც ოფიციალური საბიუჯეტო დოკუმენტი. ეს დოკუმენტი ცალკე იყო გამოცემული, რათა არ “დაკარგულიყო” სხვა საბიუჯეტო დოკუმეტებს შორის და ქალებს არ დაეკარგათ კონტროლი მასზე. დოკუმენტის ასეთი ფართო მოცულობა განაპირობა იმან, რომ ის სრულად მოიცავდა ყველა სამინისტროსა და უწყების დადგენილებასა და დეტალურ განხილვას იმისა, თუ რას ნიშნავდა ეს ბიუჯეტი ქალებისათვის. ამ დადგენილებებისთვის გამოყენებული იყო სტანდარტული ფორმატი და ეს მნიშვნელოვნად ართულებდა მის განხორციელებას. ამავე დროს, იგი არ ასახავდა ცალკეულ უწყებებში არსებულ ნაკლოვანებებს.

2001 წლისთვის მხოლოდ ჩრდილოეთ ტერიტორიას ჰქონდა ქალთა ბიუჯეტი. მაგრამ 2000-2001 წლის სამხრეთ ავსტრალიის ბიუჯეტის დადგენილებაშიც იყო 7 გვერდიანი დამატება ”ა”, რომელიც ასახავდა ბიუჯეტის გავლენას ოჯახებზე და ასევე, 9 გვერდიანი დამატება ”ბ”, რომელიც გვიჩვენებდა ბიუჯეტის გავლენას ქალებზე

ავსტრიალიაში გენდერული ბიუჯეტს ახასიათებდა სამი თავისებურება:

1. ქალებისათვის დანახარჯის განსაზღვრა ანუ იმ პროგრამების ღირებულების განსაზღვრა, რომელიც უპირატესად ქალებისათვის იყო გამოყოფილი.

2. სახელმწიფო სექტორში დასაქმებისათვის თანასწორი პირობების შექმნა, რომელიც გულისხმობდა როგორც თანაბარი რაოდენობის ქალისა და კაცის მენეჯერულ თანამდებობებზე დასაქმებას, ასევე მათ ხელფასებშიც სხვაობის შემცირებას.

3. იმ ხარჯების განსაზღვრა, რომელსაც ხელისუფლება გამოიყენებდა იმისათვის, რომ მომავალში მოეხდინა გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის სრულყოფა.

ავსტრალიის გამოცდილება შემდგომში გამოყენებული იქნა სხვა ქვეყნების მიერ გენდერული ბიუჯეტის დანერგვისას. ჯერ ინგლისმა და შემდგომE კი აფრიკულმა და აზიურმა ქვეყნებმა დაიწყეს გენდერული ბიუჯეტის შექმნა. ამ ქვეყნების ინიციატივა მხარდაჭერილი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების - მსოფლიო ბანკისა და UNIFEM –ის მიერ. ასეთი ბიუჯეტი გახდა კარგი იარაღი ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის თვისებებმა – ტრანსფარენტულობამ, მოქნილობამ, ზედამხედველობამ მთავრობის საქმიანობაზე, შესაძლებელი გახადა ასეთი მიდგომები გამოყენებული ყოფილიყო განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც, სადაც მოქალაქეებს მიეცათ საშუალება მიეღოთ ადექვატური და სრული ინფორმაცია. მოგვიანებით ევროპის ქვეყნებიც დაინტერესდენენ ასეთი ბიუჯეტის შექმნით.

ევროკავშირის ქვეყნებში ქალისა და კაცის თანასწორობა განმტკიცებულია ამსტერდამის ხელშეკრულებით და სტრატეგიით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ. 2001-2005 წლებში ევროკავშირის ყველა წევრი შეუერთდა კონვენციას ქალების წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციას (CEDAW) და აიღო ვალდებულება მათი განხორციელების შესახებ. ამასთან ევროკავშირმა გამოსცა რეკომენდაციები, რომელიც მოუწოდებდა მთავრობას შეექმნა ბალანსირებული პოლიტიკა ქალისა და კაცის თანასწორობის მისაღწევად. [1]

2001 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარდა კონფერენცია გენდერული ბიჯეტის მეშვეობით ეკონომიკური და ფინანსური მართვის სრულყოფის შესახებ. ამ კონფერენციის საბოლოო რეზოლუცია მოუწოდებდა ევროკავშირის ქვეყნებს შეექმნა თანაბარი უფლებებლი ქალისა და კაცისათვის და საჯარო გაეხედათ და ტრანსფარენტულობა გაეზარდათ სახელწმიფო ფინანსებისა. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის როლი სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის გაზრდაში იყო ხაზგასმული. ერთ-ერთი ხასგასმულ მიზანს შეადგენდა განესაზღვრათ დასაქმების ბარიერები, რომელსაც ქალი და კაცი ხვდება თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში, განევითარებინათ მეწარმეობა და ებრძოლათ იმ წინააღმდეგობების გადასაჭრელად რომელსაც ხვდება ადამიანი მიკროკრედიტების აღებაში.

ევროპულ ქვეყნებში საფინანსო პოლიტიკასა და ბიუჯეტის შედგენაში გენედრული მეინსტრიმინგი დაინერგა ათასწლეულის მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1997 წელს ამსტერდამის კონვენციით (ხელშეკრულებით) არტიკლი 2 და 3, დაფუძნდა ევროპული ქვეყნებისათვის გენდერული თანსწორობა როგორც მიზანი.

[1] The Enlarged European Union and It`s Agenda for A `Wider Europe`: What Considerations For Gender Equality? Brussels, 2004

ევროკავშირის ქვეყნებში გენდერული ბიუჯეტის განხორციელების ძირითაადი მახასიათებლები

ქვეყანა	მახასიათებლები
საფრანგეთი	2000 წლიდან დაიწყო ბიუჯეტი გენდერული ანალიზი. მათ თავიანთი ” Yellow Report” გაანალიზეს ყველა დეპარტამენტისა და სამინისტროს ხარჯები გენდერული ასპექტით. არსებიბს ერთი პროგრამა ქალების მეწარმეობის განვითარების შესახებ
დიდი ბრიტანეთი	2000 წლიდან ხელისუფლებას აქვს რეგულარული კონსულტაციები ქალთა ორგანიზაციებთან. ტარდება მრავალი გამოკვლევა სახელმწიფო ფინანსების გავლენის შესახებ ქალთა მდგომარეობაზე. მოხსენებითი ბარათები მიზნად ისახავდა საგადასახადო გარემოს ცვილებას. ერთ ერთი პროექტი წარმატებული გამოდგა იმის შესახებ, რომ განთავისუფლდა გადასახადისაგან ორი მომუშავე მშობლიდან ერთი. მანამდე კი მეუღლე, რომელიც გამოიმუშავებდა ნაკლებს, ეკონომიკურად მიზანშეწონილად არ თვლიდა ემუშავა დაქირავებით.
სკანდინავიის ქვეყნები	2002 წლიდან დაიწყო პროექტების განხორციელება. ნორვეგიაში საშუალოვადიან პროგრამაში დაინერგა ყველა სამინისტროს გენდერული მიდგომა. შვიდი სამინისტრი ჩაერთო ამ პროცესში იგი აისახება ყოველწლიური ბიუჯეტის დანართში.; დანიაში –2002-2006 წლების ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობენ ექსპერტები.; შვედეთში – ხანგრძლივი ვადიან პროგრამაში ინტეგრირებულია გენდერული პერსპექტივა. საპილოტო სფეროებია სოციალური პოლიტიკა, რეგიონალური განვითარება და ტრანსპორტი.
ავსტრიაA	სახელწმიფო ფინანსების ანალიზი ხდება გენდერული თვალსაზრისით, მთავარი ორიენტირი აღებულია ფისკალურ პოლიტიკაზე. ფინანსთა სამინისტროში იყენებენ კვლევითი ცენტრების გამოკვლევებს.
ბელგია	სახელმწიფო ბიუჯეტის გენედრული ანალიზი ტარდება აკადემიური ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით. საწყის ეტაპზე ხდება კვლევის ინსტრუმენეტების ამორჩევა, შემდეგ კი აკადემიური მკვლევარები რეგულარულად ხვდებიან სამინისტროს წარმომადგენლებს შედეგების გასაცნობად და სთავაზობენ ცვლილებების განხორციელებას.

სხვა ევროპული ქვეყნები, სადაც დაინერგა გენდერული ბიუჯეტი:

ირლანდიაში - სოციალური თანასწორობის ანალიზი შევიდა ეროვნული განვითარების გეგმაში

შვეიცარიაში – გენდერული ბიუჯეტის ინიციატორები გახდნენ პროფკავშირები და ქალთა ორგანიზაციები

იტალიაში – ხდება როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების ანლიზი

ესპანეთში – ბასკეთში დაინერგა გენდერული ბიუჯეტი.

შვედეთში - ხელისუფლებამ აღიარა, რომ ქალების დასაქმება არ არის თანასწორო მამაკაცების დასაქმებასთან შედარებით და მეწარმეეობაში ისინი არიან შეზღუდულნი ამიტომ მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა. რომელიც ხელს შეუწყობდა ქალების მეწარმეობის განვითარებას. Yყოველწლიურად უნდა განახორციელონ ხელფასების შეფასება და შეუდარონ ერთმანეთს შეასაბამისი თანამდებობის ქალისა და კაცის ხელფასები და ისინი ვალდებული არიან სამი წლის განნმავლობაში გამოასწორონ მდგომარეიობა. არ არის საჭირო Dდაქირავებულმა მუშაკებმა აღიარონ დისკრიმინაცია, მაგრამ საჭიროა დამქირავებლებმა დაინახონ უთანასწორობა.

გერმანიაში - გენდერული ბიუჯეტი ქ. ბერლინში ინერგება. Aადგილობრივი ხელისუფლება ქმნის გრძელვადიან საფინანსო სტრატეგიას. Gგენდერული ბიუჯეტი იქნება შესაძლებელი განხორციელდეს 2006 წლიდან. ამაში ჩართულია ყველა დეპარტამენტი და კვლევის ცენტრები. თავდაპირველად იქმნება მონაცემთა ბაზა და ანალიზდება პროექტების ეფექტიანობა, ხოლო შემდეგე კი გამოიყოფა ფინანსური სახსრები,რომელიც თავისი ბუნებით არის დაცული მუხლი.

ბიუჯეტის Gგენდერული ანალიზის მიზანი და კვლევის საფეხურები

გენდერული ბიუჯეტი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არის გენდერული ურთიერთობების რეპროდუქციის ინსტრუმენტი და იგი ამასთანავე არის გენდერული უთანასწორობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიც.

გენედრული ანალიზი მოიცავს:

- სიტუაციის გენდერული ანალიზს სხვადასხვა კატეგორიებისა და ჯგუფების მიხედვით;
- ღონისძიებების /მუხლების/ ანალიზი, რამდენად გენდერულად მგრძნობიარეა ბიუჯეტის მუხლები პრიორიტეტებისადმი;
- ბიუჯეტის ასიგნირების ანალიზი, რამდენად ადეკვატურად არის ფული გამოყოფილი;
- წარმოებული ხარჯების შესაბამისობის ანალიზი დაგეგმილ ხარგებთან /რეალური ხარჯები/;

- წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკისა და ხარჯების ანალიზი შედეგებისა და გავლენის მიხედვით

საბიუჯეტო ხარჯების სამ კატეგორიას გამოჰყოფს:

1. ხარჯები, რომელიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა კონკრეტული ჯგუფისაკენ;

2. ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ სექტორში თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად;

3. ბიუჯეტის გენდერულად ნეიტრალური მიმართულებანი, რომლებსაც ქალებისა და მამაკაცებისათვის, ფაქტობრივად, განსხვავებული სოციალური შედეგები გააჩნია.

ფემინისტმა ეკონიმისტმა რონდა შარპმა (Ronda Sharp) ჩამოაყალიბა გენდერულ ბიუჯეტის სტრუქტურა და იგი დაინერგა ავსტრალიაში 1984 წელს ქალის ბიუჯეტის შედგენისას. შარპი გამოყოფს ხარჯების სამ კატეგორიას:

1. ხარჯები, რომლებიც სპეციალურად არის მიმართული ქალებზე;

2. სახელმწიფო სექტორში თანასწორობისაკენ მიმარტყული ღიონისძიებები

3. გენდერული მიმართულების ზემოქმედება საბიუჯეტო ხარჯებზე

ამ მიზნების განსახორციელებლად გენდერული ანალიზი გაივლის შემდეგ საფეხურებს:

1. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის შეფასება - იგი გულისხმობს იმის გამოვლენას, თუ რამდენად აქცევენ ყურადღებას სამინისტროები იმას თუ მათი პოლიტიკა და მათ ხელთ არსებული რესურსები რამდენად უწყობს ხელს გენდერული თანასწორობის დამყარებას. მაგალითად, რამდენად მიუწვდებათ ხელი ქალებს პრივატიზების პროცესში შეისყიდონ სახელმწიფო საკუთრება, რამდენად იყიდება ქალზე მიწის ნაკვეთები, რამდენად შეუძლიან მათ აიღინ კრედიტი სახელმწიფო საკუთრების შესასყიდად და სხვ.

2. საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების შეფასება მათი ბენეფიციარების იდენტიფიკაციის გზით და ბიუჯეტის პრიორიტეტების შესწავლა პოტენციური ბენეფიციარების ასპექტით. (ეს მიდგომა მოითხოვს ჯგუფურ დისკუსიებს, ფოკუს ჯგუფებთან მუშაობას). იგი მოიცავს აგრეთვე იმის შეფასებას თუ მთავრობის პოლიტიკა რამდენად ზემოქმედებს ბენეფიციერების პრიორიტეტებზე და საჭიროებებზე. მაგალითად, სამხედრო ხარჯების შემცირება რამდენად მოქმედებს ქალების პროგრამებზე, რომელიც ეხება უმუშევრობას, ტრეინინგებს, ძალადობის წინაღმდეგ ბრძოლას, ასაკოვან ადამიანთა დახმარებას და სხვ.

3. ხარჯების გენდერულად დანაწევრებული ანალიზი. აქ გამოყენებული უნდა იქნეს შინამეურნეობების სტატისტიკური ანალიზი. ეს ანალიზი გამოავლენს რესურსების განაწილებას ქალებზე, კაცებზე, გოგონებზე და ვაჟებზე და განსაზღვრავს მთლიან ღირებულებას, რომელიც იხარჯება თითოეულ ამ ჯგუფზე. ამასთან ცალკეულ მომსახურებაზე

ხდება ხარჯების განსაზღვრა და შემდეგ კი ამ მომსახურების თითოეული მაჩვენებელი შეფასდება.

4. საჭიროა გადასახადების გენდერულად დანაწევრება. მაგალითად, იმ გადასახადების შეფასება, რომელსაც იხდიან შინამეურნეობები ან ინდივიდები და იმის შეფასება თუ საგადასახადო შეღავათები როგორ ნაწილდება ქალზე და კაცზე.

5. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის შემუშავება საშუალოვადიან პერიოდში. Eეს არის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მოდელის გენდერული პერსპექტივის დასახვის გზა. იგი გულისხმობს იმის ანალიზს, თუ რა ზეგვალენა აქვს ეროვნულ ეკონომიკას ინდივიდებზე და სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებზე.

6. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირება. იგი მოიცავს იმას, თუ როგორია გენდერული თანაფარდობა სახელმწიფო ორგანიზაციებში, რა წილი აქვს უპირატესად ქალებისათავის განკუთნვილ პროგრამებს სახელმწიფო ხარჯებში, და სხვ გენდერულ ინდიკატორებს.

გენდერული ბიუჯეტის განხორციელების ძირითადი პირობებია:

პოლიტიკური ნების არსებობა – არცერთი პროექტი ვერ განხორციელდება წარმატებით ხელისუფლებასთან კოოპერაციის გარეშე, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება სახელმწიფო ფინანსების რეფორმებს.

გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია ტრეინინგების, კონფერენციების გზით. ამ საქმიანობაში ჩართული უნდა იქნეს ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები. მათთან ერთად უნდა განისაზღვროს მიზნები ხანგრძლივი ვადით.

ტრანსფარენტულობა და კოოპერაცია - ექსპერტული ანალიზები ეკონომიკის, პოლიტიკის სოციოლოგიური და ფინანსური თვალთახედვით უნდა განხორციელდეს.

სტრატეგია ხანგრძლივი პერიოდით – გენედრული ბუჯეტი არ შეიძლება დაინერგოს სწრაფად, იგი უნდა გახდეს ხანგრძლივი პერიოდის მიზანი. მას სჭირდება პოლიტიკური პარტიების ლობბი. გენდერული ბიუჯეტის მიზანი უნდა გახდეს არა რომელიმე გენდერული სეგმენტისათვის მეტი თანხის გამოყოფა, არამედ დისკრიმინირებული ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ადგილობრივი კონტექსტი – იმისათვის, რომ ეფექტური იყოს გენდერული მიდგომები, საჭიროა ადგილობრივი მმართველობის მონაწილეობაც.

გენდერული ბიუჯეტის გამოცდილება საქართველოში

საქართველოში გენდერული ბიუჯეტის პრობლემებზე მუშაობა დაიწყო 2004 წლიდან. სახელმწიფო Bბიუჯეტის Pპირველი მონიტორინგი გენდერულ ასპექტების გათვალისწინებით ჩატარდა ჯანმრთელობის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში სოციალური პროგრამების

განხორციელების შეფასებისათვის. დაიბეჭდა `უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობის 2004 წლის მონიტორინგი გენდერულ ჭრილში. ხოლო შემდომში გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის განვითარების სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა: `გენდერული ბიუჯეტის ინიციატივები საქართველოში''. საქართველოში განხორციელებული პროგრამების მონიტორინგის შედეგად შესაძლებელი გახდა წარმოჩენა თუ რამდენად ეფექტიანად იმოქმედა ეკონომიკურმა და სოციალურმა ცვლილებებმა მოსახლეობის შესაძლებლობების განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური სფეროების გენდერული ანალიზი.Mმონიტორინგმა წარმოაჩინა მრავალი პრობლემა, რომლის გაანლიზება მნიშვნელოვანი იყო.

მაგალითად, 2006-2008 წლებში ჯანდაცვის სისტემაში გამოვლინდა ორი უარყოფითი კანონზომიერება: სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მოსახლეობის დაბალი ჯანმრთელობის სტატუსი. დაბალი ჯანმრთელობის სტატუსის პრობლემა აისახა განსაკუთრებით უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებში და ისეთ მოვლენებში, როგორიცაა შობადობის მკვეთრი შემცირება,რომლეიც საგანგაშოა საქართველოსათვოს. მაგალითად, ჩვილ ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა და დედათა სიკვდილიანობის მაღალი დონე.Uამ პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა ხელმისაწვდომობის დონე ჯანმრთელობის მომსახურებისადმი, რადგანაც ფინანსები არასაკმარისი იყო ბიუჯეტიდან. კერძო სექტორში მთელი სამედიცინო მომსახურების გადატანა მნიშვნელოვნად იმოქმედა მომსახურების ფასებზე და მნიშვნელოვნად შეამცირა პაციენტთა მიმართვიანობის დონე. შემცირდა ასევე მიზნობრივი პროგრამების ბიუჯეტი, რომელიც მძიმე დაავადების მქონე ადამიანებისათვის იყო მიმართული.

განათლების სისტემის მონიტორინგმა გამოავლინა პრობლემები განათლების დაფინანსების ფორმებზე და მეთოდებთან დაკავშირებით. მთლიანად 2006-08 წლებში განათლების სისტემაში სახელმწიფო დანახარჯები სტაბილურად შეადგენდა მშპ-ს 2.4 პროცენტს და მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა დაფინანსება, იგი გაცილებით დაბალი იყო (OECD) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა ანალოგიურ მაჩვენებლებზე, სადაც ეს მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 4,9-6 პროცენტს შეადგენს. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა განათლების რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა ეროვნული გამოცდების შემოღებით, განათლების სიტემაზე მოსული სახელმწიფო დანახარჯების ოდენობა განსხვავებულად ნაწილდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენის მიხედვით და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს არათანაბრად მიუწვდებოდა ხელი არსებულ რესურსებზე. შეიცვალა მასწავლებლების შრომის ანაზღაურების სტრუქტურაც. დაფინანსება განათლების სფეროში ტრადიციულად არის დაბალი., განსაკუთრებით სკოლის მასწავლებლებისათვის. სამწუხაროდ ხელფასების ზრდის ტენდენცია დღესაც უმნიშვნელოა, რამაც სერიოზული დარტმა მიაყენა მათ სოციალურ სტატუსს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა შორის დიდი უმრავლესობა ქალებია, რაც სერიოზულ გენდერულ დისბალანს ქმნის ამ სფეროში. მამაკაცთა ნაკლები რაოდენობა სასწავლო პროცესის წარმართვაში ეს იშვითი შემთხევა, რომელსაც სჭირდება აგარკვეული სტიმულირება ამ მიმართულებით.

ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაში ერთად აღებული შეადგენს 14,5 პროცენტს, ხოლო უპირატესად მამაკაცების დასაქმების ისეთ სფეროებში, როგორიცაა თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება და სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსი, სახელმწიფო დანახარჯები 2,2-ჯერ უფრო მეტი გახდა. თუU იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო დაფინანსება ბოლო 5 წლის განმავლობაში აბსოლუტურ მაჩვენებლებში მამაკაცების დასაქმების სფეროებში უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ქალების დასაქმების სფეროებში, მაშასადამე უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გაღრმავდა გენდერული სხვაობა.



*2011 წლის გეგმიური ბიუჯეტის მონაცემების მიხედვით

ეკონომიკური რეფორმები, მთლიანად მაკროეკონომიკური პოლიტიკა დამყარებული იყო ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებზე, რომელიც ფოკუსირდებოდა მსხვილი ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე. Mმკაფიოდ გამოხატულმა ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისთ გარკვეული შედეგი მოიტანა, მაგრამ სამწუხაროდ მან ვერ უზრუნველყო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სოციალური დაცვის უნივერსალურ სისტემიდან სიღატაკაზე ორინეტირებულმა ადრესულ დახმარებაზე გადასვლამ ვერ შესძლო მოსახლეობის ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის განხორციელება. 2008 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტის პოლიტიკა მკვეთრად მასკულინირებული იყო, სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ასიგნაციები გამოყოფილი იყო თავდაცვაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში. განათლების, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პრობლემები პრიორიტეტული არ იყო, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა გენდერულ დისბალანს საზოგადოებაში. (აღნიშნული ტენდენცია კარგად არის გამოხატული ზემო სურათზე) თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე გენდერული ასპექტების ინტეგრირება და საბიუჯეტო

მოწყობაში გენდერული პასუხისმგებლობის გაზრდა სახელწმიფო პოლიტიკის დონეზე ვერ განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ცნობიერება, სპეციალური ტრეინინგების, მრგვალი მაგიდებისა და მრავალრიცხოვანი შეხვდრების შედეგად გენდერულ ბიუჯეტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამთავრობო სტრუქტურებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობის გენდერული ბიუჯეტისადმი დამოკიდებულება ნეიტრალური დარჩა. გამოცემული იქნა პუბლიკაცია `ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებანი.'' ექსპერტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციებისამწუხაროდ არ იქნა გაზიარებული შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. Aარსებობდა ხელისშემშლეილი ბარიერები: გენდერულად სეგრერირებული სტატისტიკის საკლებობა, სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებში არ არსებობდა გენდერულად სეგრერირებული ინფორმაციები, სახელმწიფო ჩინოვნიკების ინდიფერერტული დამოკიდებულება, რომლებიც ხელს უშლიდა გენდერული ბიუჯეტის მეინსტრიმინგს. შედარებით უკეთ წარიმართა მუშაობა მუნიციპალიტეტის დონეზე. საინტერესო გამოდგა ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტთან, ევროპული გამოცდილების განზოგადებით, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით საინტერესო ინიციატივები განხორციელდა ქალაქის მუნიციპალიტეტში.

მიუხედავდ გარკვეული მცდელობისა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მხრიდან გენდერული ასპექტების ინტეგრირებისა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, საბიუჯეტი მოწყობაში გენდერული პასუხიმგებლობის ზრდა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში გენდერული პარამეტერების გათვალისწინება სამთავრობო სტრუქტურების მიერ მხარდაჭერილი არ იქნა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 1998 წლიდან იქმნებოდა გენდერული თანასწორობის გეგმა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობით, რომელიც მტკიცდებოდა პარლამენტის ან პრეზიდენტის მიერ, სამწუხაროდ ამ გეგმის არც ერთი მიმართულება სახელმწიფოს მხრიდან არასოდეს არ ყოფილა დაფინანსებული. Gენდერული ბიუჯეტის ინიციტივას მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ჰქონდა. ეს ტენდენცია დღესაც გრძლედება.

ახალი ტენდენციები

სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის განხორციელების რეალურ საშუალებას იძლევა. 2013 წლის ბიუჯეტი სოციალური მდგომარეობისა და ქვეყნის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

- ჯანდაცვის ბიუჯეტი გაორმაგდა;
- სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი გაიზარდა 61 %-ით;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდი გაიზარდა 25, 7%-ით;
- განათლების ბიუჯეტი გაიზარდა 11,8%;

- გაორმაგდება ლტოლვილთა სამინისტროს ხარჯები და მოხდება დაახლოებით 100 მილიონი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რაც ლტოლვილთა სახცოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ამავე დროს შემცირდა ძალოვანი სტრუქტურის ხარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები, რაც შესაძლებელს გახდის სახელმწიფოს ფინანსები რეალურად ხალხის კეთიდღეობისაკენ იქნეს წარმართული. სამოქალაქო საზოგადოებას აინტერესებს, თუ რას მიიღებენ მოქალაქენი ბიუჯეტიდან. მათ უნდა იცოდნენ რეალობა. ამიტომ მთავრობის ანგარიშში მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. გენდერული ბიუჯეტი კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად აადვილებს. საქართველოს ინფორმაციული ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით აუცილებელია ცვლილებები სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს საქმიანობაში. გენდერულად დეტალიზებული მონაცემები ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების წინაპირობაა. გენდერულად დანაწევრებული მონაცემები არის საჭირო იმისათვის, რომ გაირკვეს, თუ რამდენად სამართლიანდ, ეფექტიანად ნაწილდება სახელმწიფოს მიერ მობილიზებული ფინანსები.

როგორც ვიცით, ბიუჯეტის კანონი ასახავს მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომლის გაცნობიერებაც აუცილებელია გენდერულ ასპექტში. საერთოდ, კი მთავარია პოლიტიკური ნება, რომ გენდერული ბიუჯეტის დანერგვა განხორციელდეს როგორც სამთავრობო დონეზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება მთავრობასთან ერთად უნდა ინაწილებდეს პასუხისმგებლობას ბიუჯეტის ეფექტურად შესრულებასა და მონიტორინგზე, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში.

გენდერულ სახელმწიფო პოლიტიკას ძალუძს მამაკაცთა და ქალთა შესაძლებლობების გათანაბრება, თუ რესურსები გადანაწილდება ისეთი ინვესტიციების სახით, რომელიც დიდ სოციალურ უკუგებას იძლევა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური სახსრების მობილიზაციას მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მოსამზადებლად, ქალებისათვის მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას, ქალთა და ბავშვთა სოციალური დაცვის რადიკალურ გარდაქმნას, ჯანმრთელობისა და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, შრომის სტიმულირების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური აქტიურობის წახალისებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს.

ბიბლიოგრაფია:

1. ათასწლეულის განვითარების ამოცანები საქართველოში, 2003, თბილისი;
2. გაეროს კონვენცია ქალის დისკრიმინაცია ყველა შრომის ლიკვიდაციის შესახებ /CEDAW/ შეფასების ხელსაწყოს ანგარიში, საქართველო, 2003, თბილისი
3. ჩ. ჯაში, თ. საბედაშვილი, შ. ძოწენიძე, ბ. ემეთი უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის მონიტორინგი გენდერულ ჭრილში, ოქსფამი, 2005, დიდი ბრიტანეტი;
4. ჩ. ჯაში, მ. თოკმაზიშვილი,ფინანსური პოლიტიკის გენდერული განზომილებანი, UNDP. SIDA 2009;
5. Country Economic Reports Georgia. Asian Development Bank. From the European. Centre on Health of Societies in Transition, 1907;
6. Elson, D. Budgeting for Women's Rights: Monitoring Government Budgets for Compliance with CEDAW (Concepts and Tools), Kumarian Press, May 2006;
7. Gender budgeting: practical implementation , Council of Europe , 2009;
8. Georgia: Human Development Report, The Reforms and Beyond, Tbilisi, 2008;
9. Reforming Georgia`s Social welfare system, Transparency International Georgia, 2009
10. Sharp, R. Budgeting For Equity, Gender Budget Initiatives within a framework of performance based budgeting, UNFEM, NY 2003